# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 99-100 (120) ოთხშაბათი, 22 მაისი, 1991 წელი.

ფასი 15 კაპიკი

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს

## ბატონ ზვიად გამსახურდიას

**პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ!**

**არიან** ერები, რომლებიც ბედის ნებით გეოგრაფიულად შორს ცხოვრობენ ჩვენგან, მაგრამ რომლებთანაც სულით ძალზე ახლოს ვდგავართ. უნგრეთში ჩვენ ასეთ ერებს მივაკუთვნებთ ქართველ ხალხსაც. ამიტომ განსაკუთრებული გულისყურით ვადევნებთ თვალს ყოველ ცნობას საქართველოს შესახებ, ყოველ ამბავს საქართველოდან.

ჩვენი ხალხების ისტორიაში ბევრი რამ არის მსგავსი, ბევრი რამ საერთო გვაკავშირებს.

განსაკუთრებით მიხარია ის, რომ თქვენი სახით შემიძლია დავუდასტურო პატივისცემა იმ ქართული ლიტერატურის კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას შვილს, რომელმაც გაამდიდრა თავისი მშობლიური ლიტერატურა დიდმნიშვნელოვანი ნაწარმოებებით.

მაგრამ ჩვენი ერების ბედ-იღბლში მსგავსებაზე უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია ისტორიული ცვლილებები, რომლებიც ჩვენს დღეებში ხდება ჩვენს ქვეყნებში, დემოკრატიულ გარდაქმნებს რომ ახორციელებენ. მე კარგად ვიცი, რომ თქვენს ქვეყანაში უდიდეს ინტერესს იჩენენ უნგრეთისადმი, და მინდა ღირსი ვიყოთ ამ ყურადღებისა და ნდობისა.

ჩემს სამშობლოში დღემდეც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საქართველოსთან ურთიერთობას. ამის დასტურია, რომ 1989 წელს ჩვენ ხელი მოვაწერეთ კულტურული თანამშრომლობის შეთანხმებას და ახლანდელ პირობებშიც კი, რომლებიც სულ უფრო რთულდება, ჩვენი საქონელგაცვლა ფართოვდება.

განზრახული გვაქვს კვლავაც ვეძებოთ სულ სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის შესაძლებლობანი.

ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად დიდ სიძნელეებს ვაწყდებით დემოკრატიზაციაზე, პლურალიზმზე და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დროს, მზად ვართ გაგიზიაროთ მთელი ჩვენი გამოცდილება, რომელიც შეიძლება გამოგადგეთ. ყოველივე ეს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის შემდგომ ინტენსიფიკაციას, პირადი კონტაქტების, და უწინარეს ყოვლისა პარლამენტების წარმომადგენელთა ყველა დონეზე, მუნიციპალიტეტებს, საწარმოებსა და მეწარმეებს შორის კონტაქტების თანდათანობით გაფართოებას მოითხოვს. ჩვენ ხალისით დავთანხმდით ყოველივე ამასთან დაკავშირებულ თქვენს წინადადებებს და თხოვნას.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენმა ისტორიულმა ტრადიციებმა და ჩვენმა წარსულმა მტკიცე საძირკველი ჩაუყარა უნგრეთისა და საქართველოს ურთიერთობის განვითარებას, და მწამს, რომ ერთმანეთის დახმარებით წინ წავიწევთ იმ გზაზე, რომელიც დემოკრატიზაციამდე და ეროვნულ სუვერენიტეტამდე მიგვიყვანს.

დასასრულ, მადლობას მოგახსენებთ მოსალმებისთვის და დიდ წარმატებებს გისურვებთ თქვენ პასუხსაგებ პოსტზე, ბედნიერებას ვუსურვებ თქვენს ერსა და თქვენს ოჯახს.

პატივისცემით
უნგრეთის რესპუბლიკის
პრეზიდენტი
**არპად გიონცი.**

ბუდაპეშტი, 1991 წლის
29 აპრილი.



A MAGYAR KÖZTÁRSASÁG ELNÖKE

Zvaid Gamszahurdia úrnak
a Grúz Legfelsőbb Tanács elnökének

TBILISZI

Tisztelt Elnök Úr!

Vannak nemzetek, amelyek helyét földrajzilag tőlünk távol jelölte ki a sors, de lélekben igen közel érezzük magunkat hozzájuk. Magyarországon e nemzetek közé soroljuk a grúz népet is. Ezért is követünk megkülönböztetett figyelemmel minden Grúziáról szóló értesülést, onnan érkező hírt.

Népeink történetében számos egyező vonást fedezhetünk fel és közös szálak is összefűznek bennünket.

## შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან

**21 მაისს** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა შეხვდა ბელგიის ვალონიის მხარის ოფიციალური დელეგაციის წევრებს.

გაიმართა დაინტერესებული საუბარი ამ ბოლო დროს გააქტიურებული და გაფართოებული ბელგია-საქართველოს კონტაქტების შესახებ.

ბატონმა თენგიზ სიგუამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარმატებით ხორციელდება საქართველოს და ვალონიის მხარეს შორის დადებული თანამშრომლობის ოფიციალური ხელშეკრულება. იგი ითვალისწინებს კავშირურთიერთობებს სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვის სფეროებში. საქართველოს და ვალონიის მხარის დელეგაციების წინა შეხვედრების შედეგად გაფართოვდა თანამშრომლობის არეალი და დაისახა ამ ნაყოფიერი და ურთიერთსასარგებლო კონტაქტების ახალი მიმართულებანი. კერძოდ, განიხილეს სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხები ბიოტექნოლოგიაში, გენურ ინჟინერიასა და ფერმენტების წარმოებაში, გაფორმდა [illegible] და მიკროელექტროსადგურების მშენებლობის, თევზის მრეწველობასა და ლითონდამუშავებაში თანამშრომლობის ხელშეკრულებები.

— დღევანდელი სტუმრობა, — აღნიშნა ბატონმა თენგიზ სიგუამ, — ამ ურთიერთობის გაგრძელებაა და, ამავე დროს, ჩვენი თანამშრომლობის ერთგვარი შეჯამებაც არის. ამჟამად ჩვენში რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებაა. შარშან ოქტომბერში გამართული პირველი მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ, რომელსაც ესწრებოდნენ საერთაშორისო მეთვალყურეები, მათ შორის ბელგიელებიც, ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ახალი ძალები. ისინი მტკიცედ დაადგნენ საქართველოს თავისუფლების და აღორძინების გზას. ცხადია, ასეთ პოლიტიკურ ძვრებს მოჰყვა ეკონომიკური ძვრებიც, ე. წ. ცენტრის მიერ დაგეგმილი ეკონომიკის სრული დემონტაჟი. ჩვენ საკმაოდ რთული გზა გვაქვს გასავლელი. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღებით ვკიდებით ჩვენი პარტნიორების გამოცდილებას, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მათთან შეხვედრებს.

დელეგაციის ხელმძღვანელმა, ბელგიის პარლამენტის წევრმა ბატონმა ადლენ მატიემ აღნიშნა, რომ ამ ცოტა ხნის წინათ დაწყებული ურთიერთობა წარმატებით ვითარდება. ეს კი იმის საწინდარია, რომ ჩვენი ხალხები უკეთ გაიცნობენ ერთმანეთს, რასაც უთუოდ შეუწყობს ხელს 1992 წლისათვის განზრახული ბელგიის კულტურის დღეების გამართვა საქართველოში. ვფიქრობთ, აქ მოვაწყოთ სპეციალური გამოფენები. ასევე ქალაქ ნამიურში გავმართოთ ქართული გამოფენა, განვავითაროთ ტურიზმი, გავცვალოთ მოსწავლეთა ჯგუფები და სხვა.

შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ ბელგიაში გაიმართოს ქართული ხატებისა და ფიროსმანის ნახატების გამოფენები. ეს ექსპოზიციები მიიზიდავს არა მხოლოდ ბელგიელებს, არამედ ათასობით დამთვალიერებელს სხვა ქვეყნებიდან.

დამშვიდობებისას ბატონმა ადლენ მატიემ თქვა, რომ 26 მაისს, როცა საქართველოში გაიმართება რესპუბლიკის პრეზიდენტის პირველი საყოველთაო არჩევნები, დელეგაციის წევრები მოსკოვში იქნებიან და იქიდან აუცილებლად დარეკავენ, რომ გაიგონ არჩევნების შედეგები, ჩვენთვის, აღნიშნა მან, საქართველო სრული დამოუკიდებელი რესპუბლიკა იყო 1990 წელსაც, როცა ჩვენთან მოეწყო საქართველოს დღეები და ფრიალებდა დამოუკიდებელი საქართველოს დროშა.

საქინფორმი.

• • •

**სურათზე:** ბელგიის დელეგაციასთან შეხვედრის დროს.
**გივი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

### საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომის შესახებ

**საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა გაიმართება 1991 წლის 28 მაისს 11 საათზე უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.**

**უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია დაიწყება 9 საათსა და 30 წუთიდან.**

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებიდან გასულ ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა შესახებ

**რესპუბლიკის** თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებლად საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების შემადგენლობიდან გასულ ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა გამოყენების მიზნით:

1. ეროვნულ გვარდიაში ჩარიცხვისას ქართველ ოფიცრებს, პრაპორშჩიკებს, მიჩმანებსა და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს სამხედრო სტაჟში ჩაეთვალოთ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახურის წლები.
2. ვადიანი სამსახურის ის ქართველი სამხედრო მოსამსახურენი, რომლებმაც სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში იმსახურეს ერთი წელი და მეტი, ჩაითვალონ ჯარმოხდილად, ხოლო მათ, რომლებმაც ერთ წელზე ნაკლები იმსახურეს, საქართველოს რესპუბლიკის გამწვევი კომისია გამოიძახებს სასწავლო შეკრებებზე შესაბამის სპეციალობებში მოსამზადებლად.
3. პირველ და მეორე პუნქტებში აღნიშნულ პირებს მიეცეთ პასპორტები იმ საცხოვრებელ ადგილას მუდმივი ჩაწერით, საიდანაც გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 21 მაისი.

## შიდა ქართლი

## ვითარება სამაჩაბლოში

**ამ** ბოლო დღეებში ოსმა ბანდიტებმა კვლავ დაიწყეს სამაჩაბლოს ქართველ მოსახლეობაზე თავდასხმები. 20 მაისს დღის 3 საათზე ტყვია და ნურსის ტიპის რაკეტები დაუშინეს სოფელ დისევს. სოფლის მოსახლეობა აღშფოთებულია სსრ კავშირის შინაგანი ჯარის ნაწილების საეჭვო ნეიტრალიტეტით, რაც ხელ-ფეხს უხსნის ოს ბანდიტებს.

ქ. ცხინვალის კომენდატმა, მილიციის პოლკოვნიკმა მაქრო წიწკალაძემ სოფელ დისევში იმ დღესვე აიყვანა შინაგანი ჯარის და საკავშირო პროკურატურის წარმომადგენლები. სოფლის მოსახლეობამ მათ კატეგორიულად მოსთხოვა ყველაფერი იღონონ ოს ბანდიტთა თავდასხმების აღსაკვეთად.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.**

## სანთელი

## დიდი დღესასწაულების კვირა

**23 მაისს** — უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ამაღლების შემდგომ ხუთშაბათს, აღინიშნება დიდი დღესასწაული ღირსისა მამისა ჩვენისა დავით გარეჯელისა — მამადავითობა. წმინდა დავითი ცამეტ ასირიელ მამათაგანია, შემდგომში ის გარეჯელად იწოდა. ანტიოქიიდან რომ ჩამოვიდა, იგი ჯერ თბილისში დასახლდა, მთის ძირში მოვაკებულ ადგილზე გამოქვაბულში. მისი ლოცვით აქ წყალიც გამოვიდა და დღემდე ამ ადგილს შემორჩა დავითის გამოქვაბულიცა და დავითის წყალიც.

შემდეგ წმინდა დავითს მოშურნეებმა ცილი დასწამეს, რომ მას ერთ-ერთ მონაზონთან ურთიერთობა ჰქონდა. ამ საქმის გამო გაიმართა სასამართლო იმ ადგილზე, სადაც ამჟამად ქაშვეთის ეკლესია დგას. როცა მამა დავითი დაუპირისპირეს მონაზონს, რომელიც თვითონაც ამტკიცებდა მასთან ურთიერთობას, წინამძღვარმა მას მუცელზე კვერთხი მიადო და უთხრა: თუ ეს ჩემი არ არის, მაშინ ქვა შვიო. მართლაც, მონაზონმა ქვა დაბადა და შემდგომ აქ აშენებულ წმინდა გიორგის ეკლესიას ქაშვეთის ეკლესია ეწოდა.

განაწყენებულმა მამა დავითმა თბილისი დატოვა. იგი თავისი მოწაფეებით წავიდა გარეჯის უდაბნოში, ააშენა დიდი სამონასტრო კომპლექსი, რომელზეც ერთმა მწერალმა მოსწრებულად თქვა: ვისაც არა აქვს ისტორია, მიეცით გარეჯი და ექნება ისტორია.

ვინაიდან მამა დავითი დიდი პატივით სარგებლობდა, მას მხურვალედ თხოვდნენ ისევ თბილისში დაბრუნებულიყო. იგი მართლაც დაბრუნდა აქ, ააგო ტაძარი და ხუთშაბათ დღეს აღავლინა ლოცვა.

— მამადავითობა თბილისელთა უდიდესი დღესასწაულია, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მერი გაბრიაძეს წმინდა მამადავითის წინამძღვარმა, დეკანოზმა მამა არჩილმა (ლაფერაშვილმა). — ამ დღესასწაულთან დაკავშირებით აქ სამღვდელოებასთან ერთად საზეიმო წირვა-ლოცვას აღავლენს ბათუმ-შემოქმედის მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე). ხოლო გარეჯის მონასტერში საზეიმო წირვა-ლოცვას სამღვდელოებასთან ერთად აღავლენს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. ამ დღის აღსანიშნავი წირვა-ლოცვა გაიმართება გარეჯის ორ სხვა ტაძარშიც.

ორიოდე დღეც და მამადავითობას მოჰყვება ბრწყინვალე დღესასწაული — სულიწმიდის გარდამოსვლა, სულთმოფენობა.

— სიმბოლურია, რომ ეს დღესასწაული აღინიშნება 26 მაისს — საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დღეს, — თქვა შემდეგ მამა არჩილმა. — ღმერთმა სულიწმიდის მადლით დალოცოს 26 რიცხვი, რომ ამ დღეს გაიმართოს არჩევნები მშვიდად, სიყვარულით, რომ ერმა გამოხატოს თავისი ნება და აირჩიოს ღირსეული წინამძღვარი, რომელიც დაამშვენებს ერსა ჩვენსა ამ დიდი გაჭირვებისა და ავბედობის ჟამს. დაე, სულიწმიდის მადლმა შეუმსუბუქოს მას ეს მძიმე უღელი და კეთილად წარემართებინოს საქართველოს მომავალი და ბედი.

და ბოლოს, 27 მაისს აღინიშნება შოთა რუსთაველის — იერუსალიმის ჯვრის მონასტრის განმაახლებლის — დღე. ამ დღესასწაულს აღნიშნავს არა მარტო ქართველობა, ასევე ბერძნებიც, ვის ხელშიც არის სადღეისოდ ქართველთა დიდი სავანე — იერუსალიმის ჯვრის მონასტერი.

დღესასწაულობს ამ დღეს ისრაელის ებრაელობაც, განსაკუთრებით, ქართველი ებრაელობა, რომელიც ყველა ღონეს ხმარობს, რათა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი მის კანონიერ მემკვიდრეს — საქართველოს გადაეცეს.

ღმერთმა დალოცოს და აკურთხოს სრულიად საქართველო, ქართველი ერი, ქართული ეკლესია და მისი მრევლი.

საქინფორმი.

### გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს ბ-ნ მამუკა ფაჩუაშვილს

**გაცნობებთ,** რომ იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტობის კანდიდატის მიერ გამოსაქვეყნებლად გამიზნული მასალა არ შემოვიდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრეს-ჯგუფში წინა კვირის შაბათამდე, ცენტრალური საარჩევნო კომისია აღარ უზრუნველყოფს მის პუბლიკაციას რესპუბლიკურ სახელმწიფო გაზეთებში.

საქართველოს რესპუბლიკის
ცენტრალური საარჩევნო
კომისიის თავმჯდომარე
**არჩილ ჭირაქაძე**

## პრეზიდენტობის კანდიდატები

### მხარს ვუჭერთ ზვიად გამსახურდიას

**საქართველოს** რესპუბლიკის აღმოსავლეთის რაიონების სოფლის მეურნეობის მუშაკთა ზონალური თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა ქართველი ხალხის, საქართველოს მთელი მოსახლეობისადმი.

დღეს, როცა ჩვენს რესპუბლიკას მიეცა ისტორიული შანსი, — ნათქვამია მიმართვაში, — ხალხის ნების თავისუფალი გამოხატვის გზით აირჩიოს თავისი პირველი პრეზიდენტი, მიგვაჩნია, რომ ამ პოსტზე არჩევის უცილობელი კანდიდატია საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქედუხრელი მებრძოლი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ზვიად გამსახურდია.

სოფლის მშრომლები სავსებით საფუძვლიანად უკავშირებენ ბატონ ზვიადის სახელს იმ თავიანთ იმედებს, რომ აღდგება ერის ღირსება, შეიქმნება საიმედო გარანტიები რესპუბლიკის მოსახლეობის ყველა ფენის სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის ყოველმხრივი განვითარებისათვის, საქართველოს რესპუბლიკა შევა მსოფლიოს ცივილიზებული დემოკრატიული სახელმწიფოების თანამეგობრობაში.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელი ხელმძღვანელობის მიერ აღებული კურსი საქართველოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისა — და მოუწოდეს საქართველოს მთელ მოსახლეობას, ვისთვისაც ძვირფასია რესპუბლიკის ინტერესები, 26 მაისის არჩევნებში ხმა მისცენ ყველაზე ღირსეულ კანდიდატს — ზვიად გამსახურდიას.

საქინფორმი

### ახდა წინაპართა ნატვრა

„**ნეტარ** არს ერი იგი, რომელსა შინა ფილოსოფოსნი მეფობენ და მეფენი ფილოსოფოსობენ“, უთქვამს ჩვენს სვეგამწარებულ წინაპარს ალექსანდრე ბატონიშვილს.

დიახ, ბედნიერია ღვთივკურთხეული საქართველო, დღეს რომ მისი მესაჭეა სამშობლოს უდიდესი პატრიოტი და ნამდვილი ერისკაცი, მრავალმხრივი მოღვაწე, მეცნიერი, მწერალი, მთარგმნელი ბატონი ზვიად გამსახურდია.

საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანის საკოორდინაციო-საგამომცემლო ცენტრის თანამშრომლები მოგიწოდებთ და თხოვნით მოგმართავთ თანამოკალმეებს, რათა ერთხმად დაუჭიროთ მხარი ჩვენს კოლეგას — ამერიკული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული და რუსული პოეზიისა და პროზის მშობლიურ ენაზე შესანიშნავ მთარგმნელს ზვიად გამსახურდიას საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად არჩევაში.

გულახდილები რომ ვიყოთ, ერთ რამეზე კი ნამდვილად გვწყდება გული. უდროობის, მოუცლელობისა და ათას საჭირბოროტო საქმეში ჩაბმულობის გამო, განგებამ ბატონ ზვიადს ისეთი რამ არგუნა, ალბათ თარგმნისათვის ვეღარ მოიცლის, მაგრამ, რა ბედენაა თარგმნა, როცა ბეჭებზე საქვეყნო ტვირთი აძევს.

მომავალ თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მრავლად „დაიზრდებიან ალგეთის ლეკვები მგლისანი“, მაგრამ ამჟამინდელი საქართველოს წინამძღოლად და პრეზიდენტობის ერთადერთ რეალურ კანდიდატად ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ზვიად გამსახურდია მიგვაჩნია, რომელსაც, დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, ძალუძს ღირსეულად „წარუძღვეს წინა ერსა“.

**საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანის საკოორდინაციო-საგამომცემლო ცენტრის თანამშრომლები.**

### ჩვენ მხარს ვუჭერთ...

**ეს** უკვე მერამდენე ტკივილი და ცრემლი მოეძალა საქართველოს, დამანგრეველმა მიწისძვრამ ნასახლარები მოგვიმრავლა...

ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა უმძიმესი განსაცდელის ჟამსაც პირთამთენი და იმედშეურყეველი ყოფილა, დღეს კი რა გვემართება, რა მოხდა ისეთი, რომ თანადგომისათვის, ერთმანეთის სასიყვარულოდ გული აღარ გვემორჩილება, რამ გაგვიყინა სისხლი ძარღვებში, ნუთუ გადავგვარდით?

უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დაუგროვდა სრულიად საქართველოს, უმთავრესი კი ერთია — გაუძლებს გული უმძიმეს ტკივილებსა და სიურპრიზებით სავსე დღეთა სიმრავლეს?

რა მოხდა, კიდევ ერთხელ ვძლიოთ ჩვენში დაბუდებულ სატანას, მართლად განსჯის უნარს რომ გვართმევს, გონების ნათელს რომ გვტაცებს და მხოლოდ არაფრისმთქმელი ემოციების იმედად გვტოვებს!

ეჰ, როგორ გვჭირდება უღალატო სიყვარული, მტრისა და მოყვრის ერთმანეთისაგან გარჩევა და უწინარესად — „ქმნა მართლისა“.

იქნებ გული და გონება მივაპყროთ გერმანიაში გამოცემული „ქართული გაზეთის“ 1918 წლის ივნისის ნომერში დაბეჭდილი ჩვენი წინამორბედების შეგონებას: ჩვენ ვართ აღელვებულ ზღვაში, ჩვენი ნავი პატარაა. აგერ საშინელი ტალღები სცემს გვშთანთქავენ... ნუ დავივიწყებთ, რომ საჭიროა მთელი ჩვენი ძალების მოკრება, რომ შეგვეძლოს ბრძოლა ამ საშინელი ტალღების წინააღმდეგ. თუ ერთ წუთს ჩვენი ყურადღება გაიტაცეს სხვა მოვლენებმა, შთავინთქმებით. ყოველი ახალი შეცდომა მომაკვდინებელია ჩვენთვის...

დავიმახსოვროთ, აღარ გვაქვს შეცდომის უფლება, სწორი არჩევანის გაკეთება ალბათ არ გაგვიჭირდება, ოღონდ გულით დავიწყოთ საქმის კეთება.

გათითოებულნი, დაცალკევებულნი გავერთიანდეთ, გავამაგროთ ერთმანეთი და სრულიად საქართველო, მოვუაროთ ქვეყანას და ბრძნული გონებით განვაგრძოთ ახალი ცხოვრება.

26 მაისს კვლავ ამაყად უნდა აღიმართოს ჩვენი ეროვნული დროშა და საქართველოს პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევით დაიწყოს დიდი შემობრუნება. ჩვენ მხარს ვუჭერთ ზვიად გამსახურდიას.

**ლამარა გოგოლაძე,**
თბილისის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის 155-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის სახელით.

### არა მარტო პოლიტიკოსი

**26** მაისს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დღეს, ქართველი ხალხი ერთხელ კიდევ ნათლად დაადასტურებს თავის ურყევ სურვილს — ბოლომდე იბრძოლოს ქვეყნის სრული პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მოსაპოვებლად — ხაზგასმით ითქვა ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის თანამშრომელთა შეკრებაზე.

ჩვენი კოლექტივი ერთსულოვნად უჭერს მხარს პრეზიდენტის პოსტზე ზვიად გამსახურდიას კანდიდატურას, რომელსაც კარგად ვიცნობთ, როგორც არა მარტო პოლიტიკურ მოღვაწეს, არამედ როგორც ცნობილ მწერალსა და ლიტერატურათმცოდნეს, რომლის ნაწერები დიდი პოპულარობით სარგებლობს.

**ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტი.**

### გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

**საქართველოს** რესპუბლიკის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს თანამშრომლები ერთხმად ვუჭერთ მხარს ბატონ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ:

ბატონი ზვიადი არის ის პიროვნება, რომელშიც თავმოყრილია ჩვენი სასიქადულო წინაპრების ყველა დადებითი თვისება: რაინდული სული, ჭეშმარიტი მართლმადიდებლური რწმენა, ღრმა ინტელექტი.

ბატონი ზვიადი არის ის პიროვნება, რომლის ავტორიტეტსაც ანგარიშს უწევს მსოფლიოს პროგრესული საზოგადოება.

მისი ყოველი გამოსვლა თუ ინტერვიუ არის ამომწურავი პასუხი, ყველა იმ პრობლემურ საკითხზე, რომელიც ჩვენ ხალხს აღელვებს. მას შესწევს უნარი დაარწმუნოს, აიყოლიოს მასები ნებისმიერი საკითხის გადასაწყვეტად.

ამიტომ ვთვლით, რომ ბატონი ზვიადი ღირსეული კანდიდატია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობისა და ამიტომ მზად ვართ 26 მაისს ხმა მივცეთ ბატონ ზვიად გამსახურდიას.

ღმერთი იყოს ბატონ ზვიად გამსახურდიას და სრულიად საქართველოს მფარველი!

**საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო**

### ახმეტა
### ქისტეთი
### თქვენთანაა

**ბატონო** პრეზიდენტო! ახლოვდება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები. ჩვენ, ახმეტის რაიონის პანკისის ხეობაში მცხოვრებ ქისტებს — ვაინახ ხალხს — წარმოშობით, სისხლით და ენით ქართველების ნათესავებს გვინდა ნათლად გამოვთქვათ ჩვენი აზრი, განვსაზღვროთ ჩვენი პოზიცია პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით. ქისტები გულმხურვალედ ვუჭერთ მხარს, ბატონო ზვიად, თქვენს კანდიდატურას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე. მოვუწოდებთ საქართველოს ყველა მცხოვრებს — 26 მაისს ხმა მოგცენ თქვენ, რომელმაც მოწამეობრივი ცხოვრებითა და შეუდრეკელი ნებით, დაგვანახვეთ, რომ ერის ჭეშმარიტი წინამძღოლი ბრძანდებით და ყველაზე ღირსეული კანდიდატი პრეზიდენტობისა. გვჯერა, რომ ბოლომდე მიიყვანთ დაწყებულ საქმეს, კვლავაც შეუპოვრად იბრძოლებთ სათაყვანებელი მამულის საკეთილდღეოდ, ქართველი და ვაინახი ხალხების ძმობის, მეგობრობისა და კეთილმეზობლურ ურთიერთობათა შემდგომი განმტკიცებისათვის. ჯერ იყო და თითოეული ჩვენგანის გული შეძრა თქვენმა სამძიმარმა ჩეჩენი (ინგუში) ხალხისადმი 1944 წლის 23 თებერვალს მათდამი საბჭოური იმპერიის მიერ განხორციელებული გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნის აღსანიშნავად. ეს ჭეშმარიტად ხალასი თანაგრძნობის სიტყვები გულის მოსაოხებელ მალამოდ დაედო ვაინახურ ეროვნულ მოძრაობას. ახლახანს ქისტებმა პანკისის ხეობაში და ჩვენმა ვაინახებმა ჩეჩენ-ინგუშეთში უდიდესი მადლიერების გრძნობით აღიქვეს თქვენი მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პერეს დე კუელიარისადმი.

ცენტრი ექსტრემისტების მეშვეობით ამზადებს ჩეჩენ-ინგუშეთში ახალ სისხლიან ტერორსა და გენოციდს, რაც მრავალგზის უწვნევიათ ვაინახებს რუსი დამპყრობლების მხრიდან. ასევე ჩვენ სულის სიღრმემდე შეგვძრა და როგორც საკუთარ თავზე მოწეული ისე მივიჩნიეთ საქართველოს თავზე მიწისძვრით დატრიალებული უბედურებაც. ულრმეს სამძიმარს გიცხადებთ თქვენ და დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს. ღრმად ვართ დარწმუნებული, ქართველი ხალხი მორალურად ძლიერია, გადაიტანს ამ უბედურებასაც და თქვენი წინამძღოლობით მოიპოვებს თავისუფალ, დამოუკიდებელ და ბედნიერ ცხოვრებას. ჩვენ, ქისტები, ვთვლით, რომ საქართველოს არ ჰყავს პრეზიდენტობის უფრო ღირსეული კანდიდატი, ვიდრე თქვენ ბრძანდებით. ამიტომ 26 მაისს ყველა ქისტი ერთსულოვნად მივცემთ ხმას თქვენს კანდიდატურას.

პატივისცემით
**ახმეტის რაიონის პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები**

### ღირსეული უეჭველად გაიმარჯვებს

**რესპუბლიკის** პრეზიდენტის არჩევნებმა დიდ იმედებთან ერთად დიდი გულისტკივილიც მოგვიტანა. თავი იჩინა ღვარძლმა, შურმა და ბოროტებამ, მაგრამ ავკაცობა ვერას დააკლებს ბატონ ზვიად გამსახურდიას. მოვა 26 მაისი და ხალხი აირჩევს ჭეშმარიტ კანდიდატს. ღირსეული უეჭველად გაიმარჯვებს!

**ზ. ლობჟანიძე,**
კურორტი აბასთუმანი.

### აგრარიკოს მეცნიერებს

**თავისუფლებისაკენ** მიმავალი საქართველო მძიმე დღეშია ჩავარდნილი, დიდი განსაცდელის წინაშე დგას, მაგრამ მის შვილებს მხნეობა არ გველევა. ამის მიზეზი გახლავთ ეროვნული ფენომენის აღორძინება, რომელიც განუყოფლად უკავშირდება ჩვენი ერის ამჟამინდელი სასიქადულო წინამძღოლის, გამორჩეული მამულიშვილის ბატონ ზვიად გამსახურდიას დაუღალავ, შეუპოვარ და საზრიან მოღვაწეობას.

ამიტომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივი, რომელიც ყოველდღიურად გრძნობს ჩვენი ეროვნული პარლამენტის მხარდაჭერასა და თანადგომას მუშაობის გარდაქმნისათვის ძალისხმევაში, ერთხმად უჭერს მხარს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტობის კანდიდატად ბატონ ზვიად გამსახურდიას დასახელებას და მოუწოდებს ყველა აგრარიკოს მეცნიერს 26 მაისს მას მისცეს ხმა.

**საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის ბატონ ზვიად გამსახურდიას საარჩევნო პროგრამა

## პოლიტიკური ნაწილი

**თანამედროვე** მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ანალიზი გვიჩვენებს, რომ განსხვავებული პოლიტიკური სისტემებისა თუ ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონის მიუხედავად სახელმწიფოები მიისწრაფვიან საერთაშორისო თანამშრომლობისაკენ. გაცნობიერა რა გლობალური პრობლემები (პირველ რიგში კი ბირთვული ომისა და ეკოლოგიური კატასტროფების საშიშროება), კაცობრიობა ცდილობს ერთიან ოჯახად გაიაზროს თავი.

საქართველო და ქართველი ხალხი, კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი ორგანული ნაწილი, დღეისათვის საერთაშორისო ცხოვრებიდან თითქმის მთლიანად გამოთიშულია. უკანასკნელი ორი საუკუნის და განსაკუთრებით ბოლო სამოცდაათი წლის მანძილზე ქართველი ხალხის მიმართ შეგნებულად ტარდებოდა პოლიტიკა, რომლის მიზანიც იყო მისი ეროვნული და კულტურული გადაგვარება. მიუხედავად ამისა ქართველმა ერმა შეძლო არა მარტო თავისი ეთნოკულტურული თვითმყოფადობის, არამედ გარკვეულად ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაც. მხოლოდ სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით არის შესაძლებელი საქართველოს ჩაბმა გლობალურ ინტეგრაციულ პროცესებში.

გეოგრაფიულად და ისტორიულად საქართველო ორი სამყაროს — ევროპისა და აზიის, ქრისტიანობისა და მუსულმანობის საზღვარზე მდებარეობს. ვეკუთვნით რა ევროპასა და ქრისტიანულ ცივილიზაციას, ჩვენში ყოველთვის ძლიერი იყო აღმოსავლური ელემენტიც. ქართველი მეფეები და ხალხი იჩენდნენ შემწყნარებლობას სხვა რელიგიებისა და ერების წარმომადგენლების მიმართ, თვითონ კი ძირითადად მორწმუნე ქრისტიანებად რჩებოდნენ. ისტორიულმა პროცესებმა და გეოგრაფიულმა მდებარეობამ განსაზღვრა ის, რომ საქართველო ასრულებდა ევროპასა და აზიას შორის ურთიერთობაში მნიშვნელოვან და გარკვეულწილად მასტაბილიზებელ როლს.

სამომავლო ისტორიული მისია, რომელიც უნდა იტვირთოს დამოუკიდებელმა საქართველომ, შეიძლება იყოს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ზოგადსაკაცობრიო ინტეგრაციული პროცესებისათვის ხელის შეწყობა და რეგიონში სტაბილური ვითარების უზრუნველყოფა. საქართველომ უნდა განახორციელოს სინთეზი ამ ორი სამყაროსი.

საქართველო და ქართველები ყოველთვის კავკასიის ხალხთა გამაერთიანებელ ძალას წარმოადგენდნენ. მიუხედავად დღეისათვის გარედან ინსპირირებული კონფლიქტებისა, საქართველომ უახლოეს მომავალში კვლავ შეიძლება იკისროს ეს როლი. ამით იგი აღადგენს ქრისტიანული შემწყნარებლობის პრინციპების დამცველის უნიკალურ ისტორიულ ფუნქციას და აქტიურად ჩაებმება მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში.

საბჭოთა კავშირის დღევანდელი ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ აღარ ეწინააღმდეგება მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებს და სურს მათში მონაწილეობის მიღება როგორც ერთიან, ფედერაციულ სამართალსუბიექტს. ამით ის უარყოფს თვით სსრ კავშირში შემავალ რიგ სახელმწიფოთა და ხალხთა უფლებებს, რითაც შესაძლებლობას უსპობს თვით იქცნენ საერთაშორისო სამართალსუბიექტებად და დამოუკიდებლად იმოქმედონ საერთაშორისო ასპარეზზე. ფაქტობრივად სსრ კავშირი გვთავაზობს გლობალური ინტეგრაციის საფეხურებრივ მოდელს, რომლის მიხედვითაც ინტეგრაციის პროცესში ერთი სახელმწიფო სხვა სახელმწიფოს მეშვეობით ერთვება. ეს მოდელი არღვევს ინტეგრაციის ძირითად, თანასწორუფლებიანობის პრინციპს. ამის საუკეთესო მაგალითია თვით სსრ კავშირის საშინაო პოლიტიკა. მიუხედავად „პერესტროიკისა" სსრ კავშირი დღესაც რჩება იმპერიულ პრინციპებზე აგებულ სახელმწიფოდ, რომლის ატრიბუტებია: სახეშეცვლილი, შერბილებული ცენტრალიზაცია, პირამიდის პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფო მართვის სისტემა, ჯერ კიდევ ქმედითი ყალბი იდეოლოგია მარქსიზმ-ლენინიზმის სახით, ფაქტობრივი ერთპარტიულობა — კომპარტიის განსაკუთრებული როლი პოლიტიკურ ძალთა შორის და ა. შ.

საბჭოთა კავშირის ხელისუფლებისათვის აუცილებელი გახდა საერთაშორისო ურთიერთობათა მოწესრიგება, დაძაბულობის შენელება და დემოკრატიულობის იმიჯის შექმნა, რათა შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს იმპერიის უსაფრთხოება. ახალი აზროვნების ის პოლიტიკა, რომელიც დასავლეთში ჯერ კიდევ 50-იან წლებში დაიწყო, 80-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა ხელისუფლების მიღწევად იქნა მიჩნეული და მთლიანად დაემთხვა დასავლეთის ინტერესებს. ამით აიხსნება ის პოპულარობა, რომელიც მოიპოვეს იმპერიის რეფორმატორებმა. ამითვე აიხსნება დასავლეთის ქვეყნების დღევანდელი პოზიციების გაურკვევლობაც — განაგრძონ „რეფორმატორული" ცენტრისათვის დახმარება, მხარი დაუჭირონ „რადიკალურ ნაციონალისტებს" ურჩ რესპუბლიკებში თუ პარალელური პოლიტიკა გაატარონ მათ მიმართ? ეჭვგარეშეა, რომ ამაში მდგომარეობს ის დილემა, რომლის წინაშეც დგანან დასავლეთის ქვეყნების ხელისუფალნი და რომლის გადაწყვეტაც, როგორც ჩანს, რესპუბლიკების სასარგებლოდ მოხდება. ადრე თუ გვიან დასავლეთი მათზე აიღებს ორიენტაციას.

გარდაქმნის პოლიტიკით სსრ კავშირის ხელისუფლებამ შეძლო საერთაშორისო ასპარეზზე დემოკრატიზაციის, ლიბერალიზაციის, თავისუფალი მეწარმეობის, ეროვნული სამართლიანობისა და ადამიანის უფლებათა დამცველის ილუზიის შექმნა. იგივეს შეეცადა იმპერიის შიგნითაც, თუმცა რეალურად სულ სხვა მიზნებს ისახავდა. ერთი მხრივ, რესპუბლიკების ეკონომიკის საბოლოო დეზინტეგრაციით და მათი ნარჩენების ერთიან საკავშირო სისტემაში გაერთიანებით, მეორე მხრივ კი „საბჭოთა" ერების ცალკეული ეთნიკური ჯგუფების დონემდე დაქუცმაცებით და მათთვის ავტონომიურობის, თანაბარი უფლებების მინიჭებით სსრ კავშირის ხელისუფლება შეეცადა საბოლოოდ დაესუსტებინა რესპუბლიკები და სამუდამოდ შეებოჭა ისინი ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებით. ამავე მიზანს ისახავდა პოლიტიკურ სფეროში დაშვებული პლურალიზმიც. შეგნებულად ხელი შეუწყო რა სხვადასხვა ფსევდოპოლიტიკური დაჯგუფებებისა და „ფრონტების" შექმნას, სსრ კავშირის ხელისუფლება ვარაუდობდა კომპარტიისათვის შეენარჩუნებინა ხელმძღვანელი როლი (თუმცა სიტყვიერად უარყო ეს) და დაესუსტებინა მისი შესაძლო ოპოზიცია. სწორედ ეს იყო საწარმოთა დონეზე დაყვანილი ეკონომიკური დამოუკიდებლობის, „სუვერენიტეტის აღლუმისა" და „გლასნოსტის" არსი. ყოველივე ამას ქვეყნის შიგნით დემოკრატიის, პლურალიზმისა და თავისუფალი მეწარმეობის სტიმულირების ილუზია უნდა შეექმნა, ფაქტიურად კი სახეშეცვლილი იმპერიის განმტკიცებისათვის უნდა შეეწყო ხელი.

აღნიშნული პროცესების გააზრებისათვის აუცილებელია განვიხილოთ, თუ როგორ აღიქვა „პერესტროიკის" ფენომენი დასავლურმა სამყარომ და საბჭოთა ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა. „პერესტროიკამდელი" საბჭოთა კავშირი მათ მიაჩნდათ „ბოროტების იმპერიად", ირაციონალურ, არარეალურ სამყაროდ, სადაც ხელისუფალთა აბსურდულ გადაწყვეტილებებს რეალურად ხალხის სისხლისღვრა მოსდევდა. რა თქმა უნდა, ეს სამყარო უარყოფითად ხასიათდებოდა და შესაბამისად რეალობისაკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი განიხილებოდა როგორც დადებითი ნიშნით გამოხატული ადამიანური სამყაროსაკენ სწრაფვა. ასე იქნა აღქმული საჯაროობისა და გარდაქმნის პოლიტიკაც. ვინაიდან ეს პროცესები ჩაითვალა მოძრაობად უარყოფითიდან დადებითისაკენ, „პერესტროიკასა" და მის ავტორს ნდობა გამოუცხადეს. ასეთ მსჯელობაში, რა თქმა უნდა, არის გარკვეული ლოგიკა, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალზე გამარტივებული.

არ შეიძლება საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენები სწორხაზოვნად იქნეს განხილული. აქ, სულ ცოტა, ორი განზომილება მაინც უნდა გამოიყოს. ერთი განზომილებაა საბჭოური ტოტალიტარიზმის შეცვლა რეალური სოციალური ინტერაქციით, ანუ კომპარტიის ტოტალიტარული მართვის თანდათანობითი შეცვლა საზოგადოებაში მიმდინარე ბუნებრივი პროცესებით; მეორე — საბჭოური იმპერიული სტრუქტურების თანდათანობითი დეზინტეგრაცია და მათი შეცვლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურებით. თუ ზემოთ მოყვანილ მსჯელობას დავუბრუნდებით, ცხადი გახდება, რომ რეალური სოციალური ინტერაქციის ელემენტები შესაძლებელია იმპერიული სტრუქტურების შიგნითაც არსებობდეს. რა თქმა უნდა, გამოჩნდება ადამიანთა გარკვეული წრე, რომელთათვისაც ეს სავსებით საკმარისი იქნება, რათა განაცხადონ, რომ „შინაგან ემიგრაციაში" იმყოფებიან და იმპერიისაგან გათავისუფლების მოლოდინში მათ სავსებით აკმაყოფილებთ აზროვნებისა და სიტყვის თავისუფლება. ასევე შესაძლებელია არსებობდნენ ადამიანები (და, როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, ისინი საზოგადოების ძირითად ნაწილს შეადგენენ), რომლებსაც არ სურთ „შინაგან ემიგრაციაში" ყოფნა და განმათავისუფლებელ მოძრაობაში გადამწყვეტ მნიშვნელობას სწორედ ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობას ანიჭებენ. ზემოთ განხილული სქემიდან გამომდინარე, გარდაქმნას არ შეიძლება თავისთავად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდეს მხოლოდ იმიტომ, რომ უარყოფითიდან დადებითისკენ გადადგმული ნაბიჯია. მთავარია შედეგი. ადრე არსებული რეალობა თვისებრივად შეიცვალა, თუმცა ჯერჯერობით არც ეს პროცესია დასრულებული და სახელმწიფოს მართვის მეთოდების ლიბერალიზაცია მოხდება სახელმწიფო სტრუქტურების ცვლილებათა უკუქცევადობის შეუძლებლობის გარანტიების შესაბამისად. ამდენად გარდაქმნის გზა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზა ურთიერთისაგან სრულიად განსხვავებულია, თუმცა, როგორც ადრეც აღინიშნა, გარდაქმნამ, უფრო სწორად კი იძულებითმა ლიბერალიზაციამ, მოძრაობის ბიძგის მიმცემის როლი შეასრულა.

გარდაქმნის პოლიტიკისა და ეროვნული მოძრაობის ურთიერთმიმართება 1985 წლიდან დღემდე არაერთგვაროვანი იყო. 1988 წლამდე „პერესტროიკის" ლოზუნგების, კოოპერაციული მოძრაობის განვითარებითა და საჯაროობის მეშვეობით ცენტრი შეეცადა ეკონომიკისა და საზოგადოების რეფორმირებას, რამაც პოლიტიკური სტრუქტურების უცვლელობის გამო შესამჩნევი შედეგი ვერ გამოიღო. 1988 წლიდან ცალკეული კონსტრუქციული ცვლილებებისა და ზოგიერთი რეფორმის პროექტის გამოქვეყნებით გამოიკვეთა გარდაქმნის იმპერიული სახე. ხალხში დაიკარგა ნდობა და ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი და ეროვნული წინააღმდეგობის მზარდი მექანიზმი. 1989-90 წლებში რეაქციული ძალებისათვის დადგა ტოტალიტარული მართვის სისტემის შეცვლის საფრთხე, ამიტომ ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა რიგი მეთოდები, მათ შორის, ეთნოკონფლიქტების გაღვივება, კომპარტიის პირდაპირი დიქტატის შეცვლა ფსევდოინტელიგენციის „ინტელექტუალური რჩევებით", „კომპარტიის ოპოზიციის დაქსაქსვა", სხვადასხვა ფსევდოპოლიტიკური დაჯგუფებისა და „ფრონტების" შექმნა, პოლიტიკური პროვოკაციები და ა. შ. 1990 წლის მეორე ნახევრიდან იწყება გარდაქმნის პოლიტიკაზე ეროვნული მოძრაობის მიერ რეალური უპირატესობის მოპოვების პერიოდი. საქართველოში ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა უზენაესი საბჭოს არჩევნების ახალი კანონის მიღებით, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებითა და მასში ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" გამარჯვებით.

1990 წლის ოქტომბერ-ნოემბრიდან იწყება ახალი ეტაპი. ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოში დაიწყო საბჭოური სტრუქტურების დემონტაჟი და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მხოლოდ გზის დასაწყისია, რომელიც გარდამავალი პერიოდის სახელით არის ცნობილი. მოხდა ძირეული შემობრუნება — თუ ადრე ადამიანთა საზოგადოებრივი, ეკონომიკური და სხვა სახის საქმიანობა ორიენტირებული იყო საბჭოურ და კომპარტიულ სტრუქტურებზე, ამ ეტაპზე მათი საქმიანობის წარმმართველი გახდა დემოკრატიული და ეროვნული ორიენტაცია. პროსაბჭოური, იმპერიული სინამდვილიდან საქართველო დაადგა დემოკრატიული განვითარების გზას.

საქართველოში პოლიტიკური ცხოვრება მიმდინარეობდა ტოტალიტარულიდან დემოკრატიულისაკენ, იმპერიულიდან ეროვნულისაკენ მოძრაობის ფონზე. ამ პროცესის სხვადასხვა ეტაპზე პოლიტიკური სტრუქტურა არაერთგვაროვანი იყო.

„პერესტროიკის" პოლიტიკა გარკვეულ წრეებში პოპულარობის შენარჩუნებას ახერხებდა, მანამდე, ვიდრე საზოგადოების დემოკრატიზაციისაკენ სვლას უწყობდა ხელს. მაგრამ, როდესაც გამომჟღავნდა გარდაქმნის პროსაბჭოური და პროიმპერიული ხასიათი, მისი ავტორიტეტი მკვეთრად დაეცა. ამის პარალელურად მოხდა ეროვნული მოძრაობის შემდგომი დიფერენციაცია. ამ მოძრაობის ერთი ნაწილი მხარს უჭერდა ბრძოლის პარლამენტურ გზას, მეორე კი ჯერ კიდევ ძლიერი ტოტალიტარიზმის პირობებში პარლამენტურ გზას არაეფექტურად თვლიდა. ამ ეტაპზე მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობდა საპარლამენტო ბრძოლის ის გზა, რომელიც საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისკენ იყო მიმართული. ეს დადასტურდა კიდეც 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარებული არჩევნების შემდეგ, რომელშიც დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო", ვინაიდან ამ ბლოკმა თავისი ბრძოლის სტრატეგიაში გააერთიანა საპარლამენტო ბრძოლის გზა და ეროვნული დაუმორჩილებლობის გზა. სრულიად კანონზომიერად მოხდა სახელმწიფო ძალაუფლების კონცენტრირება ეროვნული მოძრაობის ყველაზე მძლავრი ფრთის ხელში. ტოტალიტარული, იმპერიული, კომუნისტური მმართველობა შეცვალა ხალხის მიერ არჩეულმა დემოკრატიულმა, ეროვნულმა მმართველობამ. არჩევისთანავე ახალი ხელისუფლება ურთულესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, ვინაიდან, გარდა ძირითადი სტრატეგიული მიზნის რეალიზაციისა — საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენისა, მასვე დაეკისრა ქვეყნის გამოხსნა უმძაფრესი კრიზისიდან.

ეროვნული ხელისუფლება არჩეულ იქნა ისეთ დროს და ისეთ პირობებში, როდესაც საქართველო ფაქტობრივად სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კატასტროფის ზღურბლთან მიიყვანა საბჭოთა იმპერიალიზმმა, მისმა მბრძანებლურ-ადმინისტრაციულმა სისტემამ. სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფერო ითხოვდა რადიკალურ რეორგანიზაციას, განსაკუთრებით სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო გადაუდებელი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელება. ამ თვალსაზრისით, წინასწარვე, არჩევნებამდე განისაზღვრა ეროვნული ხელისუფლების პოლიტიკის უმთავრესი ორიენტირი (იხ. „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" წინასაარჩევნო პროგრამა) და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, რეალურად შეფასდა გარდამავალი პერიოდის, როგორც კომუნისტური მემკვიდრეობის დაძლევის, აუცილებლობა. ამასთან, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულ იქნა ყველა ის სირთულე, რაც ყოველთვის თან სდევს სახელმწიფოს შიგნით და მის ირგვლივ მიმდინარე ძირეულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ ძვრებს.

გარდამავალი პერიოდის მთავარი წინააღმდეგობაა საბჭოთა კავშირის ხელისუფლებასა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ რესპუბლიკებს შორის არსებული პოლიტიკური კონფრონტაცია.

ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირს აღარ ძალუძს საყოველთაო კრიზისიდან თავის დასაღწევად განახორციელოს კონსტრუქციული ცვლილებები, მას შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში მხოლოდ უხეში, ძალისმიერი რეაქცია შეუძლია.

მეორე მხრივ, თავისუფლებისათვის მებრძოლ რესპუბლიკებში ჯერ არ დასრულებულა მყარი ეროვნული ხელისუფლების ფორმირების საკმაოდ მტკივნეული და კრემლის მიერ ყოველნაირად ბლოკირებული პროცესი.

გარდამავალი პერიოდის სირთულეებს, გარდა ზემოაღნიშნულისა, განაპირობებს რიგი შინაგანი მიზეზები, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

ა) კრემლმა კავკასიაში ოსური აგრესიული სეპარატიზმის გამოყენებით მოახერხა ისტორიულ შიდა ქართლში კონფლიქტის ინსპირირება;

ბ) გარკვეულ ძალთა მიერ ჩამოყალიბდა ე. წ. ეროვნული კონგრესი სახელმწიფოს მიმართ პარალელური სტრუქტურის პრეტენზიით, რამაც უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნით ხელი შეუშალა საქართველოში პოლიტიკური სტაბილიზაციის პროცესს.

ქვეყნისა და ეროვნული ხელისუფლების სტაბილურობის გარანტიების შექმნას ემსახურება ის ძირეული პოლიტიკური რეფორმა, რომელსაც არჩევისთანავე ინტენსიურად ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება.

საშინაო პოლიტიკურ რეფორმას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ახორციელებს შემდეგი მთავარი მიმართულებით:

1) საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი გარანტიები;
2) სახელმწიფო მმართველობის რეფორმის განხორციელება;
3) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა;
4) სამართლებრივი სისტემის რეფორმის გატარება;
5) ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის სტრუქტურათა ფორმირება.

**საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი გარანტიები.** ამ მიმართულებით ეროვნულმა ხელისუფლებამ ორ ეტაპად განახორციელა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი უზრუნველყოფა. პირველ ეტაპზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ცვლილებები შეიტანა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში, მიიღო რიგი საკანონმდებლო აქტები, რის შედეგადაც შეჩერდა საკავშირო კონსტიტუციისა და კანონების მოქმედება საქართველოში, შეიცვალა ქვეყნის სახელწოდება, სახელმწიფო სიმბოლიკა და, რაც მთავარია, მოხდა გარდამავალი პერიოდის დეკლარირება. ამით მკვეთრად შეიზღუდა საბჭოთა კავშირის ხელისუფლების იურისდიქცია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დაკანონდა საქართველოს სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ და ფაქტობრივად მომზადდა მეორე ეტაპი — აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა.

ამ ეტაპის რეალიზაცია დააჩქარა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ რესპუბლიკათა და, კერძოდ, საქართველოს წინააღმდეგ მიმართულმა კრემლის აგრესიულმა პოლიტიკამ, რაც ორი უმთავრესი მომენტით იყო განპირობებული: კრემლის უხეში ჩარევით საქართველოს საშინაო საქმეებში (ანტიქართული სეპარატიზმის პირდაპირი ინსპირაცია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა) და სამოკავშირეო ხელშეკრულების, აგრეთვე საერთო საკავშირო რეფერენდუმის თავსმოხვევის მცდელობით. ამ რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში მნიშვნელოვნად გართულდებოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. საბჭოთა კავშირის რეფერენდუმს საქართველომ ბოიკოტი გამოუცხადა, სამაგიეროდ მომზადდა და 31 მარტს ბრწყინვალე შედეგებით ჩატარდა რესპუბლიკური რეფერენდუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 90%-მა, მასში დასმულ კითხვას — გსურთ თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე — დადებითი პასუხი გასცა მონაწილეთა 99,8%-მა. 31 მარტის შემდეგ აღარ არსებობდა არც ერთი იურიდიული არგუმენტი, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო სამართლებრივი აქტით საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის წინააღმდეგ. 1989 წლის სისხლიანი კვირის მეორე წლისთავზე 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. ამ დღემ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა 26 მაისის გვერდით, როგორც ერთ-ერთი უბრწყინვალესი გამარჯვების დღემ საქართველოს ისტორიაში.

**სახელმწიფო მმართველობის რეფორმა.** საბჭოური სახელმწიფო სტრუქტურების დემონტაჟისა და ახალი დემოკრატიული სტრუქტურების შექმნის მიზნით ეროვნულმა ხელისუფლებამ უმოკლეს დროში განახორციელა სახელმწიფო მმართველობის რეორგანიზაცია. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია:

ა) ერთპარტიული დიქტატურის ლიკვიდაცია და მრავალპარტიულობის ფაქტობრივი დაკანონება;
ბ) მთავრობის რეორგანიზაცია;
გ) ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუტების — საკრებულოებისა და პრეფექტურების შემოღება;
დ) პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება.

ა) საბჭოური სახელმწიფო სტრუქტურების საფუძველი იყო კომუნისტური პარტიის მიერ ხელისუფლების უზურპაცია, რომელიც საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნა 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ. შეიქმნა ჭეშმარიტი დემოკრატიისა და პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრების რეალური შესაძლებლობა. მრავალპარტიულობა დაკანონდა როგორც კონსტიტუციურად, ისე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების — საკრებულოების საარჩევნო კანონებით. პოლიტიკურ პარტიებს ფაქტობრივადაც მიეცათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. ამის თვალსაჩინო მაგალითია თვით უზენაესი საბჭოსა და მთავრობის მრავალპარტიული შემადგენლობა, რომლებშიც წარმოდგენილია ათი პოლიტიკური ორგანიზაცია.

ბ) მთავრობის რეორგანიზაცია, რომელიც ჯერ არ დასრულებულა, უპირველეს ყოვლისა გულისხმობს მართვის ბიუროკრატიული, მრავალსაფეხურიანი სისტემის შეცვლას. იგი უშუალოდ არის დაკავშირებული მთელი ეკონომიკური სისტემის რადიკალურ რეფორმასთან. უზენაესმა საბჭომ მკვეთრად შეამცირა სამინისტროების რაოდენობა და შესაბამისად სახელმწიფო აპარატი.

გ) ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული ხელისუფლების მიერ ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუტების — საკრებულოებისა და პრეფექტურების შემოღებას. გარდამავალ პერიოდში სავალდებულოა რესპუბლიკის უზენაესი ხელისუფლების გადაწყვეტილებათა ოპერატიული რეალიზება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. აუცილებელია ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურათა იმგვარი ფორმირება, რომ საქართველოს თითოეულ რეგიონში დაცული იყოს როგორც საერთო სახელმწიფოებრივი, ისე ადგილობრივი ინტერესები. ასეთ დროს გამორიცხულია როგორც ადგილობრივი ხელისუფლების ზეცენტრალიზებული სისტემის შენარჩუნება, ასევე სრული თვითმმართველობა, რომლის განხორციელება მოჩვენებითი იქნებოდა რაიონებში შექმნილი ქაოსისა და ანარქიის გამო. საუკეთესო გამოსავალია სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ურთიერთქმედება და ურთიერთკონტროლი. ეს განაპირობებს როგორც ადგილობრივი მმართველობის — პრეფექტურების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების — საკრებულოების არსებობას.

დ) საბჭოური პოლიტიკური სისტემის ლიკვიდაცია საქართველოში დასრულდა პრეზიდენტის ინსტიტუტის დაწესებით. მისი აუცილებლობა და დღეისათვის მინიჭებული უფლებამოსილებანი განაპირობა რიგმა მიზეზებმა, რომელთაგან ხაზგასმით გამოვყოფთ შემდეგს:

— საქართველოში საფუძველი ჩაეყარა საბჭოურისაგან რადიკალურად განსხვავებულ პოლიტიკურ სისტემას. არსებულ ვითარებაში მისი ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფისა და მომავალში უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ რეფორმათა განხორციელებისათვის აუცილებელია ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება;

— დღეს საჭიროა მოქალაქეთა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების მყარი გარანტია, რასაც უზრუნველყოფს მხოლოდ პასუხისმგებლობის ისეთი დონე, რომელიც გააჩნია საპრეზიდენტო ხელისუფლებას;

— საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის მიღების შემდგომ საპრეზიდენტო ხელისუფლებას ძალუძს იყოს ამ აქტის სამართლებრივი დაცვისა და ფაქტობრივი დამკვიდრების საყოველთაოდ აღიარებული ქმედითი გარანტი;

— პრეზიდენტის ინსტიტუტის დაწესებამ უნდა შექმნას ქვეყნის პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციის რეალური წინაპირობა და განამტკიცოს საქართველოს პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე.

პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებით საფუძველი ეყრება ხელისუფლების დანაწილებისა და ურთიერთგაწონასწორების მექანიზმის ამოქმედებას, რაც წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების აუცილებელ წანამძღვრებს.

საპრეზიდენტო ხელისუფლების შემოღებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ უკვე დაასრულა რადიკალური პოლიტიკური რეფორმის პირველი ეტაპი. მისი ძირითადი დანიშნულება იყო საბჭოური სტრუქტურების ლიკვიდაცია და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის საფუძვლების შექმნა.

**ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ არჩევნებისთანავე მოახდინა აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიათა ხელშეუხებლობის დეკლარირება. ამით ხაზი გაესვა ახალი ეროვნული ხელისუფლების დაინტერესებას, მიღწეული ყოფილიყო ერთაშორისი თანხმობა. ამგვარი და ბევრი სხვა პოლიტიკური ინიციატივის მიუხედავად თავიდან ვერ ავიცილეთ საბჭოთა კავშირის მიერ ინსპირირებული კონფლიქტი ისტორიულ შიდა ქართლში. ოსური სეპარატიზმი აშკარად დაუპირისპირდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ინტერესებს და ე. წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებით სერიოზული საფრთხე შეუქმნა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. აუცილებელი გახდა საპასუხო ღონისძიების განხორციელება — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გააუქმა უკანონოდ შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რითაც აღდგა ისტორიული სამართლიანობა. ავტონომიური ოლქის გაუქმება როდი ნიშნავს ეროვნული უმცირესობის უფლებათა ხელყოფას. ოსი და სხვა არაქართველი მოსახლეობისათვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გარანტირებულია კულტურული ავტონომიის უფლება.

რაც შეეხება პოლიტიკურ ავტონომიას, მის არსებობას შიდა ქართლში არასოდეს გააჩნდა საფუძველი და მით უმეტეს აღარ გააჩნია მას შემდეგ, რაც იგი გამოყენებულ იქნა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ, იქცა ანტიქართული პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს დასაყრდენად და საქართველოს საშინაო საქმეებში კრემლის პოლიტიკური და სამხედრო ჩარევის საბაბად.

არც ერთი ქვეყანა, და მათ შორის საქართველოც, არ დაუშვებს საკუთარი სახელმწიფოს ისეთ მოწყობას, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მის ტერიტორიულ მთლიანობას, სამოქალაქო მშვიდობას და უცხო ქვეყნის მიერ გამოყენებული იქნება საშინაო საქმეებში ფარული თუ აშკარა ჩარევისათვის, მით უმეტეს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო პაქტები და კონვენციები ეროვნულ უმცირესობათათვის ითვალისწინებენ მხოლოდ კულტურულ ავტონომიას.

**სამართლებრივი სისტემის რეფორმა.** ეროვნულმა ხელისუფლებამ არჩევისთანავე დაიწყო სამართლიანობის პრინციპის აღდგენა. გამოცხადდა ფართო მასშტაბის ამნისტია, რომელმაც გაათავისუფლა შესაბამისი სასჯელისაგან ყველა ის პირი, ვინც ტოტალიტარულმა რეჟიმმა სამართალდამრღვევად აქცია. მთელ რიგ დანაშაულთათვის გაუქმდა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა. გაუქმდა ან შეიცვალა ანტიჰუმანური მუხლები სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსსა და პენიტენციალურ სისტემას სჭირდება შემდგომი რეფორმები.

აღნიშნული იურიდიული აქტები წარმოადგენს არა მხოლოდ ხელისუფლების მიერ ჰუმანიზმის გამოვლინებას, არამედ საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა— თავისუფალი საქართველოს" მიერ დასახული სამართლებრივი სისტემის რეფორმის დაწყებას.

გატარდა სამართალდამცველ ორგანოთა დეპოლიტიზაცია და დეპარტიზაცია, განხორციელდა ქმედითი ღონისძიებანი ადამიანთა უფლებების დაცვის და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის. მიღებულ იქნა კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სასამართლო წყობილების შესახებ", რითაც სასამართლო გათავისუფლდა ტოტალიტარული რეჟიმის მიერ თავსმოხვეული რეპრესიული ფუნქციებისაგან. იგი თანდათანობით ხდება პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესების დაცვის ორგანო.

კარდინალური რეფორმა გატარდა სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მიმართ: სახელმწიფო არბიტრაჟი გამოყვანილ იქნა მმართველობის ორგანოების სისტემიდან და ჩამოყალიბდა საარბიტრაჟო სასამართლოს სახით. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ძირეული ცვლილებების შეტანამ, პოლიტიკური და სამართლებრივი რეფორმის გატარებამ შექმნა სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების საფუძვლები. ეს პროცესი უნდა დასრულდეს საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის მიღებით, რომლის შემუშავებისთვისაც შექმნილია სპეციალური კომისია.

**თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების სტრუქტურების საფუძვლების შექმნა.** ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების სტრუქტურათა შექმნა. ამ მიმართულებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ უკვე მიიღო რიგი საკანონმდებლო აქტები.

1991 წლის 26 აპრილს ეროვნულ სტადიონზე სამშობლოსადმი ერთგულების ფიცი დადეს ეროვნული გვარდიის პირველმა შენაერთებმა. საქართველოს მომავალი თავდაცვის სისტემის ფორმირებისათვის ხელისუფლებამ შექმნა რეალური პერსპექტივა — მიღებულია სამხედრო ვალდებულთა ეროვნულ გვარდიაში გაწვევის კანონი, რომლის საფუძველზეც ორი წლის შემდეგ საქართველოს მიეცემა შესაძლებლობა დაახლოებით 60-ათასიანი არმიის შექმნისა.

საქართველოს სამხედრო დოქტრინა თავდაცვითი ხასიათისა უნდა იყოს. პირველ რიგში იგი უნდა ითვალისწინებდეს საერთო ევროპული უსაფრთხოების სისტემის შექმნისათვის ხელშეწყობას. ეს გარემოება წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებისა და მათი სტატუსის განსაზღვრის წინაპირობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიმდინარეობს გარდამავალი პერიოდის პოლიტიკურ მიზანდასახულობათა თანამიმდევრული რეალიზაცია. პრეზიდენტის არჩევნების შემდგომ ეს პროცესი თავის გადამწყვეტ ფაზაში უნდა შევიდეს.

გარდამავალი პერიოდი იურიდიულად დასრულდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებით, ხოლო გარდამავალი პერიოდის ფაქტობრივი დასრულებისათვის არსებობს შემდეგი აუცილებელი პირობები:

ა) საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს სუვერენული ძალაუფლება სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე;
ბ) უნდა აღდგეს საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები;
გ) საქართველოს რესპუბლიკა მსოფლიო სახელმწიფოთა მიერ აღიარებული უნდა იქნეს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ამ პროცესის დასაწყისად ჩაითვლება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობა რამდენიმე სახელმწიფოს მიერ;
დ) უნდა დაიწყოს მოლაპარაკება შეიარაღებული ძალების საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყოფნის საკითხზე.

**პოლიტიკური რეფორმის ძირითადი მიმართულებანი.** საქართველოში მიმდინარე გარდამავალი პერიოდის დასრულებისა და ფაქტობრივი დამოუკიდებლობის მიღწევისათვის ძირეული საშინაო პოლიტიკური რეფორმა უნდა განვითარდეს იმ მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს:

1. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლოს ხელისუფლებათა განმტკიცება, მათ ფუნქციათა გამიჯვნა და განაწილება, პოლიტიკური სისტემის ფორმირების დასრულება, საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის მიღება;
2. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების გარანტიების შექმნა და ამ უფლებათა დაცვა;
3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, ეროვნული უშიშროება;
4. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა და ეროვნულ უმცირესობათა ეროვნულ-კულტურული უფლებების დაცვა;
5. სახელმწიფოებრივი მოწყობის რეფორმის დასრულება;
6. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ტრადიციულ ურთიერთობათა აღდგენა.

**ეროვნული ხელისუფლების სუვერენიტეტის განმტკიცება და გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური სისტემის საბოლოო ფორმირება.** საქართველოს რესპუბლიკის ფაქტობრივ დამოუკიდებლობას მყარი იურიდიული საფუძველი უნდა შეექმნას. სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმნელად, მისი დამოუკიდებლობის სამართლებრივ გარანტად უნდა იქცეს ახალი კონსტიტუცია, რომელიც შემუშავებულ უნდა იქნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე, თანამედროვე პირობების გათვალისწინებით. უნდა განხორციელდეს საპრეზიდენტო ხელისუფლების — პრეზიდენტის საბჭოს ფორმირება, რომელიც შექმნის სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების სუვერენობის საიმედო გარანტიას. საქართველოს ახალი კონსტიტუცია უნდა დაეფუძნოს საერთაშორისო სამართლის აღიარებულ პრინციპებს, გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაციას, სხვა საერთაშორისო დეკლარაციებს, პაქტებსა და კონვენციებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ. მან უნდა დაამკვიდროს საქართველოს სახელმწიფოში დემოკრატია, პლურალიზმი, სამართლიანობა და კაცთმოყვარეობა, ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, სინდისის თავისუფლება.

მკაფიოდ უნდა განისაზღვროს უზენაეს საბჭოში არსებულ პოლიტიკურ ფრაქციათა უფლება-მოვალეობანი.

განსახორციელებელია სამართლებრივი რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს:

— კანონის უზენაესობას;
— ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საფუძველზე სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცებას;
— სასამართლო სისტემის რეფორმის დასრულებას.

ამ ეტაპზე რეფორმა ითვალისწინებს მართლმსაჯულების ორგანოების ობიექტურობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ყველაზე უფრო ადეკვატური ფორმის — ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას.

თანმიმდევრულად გაგრძელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა გამიჯვნის პროცესი.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპის განხორციელება გამორიცხავს ერთი რომელიმე ორგანოს მიერ ხელისუფლების მონოპოლიზაციის საფრთხეს, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ხელისუფლების მთელი სისტემის შესაბამისობას სამართლის მოთხოვნებთან.

ხელისუფლების დანაწილება უზრუნველყოფს იმგვარ პირობებს, როცა თითოეული ხელისუფალთაგანი თავისი ბუნების, ფუნქციების, ხასიათისა და დანიშნულების შესაბამისად სათანადო ადგილს დაიკავებს სახელმწიფოს სისტემაში და წარმართავს საქმიანობას სპეციფიკური საშუალებებით, მათთვის შესატყვის ფორმებსა და ჩარჩოებში.

სახელმწიფო უზრუნველყოფს პოლიტიკური ოპოზიციის უფლებათა სამართლებრივ დაცვას.

უნდა მოხდეს ერისა და საზოგადოების კონსოლიდაცია. ამას საფუძვლად უნდა დაედოს არა პოლიტიკური, არამედ ეროვნული და სულიერი მოტივები. სახელმწიფომ ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი რელიგიის აღორძინებას, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გაძლიერება-განმტკიცებას.

საპრეზიდენტო ხელისუფლების უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საქმიანობას გააკონტროლებენ საკრებულოები.

ყოველივე ზემოთქმული შესაძლებლობას მოგვცემს, საბოლოოდ დავასრულოთ გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური სისტემის ფორმირება.

**საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების დაცვა და გარანტიები.** საპრეზიდენტო ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეთა უფლებრივი თანასწორობა. საჭიროა მიღებულ იქნეს კანონები სახელმწიფო ენის, მოქალაქეობის, მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების, სინდისის თავისუფლების, რელიგიური ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების შესახებ. ეს კანონები უნდა დაეფუძნოს გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციას, ჰელსინკის, ვენისა და პარიზის საერთაშორისო შეთანხმებებს. უნდა გავითვალისწინოთ საქართველოსათვის ტრადიციული რელიგიური და ეროვნული შემწყნარებლობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი უკვე მუშაობს აღნიშნულ კანონებზე, მიმდინარეობს მათი დახვეწა-დამუშავება და ისინი უახლოეს ხანს იქნება მიღებული.

სახელმწიფო ხელისუფლებას და მოქალაქეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას საფუძვლად უნდა დაედოს პრინციპი — სახელმწიფო მოქალაქისათვის და არა მოქალაქე სახელმწიფოსათვის. მოქალაქეების უფლება-მოვალეობათა უმთავრესი პირობა უნდა იყოს ზნეობრივ პრინციპებზე დაფუძნებული კანონების უზენაესობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. საპრეზიდენტო ხელისუფლებამ უნდა გაატაროს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც თითოეული მოქალაქის უფლებათა ხელშეუვალობის გარანტი იქნება.

**საქართველოს მოქალაქეობა.** საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ამოცანების გადაწყვეტა აუცილებლობით მოითხოვს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური ინსტიტუტის — მოქალაქეობის საკანონმდებლო რეგულირებას.

ამისათვის საჭიროა უახლოეს ხანში მივიღოთ კანონი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ, რომელშიც აისახება მოქალაქეობრივი კუთვნილების, მოქალაქეობის შეძენისა და შეწყვეტის, მოქალაქეობის აღდგენისა და მოქალაქეობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქეობის შესახებ კანონზე მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ გასულ წელს. მიმდინარეობდა საკმაოდ ინტენსიური მუშაობა, რომელშიც სახელმწიფო ორგანოებთან ერთად მონაწილეობდნენ სამეცნიერო დაწესებულებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კვალიფიციური სპეციალისტები. მომზადდა კანონპროექტის რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც მეტ-ნაკლებად ასახავდნენ საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ მდგომარეობას. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მოქალაქეობის კანონის საბოლოო, შეჯერებულ ვარიანტზე. ვფიქრობთ, უახლოეს ხანში გამოვაქვეყნებთ კანონპროექტს სახალხო განხილვისათვის.

კანონპროექტის საბოლოო ვარიანტში, ჩვენი აზრით, გათვალისწინებული უნდა იქნეს უცხოეთის დემოკრატიული ქვეყნების, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გამოცდილება. კანონმა უნდა განამტკიცოს ბინადრობის ცენზის, საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემის სავალდებულობის და მოქალაქეობის სხვა უმთავრესი პრინციპები. მიგვაჩნია, რომ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ შეიძლება გახდეს ყველა ის პირი, ვინც მუდმივად ჩაწერილია საქართველოში, აქვს მუდმივი სამუშაო ადგილი ან ლეგალური შემოსავლის წყარო და დეკლარაცია-ფიცზე ხელმოწერით დაადასტურებს თავის ერთგულებას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის, მისი ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

ვფიქრობთ, მოქალაქეობის კანონის მიღება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტის პირობას შექმნის.

**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ეროვნული უშიშროება და თავდაცვა.** უპირველეს ყოვლისა, უნდა განხორციელდეს საქართველოს რესპუბლიკის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საზღვრების აღდგენა-ჩამოყალიბება (რედემარკაცია-დემარკაცია და ლეგიტიმაცია), საზღვრების დადგენის, სასაზღვრო ზონისა და ზოლის განსაზღვრის, სასაზღვრო რეჟიმის შემოღების შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბდება ეროვნული საბაჟო სამსახური და შეიქმნება შესაბამისი საბაჟო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა. ყოველივე ეს უზრუნველყოფს პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრების შეუვალობას. საპრეზიდენტო ხელისუფლებამ უზენაეს საბჭოსთან ერთად უნდა დაამტკიცოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული საზღვრები, მიიღოს კანონი სასაზღვრო რეჟიმისა და საზღვრების, ემიგრაციისა და იმიგრაციის, აგრეთვე საბაჟო სამსახურის და საბაჟო პოლიტიკის შესახებ.

ტერიტორიული მთლიანობის გარანტირება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ეროვნული უშიშროების სისტემის ჩამოყალიბების შემთხვევაში. საპრეზიდენტო ხელისუფლებამ პირველ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს ეროვნული უშიშროების სამსახურის, ეროვნული გვარდიის, ხოლო შემდგომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ორგანიზება. საქართველოს სამხედრო სიძლიერე უნდა დაეფუძნოს როგორც საყოველთაო სამხედრო ვალდებულებას, ისე პროფესიული რეგულარული არმიის ჩამოყალიბებას.

(გაგრძელება მე-3 გვ.)

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის ბატონ ზვიად გამსახურდიას საარჩევნო პროგრამა

(გაგრძელება)

**საქართველოს მოქალაქეთა ეროვნულ-კულტურული უფლებების დაცვა.** საპრეზიდენტო ხელისუფლებამ ურთიერთპატივისცემის საფუძველზე უნდა უზრუნველყოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა განვითარების შესაძლებლობა. მიიღება კანონი ეროვნულ უმცირესობათა შესახებ, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოქალაქეებისათვის გარანტირებული იქნება: მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, ეროვნული კულტურის განვითარების, კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნით სათვისტომოებისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებად გაერთიანების, მშობლიურ ენაზე ბეჭდვისა და საინფორმაციო საშუალებების გამოყენების უფლებები. საქართველოს მოქალაქეთა უფლება — მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში — არ შეიზღუდება მათი ეროვნული კუთვნილების გამო. ამასთან, ყოველი მოქალაქე და, მათ შორის ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი, ვალდებული იქნება პატივი სცეს და დაიცვას საქართველოს რესპუბლიკის კანონები და ინტერესები.

**სახელმწიფო მოწყობის რეფორმა.** საპრეზიდენტო ხელისუფლებამ დემოკრატიული სტრუქტურების განვითარების კვალობაზე უნდა უზრუნველყოს ისეთი სამართლებრივ-პოლიტიკური იდეის გატარება, რომელიც გამორიცხავს სახელმწიფოსა და მისი შემადგენელი ნაწილების დაპირისპირებას, დაიცავს სახელმწიფოს ერთიანობას და ხელს შეუწყობს რესპუბლიკის სტრუქტურულ ერთეულთა ინტერესების დაცვას. სახელმწიფოებრივი მოწყობის რეფორმა უნდა დაეფუძნოს მმართველობისა და თვითმმართველობის პრინციპებს. თვითმმართველობის ჩამოყალიბებას საფუძვლად უნდა დაედოს მოცემულ ტერიტორიაზე მოქალაქეთა მიერ არჩეულ და მათდამი ანგარიშვალდებულ ორგანოთა სისტემა, რომელიც კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილი იქნება, შესაბამისი ტერიტორიის თავისებურებებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ადგილობრივი ეკონომიკური, ადმინისტრაციული, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო-კომუნალური საკითხები.

საპრეზიდენტო ხელისუფლების და პარლამენტის მიერ კონსტიტუციურად გარანტირებული იქნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მომავალს განსაზღვრავს თავად აჭარის მოსახლეობა.

**სახელმწიფო და ეკლესია.** ცივილიზებული საზოგადოების არსებობა წარმოუდგენელია რელიგიური და საერო ცხოვრების ერთიანობის გარეშე. რელიგიური ცხოვრების ორგანიზება ხდება ეკლესიის, ხოლო საერო ცხოვრებისა — სახელმწიფოს მიერ. საქართველოში ტრადიციული იყო ორგანული კავშირი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. რელიგიური აღზრდა, ქრისტიანული სიწმინდე, სიყვარული, სამართლიანობა და სათნოება აყალიბებდა ქართული სახელმწიფოს ერისკაცის ხასიათს. ქართველთა ცხოველი მორწმუნეობა განსაზღვრავდა მტრულ გარემოცვაში ქართული სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვან არსებობას, ხოლო სახელმწიფო თავის მხრივ ყოველნაირად უწყობდა ხელს ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობას.

სახელმწიფოს გაუქმებამ დაარღვია საქართველოს საერო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა. საქართველოს ეკლესიამ დაკარგა ავტოკეფალია. საბჭოთა რუსეთის მიერ ხელმეორედ დაპყრობის შემდეგ კომუნისტურმა სახელმწიფომ მსოფლიო ისტორიაში უპრეცედენტო ათეისტური ბრძოლა გამოუცხადა რელიგიას საერთოდ და, პირველ ყოვლისა, ქრისტიანულ ეკლესიას. საყოველთაო ათეიზმის დამკვიდრებამ განაპირობა სეკულარიზებული საბჭოთა საზოგადოებისათვის რელიგიურ-ზნეობრივ ღირებულებათა გაუფასურება. რელიგიური ნიჰილიზმი, რელიგიის და ზნეობის დაცემა იყო ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რამაც ქართველობა ეროვნული კატასტროფის წინაშე დააყენა.

ქართული ეროვნული მოძრაობა თავისი საწყისებით [illegible] არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან და ეკლესიურ წიაღთან. თავისი შინაგანი არსით ეს რელიგიურ-ეროვნული მოძრაობაა, რამდენადაც იგი გულისხმობს არა მარტო განკერძოებული ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ პირველ ყოვლისა, ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას, რელიგიურ რწმენასა და ცნობიერებაზე დამყარებით.

ეროვნული მოძრაობის მოსვლა ხელისუფლების სათავეში რეალურ წინაპირობას ქმნის ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის ქრისტიანული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ერთობის აღდგენისათვის. ამ ერთობის არსი შემდეგში მდგომარეობს: ეროვნული ხელისუფლების ავტორიტეტი, მისი ძალაუფლება უნდა დაემყაროს არა მხოლოდ ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად რელიგიურ-ზნეობრივ საწყისებს.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეკლესიის უფლება — იყოს საერო ცხოვრების აქტიური მონაწილე. სახელმწიფომ უნდა დაიცვას საეკლესიო ქონება, ხელი შეუწყოს ეკლესიას ტრადიციულ სამონასტრო მოღვაწეობაში. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რათა ეკლესიამ მიიღოს საჭირო მატერიალური დახმარება საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვისათვის, ტაძრების მშენებლობისა და შეკეთებისათვის. უნდა აღდგეს საეკლესიო საკუთრება მიწაზე.

აღნიშნული არ ხელყოფს სხვა რელიგიების აღმსარებელთა, აგრეთვე ათეისტთა მოქალაქეობრივ უფლებებს. სახელმწიფოს მიერ გარანტირებული იქნება სინდისის თავისუფლება და თითოეულ პიროვნებას მიეცემა შესაძლებლობა იყოს აღმსარებელი იმ სარწმუნოებისა, რომელსაც თავად აღიარებს. მოქალაქეთა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური უფლებები არ შეიზღუდება რელიგიური ნიშნით. ქართული სახელმწიფო კვლავაც ერთგული დარჩება ტრადიციული რელიგიური შემწყნარებლობისა.

**საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი.** საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფაქტობრივი და იურიდიული ცნობა მსოფლიო ერთა თანაარსებობის, ევროპული და კავკასიური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი საკითხია. საქართველოს ისტორია და გეოპოლიტიკური მდგომარეობა განაპირობებს მის მასტაბილიზებელ როლს კავკასიის რეგიონში პოლიტიკური, თავდაცვითი, ეკონომიკური, ეროვნებათშორისი თუ სხვა პრობლემების თვალსაზრისით. ქართველ ერსა და ქართულ სახელმწიფოს ტრადიციულად ჰქონდა ეს ფუნქცია და ყოველთვის ღირსეულად ართმევდა მას თავს.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის რეალური აღდგენის უზრუნველყოფა 1918 წლის 26 მაისისა და 1991 წლის 9 აპრილის აქტების საფუძველზე.

საქართველოს საგარეოპოლიტიკური საქმიანობის შესაძლებლობები განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფოს რეალური საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსითა და საქართველოს რესპუბლიკის ცნობით მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთა მიერ.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ცნობის უმნიშვნელოვანესი შიდაპოლიტიკური წინაპირობაა დემოკრატიული წესით არჩეული ეროვნული ხელისუფლების მიერ საქართველოს რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე სუვერენული ძალაუფლების განხორციელება. ეს წინაპირობა უკავშირდება სახელმწიფო მმართველობის ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციების რეალიზაციას, როგორიცაა თავდაცვა, სახელმწიფო უშიშროება, საბაჟო სამსახური და საგარეო კავშირები.

ეს ამოცანები უნდა გადაიჭრას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, მთავრობისა და უზენაესი საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში, აგრეთვე საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების გზით.

**დამოკიდებულება სსრ კავშირთან და ცალკეულ რესპუბლიკებთან.** სსრ კავშირთან ურთიერთობის პრობლემას საქართველოს რესპუბლიკისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარება სხვა სახელმწიფოთა მიერ უკავშირდება საქართველოსა და სსრ კავშირს შორის დაძაბულობის შენელებას. მისი საფუძველი უნდა გახდეს სსრ კავშირის მხრივ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობა, ორ სახელმწიფოს შორის თანასწორუფლებიანობა, ურთიერთპატივისცემა და ურთიერთდაინტერესებაზე დამყარებული ურთიერთობა. ამასთანავე ორივე სახელმწიფო (საქართველოს რესპუბლიკა და სსრ კავშირი) თანამშრომლობისას უნდა იღებდნენ ვალდებულებას ურთიერთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის შესახებ.

უნდა მოხდეს შეთანხმება შემდეგ საკითხებზე:

— ერთობლივი სახელმწიფო საზღვრისა და მისი რეჟიმის შესახებ, საზღვრის გადაკვეთისა და საბაჟო კონტროლის თაობაზე;

— ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ;

— ჰუმანიტარულ სფეროში თანამშრომლობის და ადამიანის უფლებათა დაცვის ერთობლივი უზრუნველყოფის შესახებ;

— საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო ბაზების სტატუსის, მათი დისლოკაციის პირობებისა და ვადების შესახებ.

საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხს. საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის თანასწორუფლებიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება წარმოადგენს ორივე მხარის ჭეშმარიტ ინტერესებს.

უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის შორის ურთიერთობა თვისებრივად ახალ შინაარსს იძენს. ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოს რესპუბლიკასა და რსფსრ-ს ხელმძღვანელთა შორის 1991 წლის 23 მარტს დაბა ყაზბეგში გამართული მოლაპარაკების შედეგად მიღებული დოკუმენტი. ამ დოკუმენტში ფაქტობრივად აღიარებულია სამართლიანობა ექვსი რესპუბლიკის სწრაფვისა სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ, რისი ლოგიკური დასასრულიც უნდა იყოს საბჭოთა კავშირის მხრიდან ამ რესპუბლიკების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობა.

საქართველო სოლიდარობას უცხადებს და მხარს უჭერს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ რესპუბლიკებს. მათთან ურთიერთობა დაემყარება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის აღიარებულ პრინციპებს.

**საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ცნობის ასპექტები.** პრეზიდენტის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ურთიერთობების აღდგენა-გაფართოება, პირველ რიგში კი საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა უცხოეთის ქვეყნების მიერ. საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ქვეყნის საგარეო ურთიერთობების აღდგენისა და გაფართოების საქმეში. თუმცა აშკარაა, რომ ამ მიმართულებით უამრავი სიძნელეა გადასალახი. ამ მხრივ პრეზიდენტის მთელი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ:

1. საქართველოს დამოუკიდებლობა ცნონ უცხოეთის ქვეყნებმა და შესაბამისად აღდგეს მისი დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი.

2. აღდგეს და გაფართოვდეს საქართველოს დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობები უცხოეთის ქვეყნებთან.

3. საქართველო გახდეს გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი და მათ საქმიანობაში შეასრულოს აქტიური როლი.

დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის მიერ მის ცნობასთან. მოლაპარაკების საფუძველზე მიღწეულ უნდა იქნეს, რომ საბჭოთა კავშირმა აღიაროს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 9 აპრილს მიღებული „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის" კანონიერება. როგორც ზემოთ ითქვა, გარკვეულ იმედს გვისახავს 25 აპრილს გამოქვეყნებული, სსრ კავშირის პრეზიდენტისა და ცხრა მოკავშირე რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი და სსრ კავშირის ეროვნებათა საბჭოს 24 აპრილის დადგენილება.

ამავე დროს უნდა გაფართოვდეს მოლაპარაკებები უცხოეთის ქვეყნებთან. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატების სენატში განსახილველად შეტანილი № 94 რეზოლუცია, რომელშიც გამოთქმულია ეროვნული და ტერიტორიული დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში ქართველი ხალხის მხარდაჭერა და მოთხოვნა საბჭოთა კავშირის მთავრობისადმი, აღიაროს ქართველი ხალხის ნება და ცნოს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის ლეგიტიმურობა.

საქართველოს რესპუბლიკის ცნობის პროცესი დაკავშირებულია აქტიურ საგარეო პოლიტიკასთან, რაც გულისხმობს: უცხო ქვეყნებთან საკონსულო ურთიერთობათა დამყარებას, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში მეთვალყურისა და მონაწილე სახელმწიფოს სტატუსით ჩართვას, სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას. უკვე ისახება საკონსულო ურთიერთობის პერსპექტივები აშშ-სთან, ისრაელთან და სხვა ქვეყნებთან.

საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელთა ვიზიტები აშშ-ში, საფრანგეთში, ავსტრიაში, იტალიაში, თურქეთში, ესპანეთში შეიძლება ჩაითვალოს მოსამზადებელ ეტაპად მსოფლიო სახელმწიფოებში საქართველოს წარმომადგენლობითი ცენტრების დაარსებისათვის. ეს ცენტრები შექმნიან საქართველოს რესპუბლიკის საელჩოთა ჩამოყალიბების საფუძველს. ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლობათა შექმნისათვის ხელშეწყობა. ამ მიზნით გამოყენებული უნდა იყოს უკვე არსებული სამეურნეო კავშირები, ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობანი, რომლებიც ამ ბოლო დროს დამყარდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან. აუცილებელია კონტაქტების გაფართოება უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან, მათ ორგანიზაციებთან, რათა აქტიურად გამოვიყენოთ ეს პოტენციალი საქართველოს რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის მხარდასაჭერად.

**კავკასიის რეგიონი.** საქართველოს ტრადიციულად მჭიდრო კავშირურთიერთობანი ჰქონდა უახლოეს მეზობლებთან — კავკასიის სახელმწიფოებთან და ხალხებთან. ამ ურთიერთობათა აღორძინება კეთილმეზობლობისა და მეგობრობის პრინციპის საფუძველზე უნდა წარმოადგენდეს კავკასიის რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას.

ეს ყოველივე ხელს შეუწყობს კავკასიის სახელმწიფოების მსოფლიო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ პროცესებში მონაწილეობას და მოგვცემს რეგიონალურ დონეზე თანამშრომლობის საშუალებას.

**შავი ზღვის რეგიონი.** შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება ხელს შეუწყობს საქართველოს საზღვაო სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესს. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ არსებული კავშირები უკრაინასთან და რუსეთის ფედერაციასთან. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ მათ მიერ მიღებული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დეკლარაციები, განვავითაროთ პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა ბულგარეთთან და რუმინეთთან. ეკონომიკურ სფეროში თურქეთის რესპუბლიკასთან თანამშრომლობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არსებობს გარკვეული ერთობლივი ინტერესები და წინაპირობები მათი განვითარებისათვის. ეს ყოველივე, შესაძლოა, გახდეს შავი ზღვის აუზის სახელმწიფოთა რეგიონალური თანამშრომლობის ხელშემწყობი ფაქტორი.

**ახლო აღმოსავლეთის რეგიონი.** საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ისტორიულად არსებული პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური კავშირურთიერთობების აღდგენა. ეს განპირობებულია საქართველოს მდებარეობით ჩრდილოეთ-სამხრეთისა და დასავლეთ-აღმოსავლეთის თანამშრომლობის ხაზთა გადაკვეთაზე.

ამ მიმართულებით გამოყენებულ უნდა იქნეს ქართველ და ებრაელ ხალხთა შორის ტრადიციულად არსებული მეგობრული დამოკიდებულება. უკვე იქმნება პირობები ამ უძველესი ერების სახელმწიფოთაშორის და მთავრობათაშორის დონეზე კავშირისათვის. ხელი უნდა შევუწყოთ რეგიონის ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოსთან ურთიერთსარგებლიანობისა და ურთიერთხელსაყრელობის პრინციპებზე აგებულ თანამშრომლობას.

**საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკურ ინტერესებთან დაკავშირებული საგარეო პოლიტიკის სხვა მიმართულებები.** მიგვაჩნია, რომ უნდა შევინარჩუნოთ ხელსაყრელი ეკონომიკური ურთიერთობები საბჭოთა კავშირთან და მასში შემავალ რესპუბლიკებთან. დღესდღეობით, საქართველოს რესპუბლიკის სტატუსის გაურკვევლობის გამო ევროპულ გაერთიანებასთან ეკონომიკური ურთიერთობები შეზღუდულია. აუცილებელია საერთო ევროპულ სტრუქტურებთან საქართველოს ეკონომიკური დაახლოების პროცესისათვის ხელშეწყობა.

ამ მიმართებით საქართველოს ხელისუფლება ეფექტიანად მოქმედებს. აღსანიშნავია, რომ უმოკლეს პერიოდში გაიხსნა და იხსნება საქართველოს რესპუბლიკის სამრეწველო-სავაჭრო პალატის მუდმივი წარმომადგენლობები სხვადასხვა ქვეყნებში (ავსტრია, მაროკო, თურქეთი, ისრაელი, აშშ).

ვითვალისწინებთ რა საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მძიმე მდგომარეობას, ჩვენს ბაზარზე აქტიური მოქმედების საშუალებას მივცემთ საზღვარგარეთელ პარტნიორებს, რათა დააბანდონ თავიანთი სახსრები. იჯარით აიღონ საწარმოები, შექმნან ერთობლივი საწარმოები, გახსნან თავიანთი წარმომადგენლობები და ა. შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ინვესტიციათა მოზიდვის ეკონომიკური ეფექტიანობის აუცილებელი წინაპირობაა საქართველოში ახალი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება და ორგანიზაცია. დასავლეთის ბანკების კრედიტებსა და ინვესტიციებს არ შეუძლიათ ავტომატურად გადაწყვიტონ ჩვენი ეკონომიკური პრობლემები. ამიტომ, პირველყოვლისა, უნდა აღდგეს ეკონომიკური სუვერენიტეტი, განხორციელდეს დემონოპოლიზაცია, პრივატიზაცია, თავისუფალი მეწარმეობისთვის ხელშეწყობა, საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და მის პარალელურად მოხდეს საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვა.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გამოცდილება ცხადყოფს, რომ არსებობს კარგი წინაპირობები უცხოეთის ქვეყნებთან ნაყოფიერი ეკონომიკური თანამშრომლობისათვის.

ეს თანამშრომლობა უნდა გამომდინარეობდეს საქართველოს, როგორც მსოფლიოს ეკონომიკური სისტემის განუყოფელი ნაწილის, ინტერესებიდან.

## ეკონომიკური ნაწილი

**ქართველი** ხალხის ბრძოლამ დამოუკიდებლობისათვის აამოქმედა იმპერიის არსენალში ჯერ კიდევ არსებული ის ეკონომიკური ბერკეტები, რომლებითაც კრემლი ცდილობს თავისუფლებისმოყვარე ერების დასჯას. ცენტრი უძლურია საკუთარი სამეურნეო პრობლემების მოგვარებაში და ამის გამო მთელს თავის პოტენციალს რესპუბლიკების ეკონომიკურ პარალიზებას ახმარს.

საქართველოს ახლანდელი ეკონომიკური სტრუქტურა განვითარების იმ სტრატეგიის შედეგია, რომელიც საბჭოთა წყობილების მიერაა თავსმოხვეული. მან საქართველოს თავის დროზე ფაქტობრივად წაართვა სუვერენული სამეურნეო არჩევანის უფლება. ტოტალიტარულ სახალხო მეურნეობრივ სისტემაში ჩართული საქართველო საერთაშორისო ეკონომიკური პროცესებისაგან იზოლირებული აღმოჩნდა. უცხო ეკონომიკურმა სისტემამ, მიწისა და წარმოების სხვა საშუალებებისაგან გაუცხოებამ, ქართველი კაცისათვის არატრადიციულმა წარმოებითმა ურთიერთობებმა საქართველოს ეკონომიკა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა.

შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი და გარანტი ჩვენი ეკონომიკის აღორძინებისა არის ის უდიდესი პოტენცია, რაც საქართველოს სპეციფიკურ გეოპოლიტიკურ მდგომარეობაში, მის ბუნებრივ რესურსებში, კლიმატურ პირობებში, ცივილიზებულ მსოფლიოზე ორიენტაციასა და ქართველი კაცის შესაძლებლობებში არსებობს. მხოლოდ თავისუფალ მეწარმეობაზე დამყარებული მეურნეობის საფუძველზეა შესაძლებელი იმპერიული ეკონომიკური ზღუდის გარღვევა, ხალხის კეთილდღეობის ამაღლება და საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში უშუალოდ ჩართვა, რაც თავის მხრივ განაპირობებს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ძლიერებასა და ცივილიზებულ ქვეყნებს შორის ღირსეული ადგილის დამკვიდრებას.

28 ოქტომბერს ისტორიულ არჩევნებში ხალხმა ხმა მისცა ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" ეკონომიკურ პროგრამას, რომლის ძირითადი მიმართულება იყო საქართველოს ეკონომიკური აღორძინება თავისუფალი მეწარმეობის განვითარების გზით. რესპუბლიკის ხელისუფლება კიდევ ერთხელ ადასტურებს მის მიერ არჩეული გზისადმი ერთგულებას.

განვლილმა ექვსმა თვემ თვალნათლივ დაგვანახა, რომ ეროვნული მთავრობის ძალისხმევის, უზენაესი საბჭოს მიერ ახალი ეკონომიკური კანონების მიღების მიუხედავად, ცენტრის ეკონომიკური მარწუხებისაგან სრულად ჯერ კიდევ ვერ განვთავისუფლდით. ფასების სწრაფი ზრდა, ინფლაციის მაღალი ტემპი, საფინანსო და მატერიალური რესურსების შეზღუდვა — აი, ის იარაღი, რომლითაც ცენტრი საქართველოს დიდ ზიანს აყენებს. რესპუბლიკის ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობს შეუმსუბუქოს მოსახლეობას კრემლის მიერ მიღებული ეკონომიკური გადაწყვეტილებებით მიყენებული ზარალი. ამას ადასტურებს თუნდაც ფულადი ნიშნების შეცვლის კამპანია, რომელიც ჩვენი მოსახლეობისათვის მაქსიმალურად შეღავათიან პირობებში, ცენტრის მიერ დადგენილი რეგლამენტაციების დარღვევითაც კი ჩატარდა. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ მიღებულ იქნა რიგი ბრძანებულებები და დადგენილებები, რომელთა თანახმად გაუქმდა საქალაქო მიწისზედა, საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მომატებული ტარიფები, პურისა და რიგი პირველადი მოთხოვნილების საქონლის გაზრდილი ფასები, უმრავლეს სახეობათა პროდუქციაზე გაყიდვიდან გადასახადი; გარდა ამისა, ფასების რეფორმასთან დაკავშირებით კომპენსაციები მომატა არასრულწლოვან ბავშვებიან ოჯახებს.

წინამორბედი ხელისუფლების ანტიხალხური ეკონომიკური პოლიტიკის, უგერგილო და უყაირათო მეურნეობის შედეგების აღმოფხვრა გვიწევს. სოფლის მეურნეობის განვითარების უდიდესი მნიშვნელობის გათვალისწინებით და მშენებლობაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტურობის პირობებში, სახელმწიფო იძულებული იყო ამ დარგების საწარმოთათვის მილიარდ მანეთზე მეტი ვადაგადაცილებული დავალიანება ჩამოეწერა.

9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღებით მოსკოვთან დამოკიდებულება კარდინალურად იცვლება. დღის წესრიგში დგება ეროვნული ეკონომიკის ფორსირებული ტემპით ჩამოყალიბებისა და ცენტრის მიერ საქართველოს ეკონომიკური ექსპლოატაციისაგან თავის დაღწევის ამოცანა. ნებისმიერი ჩვენი ნაბიჯი სწორედ ამ მიმართულებით იქნება გადადგმული.

საქართველოს რესპუბლიკის რეალური დამოუკიდებლობის აღდგენის **ეკონომიკურ საფუძველს** წარმოადგენს საკუთრების სხვადასხვა ფორმებზე აგებული, ცივილიზებული სამყაროს ეკონომიკური კანონებით მოქმედი და ქართულ ყოფით ტრადიციებზე დაფუძნებული ეკონომიკა. უნდა მოხდეს სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოება, რაც განხორციელდება თანდათანობით, ეტაპობრივად, იმ ვარაუდით, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩება მხოლოდ ის საწარმოები, რომელთა ფუნქციონირებაც კერძო მეწარმეობის პრინციპებზე დროის მოცემულ მონაკვეთში გაუმართლებელი იქნება.

სახელმწიფო ჩარევა ეკონომიკაში იმ ზომით, რომელიც აუცილებელია ქვეყნის ერთიანი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების ხორცშესხმისა და სამეურნეო საქმიანობის განვითარებისათვის.

სახელმწიფო მონოპოლისტური სისტემის ლიკვიდაცია ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი პრობლემის მხოლოდ ერთი მხარეა. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ისეთი ეკონომიკური სისტემის შექმნას, რომელიც პასუხობს ადამიანთა მოთხოვნილებებს. ასეთად სოციალური საბაზრო მეურნეობა მიგვაჩნია. მის პირობებში ერთმანეთთან შეთანხმებულია თავისუფალი შრომისა და სოციალური უფლებების გარანტიები, საკუთრებისადმი პატივისცემა და საზოგადოებრივი სარგებლობა, თავისუფალი მეწარმეობა და კეთილსინდისიერი კონკურენცია.

„ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური სამართლიანობა და გარემოსადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება აბსოლუტურად აუცილებელია აყვავებისათვის... თავისუფლება და პოლიტიკური პლურალიზმი ჩვენი იმ საერთო მიზნის აუცილებელი ელემენტებია, რომელიც გულისხმობს საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, მყარ ეკონომიკურ ზრდას, სოციალურ სამართლიანობას, აყვავებას, დასაქმების გადიდებასა და ეკონომიკური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას". (პარიზის ქარტია „ახალი ევროპისათვის").

პირველყოვლისა, საჭიროა ისეთი სამეურნეო კანონების მიღება, რომლებიც წარმოების ძირეულ რგოლებს მიანიჭებენ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და მაქსიმალურად შეზღუდავენ სხვა ორგანოთა ჩარევას მათ სამეურნეო საქმიანობაში. ახალ სამეურნეო კანონმდებლობას მხოლოდ მაშინ ექნება სათანადო ეფექტი, როდესაც სამოქმედოდ ძალაში შევა არა ცალკეული კანონები, არამედ ნორმატიული აქტების მთელი პაკეტი ერთდროულად, რომელსაც საქართველოს პარლამენტი ამზადებს.

კანონპროექტთა პაკეტის პირველ წყებაში აუცილებლად იქნება: კანონი პრივატიზაციის შესახებ, კანონი სამეწარმეო საქმიანობის შესახებ, კანონი საკუთრების შესახებ, კანონი მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის შესახებ, მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის შესახებ, კანონი გლეხური მეურნეობის შესახებ, კანონი დასაქმების შესახებ, კანონი საგადასახადო სისტემის შესახებ, კანონი სააქციო საზოგადოების შესახებ, კანონი სამეურნეო ამხანაგობის შესახებ, კანონი ინვესტიციების შესახებ, კანონი ერთობლივი საწარმოების შესახებ, ანტიმონოპოლიური კანონი, კანონი სოციალური გარანტიების შესახებ, კანონი სახელმწიფო და კერძო დაზღვევის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ამ კანონპროექტთა უმრავლესობა უკვე მომზადებულია ან მომზადების პროცესშია.

საქართველოს ეკონომიკის საფუძვლად მომავალში უნდა იქცეს კერძო საკუთრება. საკუთრებისადმი პატივისცემა ადამიანს საშუალებას აძლევს უკეთ გაიგოს და შეასრულოს საზოგადოებრივი მოვალეობანი: კერძო საკუთრება არის არა მარტო პრივილეგია მესაკუთრისათვის, არამედ, მისი მოვალეობა, ვალდებულება საზოგადოების წინაშე.

კერძო პირებს უნდა მიეცეთ თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის უფლება, ნება დაერთოთ საკუთრებაში ჰქონდეთ წარმოების საშუალებები და დაიქირაონ სამუშაოდ სხვა პირები. უნდა შეიქმნას პირობები კერძო საკუთრების ყველა სახეობის განვითარებისათვის, დაცული იქნეს საკუთრების უფლების სუბიექტთა მფლობელობის, განკარგვისა და გამოყენების უფლება სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ან სახელმწიფო ორგანოთა მიერ მათი ხელყოფისაგან.

აღნიშნული კანონები უნდა უზრუნველყოფდნენ: ა) სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებას, ბ) მომხმარებელთა ინტერესების დაცვას და მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, გ) კონკურენციის გაფართოებას, ამა თუ იმ საწარმოსა თუ ჯგუფის ხელში ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაციის არდაშვებას. ფაქტობრივად მეურნეობის დემონოპოლიზაციის და პრივატიზაციის პროცესი უკვე დაწყებულია. ამან უნდა შექმნას კარგი წინაპირობა საბაზრო მეურნეობაზე ნაკლები დანაკარგებით გადასასვლელად.

სახელმწიფო აუცილებელი სამართლებრივი და ფინანსურ-ეკონომიკური პირობების შექმნით ყოველმხრივ შეუწყობს ხელს მცირე ბიზნესის განვითარებას.

სახელმწიფო მაქსიმალურად ეცდება თანაბარი სასტარტო პირობები შეუქმნას ყველას, რათა პრივატიზაციის შედეგებით ისარგებლონ ნამდვილად მეურნე და მეწარმეობის უნარის მქონე პირებმა.

საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის დაცვა და მისი შემდგომი განმტკიცება მოითხოვს თავსმოხვეული, კოლონიური სტრუქტურის დემონტაჟს და ერის ინტერესების შესაბამისად მის ხელახალ ფორმირებას.

საქართველო **მაღალგანვითარებულ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად** უნდა იქცეს, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროს რადიკალურ გაუმჯობესებას მოითხოვს. იგი პირველ რიგში უნდა ემსახურებოდეს ადგილობრივი მოსახლეობისა და განვითარებული საკურორტო-ტურისტული მეურნეობის მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებას. პროდუქციის ის ნაწილი კი, რომელიც მსოფლიო ბაზრისათვის იქნება განკუთვნილი, უნდა შეირჩეს ხელსაყრელობის და რესპუბლიკის საჭიროებათა ყველა ასპექტის გათვალისწინებით. ყოველივე ეს მოითხოვს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და ადგილობრივი მნიშვნელობის დარგების ოპტიმალური ჰარმონიზირების მიღწევას, რესპუბლიკის უნიკალური ნიადაგურ-კლიმატური პირობების რაციონალურ გამოყენებას. აუცილებელია საქართველოში ოდითგანვე განვითარებული მემარცვლეობის ტრადიციების აღდგენა, მისი პროდუქცია უნდა გახდეს მოსახლეობის უპირველესი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების რეალური საყრდენი და მეცხოველეობის აღორძინების ბაზა.

ამ ამოცანათა გადაჭრა სოფლად საკუთრებითი ურთიერთობების შეცვლით არის შესაძლებელი. საქართველოში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შექმნამ ქართველი გლეხი მოწყვიტა მიწას, შეაძულა მას შრომა, მოაშორა მშობლიურ ფესვებს, შეუცვალა ცხოვრების ტრადიციული წეს-ჩვეულებანი და სოფლის პროლეტარად აქცია. საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმართვა ამ ფორმით ქართველ ერს გადაგვარების საფრთხეს უქმნის. ამდენად, აუცილებელია მიწის რეფორმის გატარება, რაც საქართველოს ყოველ ისტორიულ მხარეში მისი თავისებურების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ეს პირველ რიგში გულისხმობს ზარალიანი საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლას და მათ ბაზაზე გლეხური მეურნეობების ჩამოყალიბებას, აგრეთვე მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემას, საკარმიდამო ნაკვეთების სრული მოცულობით გაცემას.

საქართველოს მომავალი აგრარული სტრუქტურის ძირითად ბირთვს **გლეხური (საკომლო) მეურნეობა** უნდა შეადგენდეს. კომლი განსაკუთრებული მნიშვნელობის საზოგადოებრივი ინსტიტუტია. მისი მეოხებით ხდება მიწასთან მჭიდროდ დაკავშირებული მეურნის აღზრდა, იგი არის გლეხთა თაობების მემკვიდრეობითობის გარანტი. კომლი უზრუნველყოფს შრომითი რესურსების, მიწისა და კაპიტალის კანონზომიერ განაწილებასა და ეფექტიან გამოყენებას.

ამრიგად, სოფლად მეურნეობრივი საკითხების გადაწყვეტას ჩვენ განვიხილავთ ქართული სოფლის აღორძინებასა და ტრადიციულ სამეურნეო ურთიერთობათა აღდგენასთან ორგანულ კავშირში.

ქართველი გლეხი — ისტორიულად ჩვენი ეროვნული მეურნეობის ბურჯი უნდა გათავისუფლდეს ხელისუფლების დიქტატისაგან. გლეხი თავის სამეურნეო საქმიანობაში დამოუკიდებელი უნდა იყოს, თავად განსაზღვრავდეს წარმოების სპეციალიზაციას, სტრუქტურას და ახდენდეს მოწეული მოსავლის თავისუფალ რეალიზაციას.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს გარდამავალ პერიოდში მიწა შეიძლება გადაეცეთ მოკლევადიან, გრძელვადიან ან მუდმივ მფლობელობაში მემკვიდრეობის უფლებით, რეგიონების თავისებურებათა გათვალისწინებით. სახელმწიფოებრიობის ფაქტობრივად აღდგენისა და მოქალაქეობის კანონის შემოღების შემდეგ კი მასზე დაკანონდება კერძო საკუთრება, რაც უახლოეს ხანებში მოხდება.

სახნავ-სათესი ძირითადად უნდა გადაეცეს გლეხურ მეურნეობებს, საძოვრები კი სათემო ან სასოფლო მფლობელობაში უნდა იყოს. მიწის გარკვეული ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს სტრატეგიული, თავდაცვითი და სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის. სახელმწიფო საკუთრებაში უნდა იყოს ნაკრძალები და ეროვნული ტყე-პარკები.

სახელმწიფომ ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი სოფლად სხვადასხვა ასოციაციების, გაერთიანებების შექმნასა და ფუნქციონირებას. მათ უნდა შეასრულონ გლეხური მეურნეობების ტექნიკით მომსახურებისა და აუცილებელი მასალებით მომარაგების ფუნქცია.

— საქართველოში **სამრეწველო წარმოების** პერსპექტივების განსაზღვრისას ძირითადი ყურადღება დაეთმობა მეცნიერებატევადი და იმ სხვა დარგების განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომხმარებლო პროდუქციის წარმოების არსებით გადიდებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნედლეულის გადამუშავებას და მომსახურების სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, რესპუბლიკის სარესურსო პოტენციალის ამაღლებასა და ადგილზე მათ რაციონალურ გამოყენებას, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის გატანას.

ამასთანავე, ენერგიული ღონისძიებანი უნდა გატარდეს რესპუბლიკაში **სათბობ-ენერგეტიკული რესურსების** მწვავე დეფიციტის დასაძლევად. აქ ჩვენი ძალისხმევა უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებებით:

— რესპუბლიკაში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოების მოცულობის გადიდება;

— წარმოებისა და მოხმარების სფეროში პროდუქციისა და მომსახურების ერთეულზე ენერგოდანახარჯების მკვეთრი შემცირება, ენერგორესურსების გამოყენების მკვეთრი გაუმჯობესების ეროვნული პროგრამის შემუშავება და გატარება;

— საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკებიდან და უცხოეთის ქვეყნებიდან პირდაპირი ეკონომიკური კავშირების მეშვეობით ენერგორესურსების მიღება;

— ენერგიის არატრადიციული წყაროების ფართოდ გამოყენება, მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა უცხოეთთან მჭიდრო **სატრანსპორტო კავშირების** დამყარების შესაძლებლობის, საქართველოს ეკონომიკური აღორძინების მნიშვნელოვანი რეზერვია. ამიტომ აუცილებელია აღდგეს საქართველოს, როგორც ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ხიდის ისტორიული ფუნქცია, რაც აუცილებლად მოითხოვს საქართველოს საზღვაო (ბათუმი, ფოთი, სოხუმი) და საჰაერო კარიბჭეთა ოპტიმალურ გამოყენებას და მათ სწრაფ რეკონსტრუქციას. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საავტომობილო ტრანსპორტის, როგორც მეზობელ ქვეყნებთან კონტაქტების, შიგარესპუბლიკური გადაზიდვების და მნიშვნელოვანი ტრანზიტული შემოსავლების მიღების საუკეთესო საშუალებას.

საქართველოს რესპუბლიკაში **საინვესტიციო პოლიტიკა** უნდა განხორციელდეს სახელმწიფო, კერძო, კოლექტიური და უცხოური ინვესტიციების ხარჯზე მათი დაბანდების, გამოყენებისა და დაცვის მტკიცე გარანტიების შექმნით მსოფლიოში აღიარებული ფორმების გათვალისწინებით.

საინვესტიციო პოლიტიკის უმთავრესი მომენტები უნდა განისაზღვროს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

— საქართველოს რესპუბლიკის სამეურნეო სისტემის პრიორიტეტები, ტრადიციები და თავისებურებანი;

— შიდარესპუბლიკური საწარმოო და სამომხმარებლო მოთხოვნები;

— მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე დონე;

— მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციები.

საქართველოს ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების, ეროვნული ეკონომიკის აღორძინებისა და განვითარების აუცილებელი პირობაა საკუთარი **საფინანსო და ფულად-საკრედიტო** სისტემა, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილები უნდა იყოს:

— ორიარუსიანი **საბანკო სისტემა,** რომლის სათავეში იქნება ცენტრალური ეროვნული ბანკი, ხოლო მეორე იარუსზე განლაგდებიან კომერციული ბანკები. ცენტრალური ეროვნული ბანკის ფუნქცია იქნება: ფულის მიმოქცევის, ემისიის, დაკრედიტების, დაფინანსების, ანგარიშსწორებისა და სავალუტო ურთიერთობათა სფეროში რესპუბლიკის ერთიანი პოლიტიკის გატარება, ფულად-საკრედიტო სისტემის ცენტრალიზებული მართვა, მყარი ფულადი მიმოქცევისა და ქართული ფულის მსყიდველობითი უნარის განმტკიცების უზრუნველყოფა, მისი გასაცვლელი კურსის დადგენა სხვა ქვეყნების ფულად ერთეულებთან მიმართებაში და სხვ. კომერციული ბანკები კი თავიანთი საქმიანობით შექმნიან თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების განხორციელების აუცილებელ წინაპირობებს.

ერთიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებასთან ერთად აუცილებელია შეიქმნას ჩვენი ბანკების ფილიალები და წარმომადგენლობები საზღვარგარეთის ქვეყნებში. საჭიროა აგრეთვე, შეიქმნას ერთობლივი ბანკები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ეროვნული ეკონომიკის ინტერესებისათვის გამოვიყენოთ ჩვენი პარტნიორების საკრედიტო არხები. მათ მიერ გაცემული გარანტიების საფუძველზე გაცილებით ადვილი იქნება როგორც უცხოური კაპიტალის მოზიდვა, ასევე ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაცია.

— **ეროვნული ფული.** ეროვნული ბანკის ნორმალური ფუნქციონირება, რესპუბლიკაში ფულადი მიმოქცევის რეგულირება, საქართველოს ეკონომიკის დაცვა გარეშე უარყოფითი გავლენისაგან შეუძლებელი იქნება საკუთარი ფულადი ერთეულის გარეშე. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზაზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ქართული ფულის შემოღება მიგვაჩნია. მისი სწორი მიმოქცევის, კონვერტირებულობისა და კურსის განმტკიცებისათვის ზრუნვა უახლოესი პერიოდის მთავარი ამოცანაა.

— **მოქნილმა საგადასახადო** სისტემამ ადმინისტრაციული მეთოდების გარეშე უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ერთიანობა, მოსახლეობის სოციალური დაცვა, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა.

ახალმა საგადასახადო სისტემამ განაკვეთებისა და შეღავათების დიფერენციაციის საშუალებით უნდა მისცეს სტიმული დარგის, რეგიონის, საწარმოს, ცალკეული პროდუქციის წარმოებისა და მომსახურების განვითარებას. ჯანსაღი კონკურენციის საფუძველზე ობიექტურად უნდა მოაწესრიგოს საწარმოთა რენტაბელობისა და მოქალაქეთა შემოსავლების დონე, უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენება და გარემოს დაცვა.

აქედან გამომდინარე, უნდა შეიცვალოს მოქმედი გადასახადების სტრუქტურა, სახეები, მათი განაკვეთები და შეღავათების წესი.

მოხმარების საგნების წარმოების გაზრდის, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის, ბუნების დამცავი ღონისძიებების და სხვ. სტიმულირების მიზნით გადასახადებისგან უნდა გათავისუფლდნენ ან შეღავათიანად დაიბეგრონ საწარმოები და ორგანიზაციები მოგების იმ ნაწილში, რომლებიც ამ მიმართულებით დაიხარჯება.

— **რეგიონალური ფინანსები.** ადგილობრივი მმართველობის ორგანოების როლის შემდგომი ზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით უნდა ამაღლდეს მათი უფლებამოსილებანი რეგიონის ფინანსების მართვაში, გაფართოვდეს პრეფექტურებისა და საკრებულოების საბიუჯეტო უფლებები, გაძლიერდეს ადგილობრივი ბიუჯეტების დამოკიდებულება შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის საფინანსო შედეგებზე. ქალაქის, რაიონის, დაბისა და სოფლის ტერიტორიაზე განლაგებული ყოველი საწარმო აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებაში. ამასთან, ამ ბიუჯეტების ფორმირება უნდა განხორციელდეს საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან ანარიცხების სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივების ბაზაზე.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია გადავიდეთ **ფასების სამსაფეხურიან სისტემაზე.**

ა) მტკიცე სახელმწიფო ფასები, რომელიც უნდა მოიცავდეს სახელმწიფო სატრანსპორტო და საფოსტო-სატელეფონო მომსახურების, ელექტროენერგიის, სახელმწიფო კომუნალური მეურნეობის ტარიფებს, პირველადი მოხმარების საგნებისა და მედიკამენტების ფასებს.

ანტიმონოპოლიური კანონით დაშვებული უნდა იყოს ფასების ადმინისტრაციული რეგულირება იმ საქონლისათვის, რომლის მწარმოებლებსაც მონოპოლიური მდგომარეობა უკავიათ.

ბ) შერეული ფასები, როდესაც სახელმწიფო აწესებს ქვედა და ზედა ზღვარს, რომლის ფარგლებშიც ამა თუ იმ საქონელზე ფასი შეიძლება იცვლებოდეს მოთხოვნისა და მიწოდების მიხედვით.

გ) თავისუფალი ფასები, რომელიც ბაზარზე ჩამოყალიბდება მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის შესაბამისად.

სოციალურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გულისხმობს მოსახლეობის **სოციალური დაცვის** ეფექტიანი სისტემის შემუშავებას, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

პირველადი მოთხოვნილების საქონლის გარკვეულ ნაწილზე საცალო ფასების შენარჩუნებას ჩამოყალიბებულ დონეზე;

(დასასრული მე-4 გვ.)

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

— რესპუბლიკის სამომხმარებლო ბაზრის დაცვას;

— მოსახლეობის შემოსავლების ინდექსაციას;

— სახელმწიფოს მიერ ხელფასის, პენსიის, დახმარების და სხვა განაკვეთების მინიმალურად დასაშვები დონის დაწესებას არაუმცირეს საარსებო მინიმუმისა;

— მოსახლეობის სოციალურად ყველაზე სუსტად დაცული ჯგუფების (მოსწავლეთა, პენსიონერთა, ინვალიდების, მარტოხელა მოხუცების, ობლების და ა. შ.) დახმარების მიზნობრივ პროგრამას;

— უმუშევრებზე დახმარების გაცემას, ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების პროცესში გამოთავისუფლებულ მუშაკთა გადამზადებას, სახელმწიფო შრომითი ბირჟების ფართო ქსელის მეშვეობით სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებას.

— საქველმოქმედო ღონისძიებათა წახალისებას შეღავათიანი დაბეგვრის, სუბსიდირების, საზოგადოებაში შესაბამისი კლიმატის შექმნას, საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით.

საქართველოს უნდა ჰქონდეს ღია ეკონომიკა, რომლის განვითარებისა და წინსვლის ტემპები დამოკიდებულია საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესში მიზანმიმართულ ჩართვაზე, რისთვისაც აუცილებელია შემუშავდეს **საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების ეროვნული პროგრამა.** ამით განისაზღვრება რესპუბლიკის საექსპორტო შესაძლებლობანი და მისი ზრდის რეზერვები; უცხოურ ფირმებთან, სამთავრობათაშორისო და რეგიონალურ საფინანსო ორგანოებთან თანამშრომლობის ფორმები; საშინაო ბაზრის დაცვისა და აუცილებელი საიმპორტო პროდუქციის შემოზიდვის ხელშემწყობი საბაჟო სისტემა; საგარეო ბაზარზე ეროვნული კაპიტალის დამკვიდრების მიზნით სახელმწიფო დახმარების და შეღავათების ფორმები; პროტექციონისტული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების საშუალებები; უცხოური კაპიტალის მოზიდვის რეგულირების მექანიზმი; უცხოეთში აქტიური საინვესტიციო საქმიანობის წარმართვის საშუალებანი; საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მართვის სტრუქტურის სრულყოფის მიმართულებები.

**ჯანმრთელობის დაცვა** — საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მისი საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სტრუქტურაში ყოფნის შედეგია. აღნიშნული გარემოებით განპირობებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯანდაცვის სისტემის სუბსიდირების მანკიერი წესი და მართვის მოუქნელი სტრუქტურა.

იმისათვის, რომ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემა გამოვიდეს კრიზისიდან, საჭიროა:

1. რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის საბჭოთა კავშირის სტრუქტურებიდან სრული დამოუკიდებლობა. აუცილებელია ჩატარდეს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დაწესებულებათა სრული ინვენტარიზაცია; ჯანმრთელობის დაცვის მატერიალური რესურსების რაციონალური განაწილება; საზღვარგარეთის ქვეყნებთან პირდაპირი კავშირების დამყარება და არსებული კავშირების გაფართოება.

2. ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სტრუქტურული რეორგანიზაცია, რაც გულისხმობს მართვის ვერტიკალური სტრუქტურების შეცვლას ჰორიზონტალური სტრუქტურებით.

3. საზოგადოების ჯანმრთელი ყოფა წარმოუდგენელია პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ერთიანი პროგრამის გარეშე, რისთვისაც აუცილებელია მჭიდრო ურთიერთკავშირი სახელმწიფო სანიტარულ სამსახურსა და სხვა სახელმწიფო ინსპექციებს შორის. ამის საფუძველზე უნდა შეიქმნას ერთიანი რესპუბლიკური საინფორმაციო ბანკი და არსებულ მონაცემთა საფუძველზე განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები.

4. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულებათა მრავალგვარობა (სახელმწიფო, სადაზღვევო, კომერციული). სახელმწიფო (მონუციპალური,) საზოგადოებრივი და კერძო სამედიცინო დაწესებულებების თანასწორუფლებიანი თანაარსობა სრულყოფილი სამედიცინო მომსახურების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

5. ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ფინანსურ-ეკონომიკური გაჯანსაღებისათვის აუცილებელია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვაზე გამოყოფილი სახსრების მნიშვნელოვანი გაზრდა. ამასთან, უნდა დაიწყოს დამატებითი სახსრების ძიება დაფინანსების სხვადასხვა წყაროებიდან სახელმწიფო სოციალური პროგრამების უზრუნველსაყოფად. დაფინანსების სხვა წყაროების ხარჯზე თანდათანობით უნდა შემცირდეს ჯანმრთელობის დაცვისათვის გამოყოფილი სახსრების ხვედრითი წილი.

6. საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდასთან ერთად თანდათან უნდა გადავიდეთ სადაზღვევო სამედიცინო სისტემაზე. აუცილებელია სამედიცინო დაზღვევის ფორმების (სახელმწიფო, საწარმოო, კერძო) არჩევის სრული თავისუფლება. სადაზღვევო სამედიცინო სისტემა საშუალებას მოგვცემს უახლოეს წლებში გავზარდოთ ჯანმრთელობის დაცვაში დაბანდებული თანხები.

7. პირდაპირი კავშირი უნდა დამყარდეს მომსახურების ხარისხსა და სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურებას შორის.

8. ექიმებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით უნდა შემუშავდეს ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობა, რომლითაც რეგლამენტირებული იქნება სამედიცინო დარგის ურთიერთობანი.

**განათლება.** დღეს ქართული სკოლა ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ტოტალიტარულმა რეჟიმმა მძიმე დაღი დაასვა განათლების სისტემას. ქართული სკოლა გადაიქცა საბჭოთა სკოლის ნაწილად, რომლის მიზანია ე. წ. „საბჭოთა ადამიანის“ ფორმირება, განათლებაში ეროვნული და რელიგიური ტრადიციების იგნორირება.

ქართული საგანმანათლებლო სისტემის ეროვნულობა უნდა გამოიხატოს არა მარტო მშობლიურ ენაზე სწავლებით, არამედ მისი შინაარსის ეროვნულობით, ქართული კულტურის, ქრისტიანული რელიგიის, მშობლიური გარემოსა და ტრადიციების გათავისებით.

სკოლა ყოველი მოსწავლის პიროვნული განუმეორებლობის სრულყოფისა და შენარჩუნებისათვის უნდა ზრუნავდეს. განათლების ჰუმანიზაცია უნდა ემყარებოდეს სასკოლო დისციპლინას, საქმისადმი პასუხისმგებლობის ამაღლებას.

განათლების სრული ციკლი უნდა მოიცავდეს სკოლამდელ აღზრდას, დაწყებით და საშუალო სკოლას, მრავალფეროვან პროფილურ სასწავლებლებს, გიმნაზიებს, კოლეჯებს, უმაღლეს სასწავლებლებს.

სახელმწიფო აღარ უნდა იყოს განათლების სისტემის ერთადერთი დამფინანსებელი და მაკონტროლებელი. განათლების სისტემის ჩამოყალიბებაში საჭიროა გაიზარდოს საზოგადოების როლი.

ხელი უნდა შეეწყოს კერძო და საეკლესიო სასწავლებლების გახსნას.

დაწყებითი და საშუალო სკოლა საყოველთაო უნდა იყოს. გიმნაზიასა და კოლეჯში ჩარიცხვა მოხდება შერჩევით. ამას გარდა, რეგიონების საჭიროების მიხედვით იარსებებს სხვადასხვა პროფილის სასწავლებლები, სადაც მიღებული განათლება საკმარისი იქნება ვიწროპროფესიული საქმიანობისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სრულყოფილ სწავლებას.

განათლების სისტემის რეორგანიზაციის შემდგომ ეტაპზე აუცილებელია დაწყებით კლასებში სწავლება წარიმართოს მოსწავლეთა გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით, შესაბამისი სრულყოფილი პროგრამების მიხედვით.

სწავლების პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს როგორც მოსწავლეების მიერ ცოდნის შეძენას, ასევე მათთვის სწავლებისა და თვითგანათლების უნარის გამომუშავებას. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს სკოლისა და ეკლესიის მჭიდრო ურთიერთკავშირზე.

**კულტურა და ხელოვნება.** ერის სულიერი სახის ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს ასრულებს კულტურა და ხელოვნება. მათში ყველაზე მკაფიოდ ვლინდება ეროვნული ხასიათი, მისი სპეციფიკა და თვითმყოფადობა. ქრისტიანული სარწმუნოების სულიერ კოდექსზე დამყარებული ქართული კულტურული მემკვიდრეობა, ესთეტიკური და ეთიკური ფასეულობანი წარმოადგენენ იმ ფუნდამენტს, რომელსაც უნდა დაეყრდნოს ქართველი ერის სულიერი ამაღლება. სწორედ კულტურული თვითმყოფადობა, განუმეორებლობა დაუმკვიდრებს საქართველოს ღირსეულ ადგილს მსოფლიო ერთა შორის.

ქართული და აფხაზური კულტურის დაცვისა და განვითარებისათვის აუცილებელი სამართლებრივი საფუძვლების შექმნის პარალელურად უნდა დამუშავდეს საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის წარმომადგენელთა კულტურული ტრადიციის სამართლებრივი გარანტიები, საქართველოს ისტორიული მხარეების თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნებისათვის საჭირო საფუძვლები. კულტურა და ხელოვნება არ უნდა განიცდიდეს პოლიტიკურ დიქტატს. შემოქმედების თავისუფლება კანონით უნდა იქნეს გარანტირებული.

სახელმწიფომ და მისმა ინსტიტუტებმა ხელი უნდა შეუწყონ ქართული კულტურის განვითარებას და საერთაშორისო ასპარეზზე გატანას, შექმნან თანამედროვე მსოფლიოს წამყვან სკოლებთან და მიმართულებებთან უშუალო კონტაქტების დამყარების საშუალება, რათა მომზადდეს საფუძვლები თანამედროვე კულტურული ტრადიციების შემოქმედებითი მიმართულებებისა და სტილის გაცნობისათვის, ქართული კულტურული ტრადიციების გამდიდრებისათვის. ამის პარალელურად ქართული კულტურული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად უნდა შეიქმნას შესაბამისი მექანიზმები ე.წ. „მასობრივი კულტურის“ ფსევდოკულტურული ელემენტებით დანაგვიანებისაგან დასაცავად. ეს მისია ქართული კულტურის ცენტრებს უნდა დაეკისროთ. საჭიროა კულტურის ძეგლთა დაცვის ფართო პროგრამის შემუშავება, ძეგლთა დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელი სახელმწიფო ხარჯების გაზრდა.

**დემოგრაფია.** საქართველოს წინააღმდეგ მიმართულმა დემოგრაფიულმა დივერსიებმა რესპუბლიკის მკვიდრი ერების — ქართველებისა და აფხაზებისათვის უმძიმესი ვითარება შექმნა. დემოგრაფიულმა დისბალანსმა დაძაბა ეროვნებათაშორისო ურთიერთობა და შექმნა ეთნოკონფლიქტთა პროვოცირების შესაძლებლობა.

რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობის სტაბილიზაციის, დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღების მიზნით საპრეზიდენტო ხელისუფლების მიერ უნდა შექმნას დემოგრაფიული პროგრამა და გატარდეს ეროვნული დემოგრაფიული პოლიტიკა. მიღებული იქნება კანონი მიგრაციის შესახებ. ამ კანონით უნდა მოხდეს რესპუბლიკის მოსახლეობის როგორც ემიგრაციულ-იმიგრაციული, ასევე შიდა მიგრაციული პროცესების რეგულირება.

შიდა მიგრაციული პროცესების რეგულირებით უნდა მოხდეს თბილისის და სხვა სამრეწველო ცენტრების ზრდის შეზღუდვა, ურბანიზაციის დონის კონტროლი. განხორციელდება მჭიდროდ დასახლებული რეგიონებიდან მოსახლეობის ნებაყოფლობითი გადანაწილება ნაკლებად ათვისებულ და დემოგრაფიული თვალსაზრისით მძიმე რეგიონებში. ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება საქართველოს ძირძველი რეგიონების დემოგრაფიულ აღორძინებას. ამ რეგიონებში მცხოვრებთ და იქ დასახლების მსურველთ გაეწევათ მაქსიმალური დახმარება, დაუწესდებათ შეღავათები, გათავისუფლდებიან გადასახადებისაგან და გამოეყოფათ გრძელვადიანი კრედიტები. აუცილებელია ამ რეგიონებში შევქმნათ ცხოვრებისათვის საჭირო პირობები — მოვაწესრიგოთ გზები, უზრუნველვყოთ ეს რეგიონები გაზით, ელექტროენერგიით, კომუნიკაციებით და ა.შ. პირველ რიგში ხელი შევუწყოთ სტიქიისაგან დაზარალებული მოსახლეობის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას.

საჭიროა მოსახლეობის განსახლების ოპტიმალური სისტემის შექმნა. ეკონომიკის თავისუფლება შექმნის რეალურ პირობებს დიდი სამრეწველო ცენტრების სანაცვლოდ პატარა და საშუალო ზომის ქალაქების უპირატესი განვითარებისათვის.

დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღება წარმოუდგენელია ტრადიციული სამთაობიანი ოჯახის აღორძინების გარეშე. დემოგრაფიული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იქნება დახმარება ახალგაზრდა მრავალშვილიანი ოჯახებისათვის. უნდა გატარდეს ქმედითი ღონისძიებანი სიკვდილიანობის, განსაკუთრებით ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების მიზნით, აგრეთვე შობადობის სტიმულირებისათვის.

ხელი შეეწყობა დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებისათვის წარმოებულ საქველმოქმედო საქმიანობას, სპეციალური ფონდების შექმნას. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა სპეციალისტ დემოგრაფთა მომზადებას, რაც საშუალებას მოგვცემს რეგულარულად ჩავატაროთ მოსახლეობის დემოგრაფიული პასპორტიზაცია.

### ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ** მნიშვნელოვანია რეკრეაციულ-ტურისტული კომპლექსების განვითარება, რომელიც მიმართული იქნება ერთის მხრივ საქართველოს მოქალაქეების დასვენებისა და ფიზიკური გაჯანსაღებისაკენ, ხოლო მეორეს მხრივ, უცხოური ვალუტის მოზიდვისა და ცივილიზებულ მსოფლიოსთან კულტურული და საქმიანი თანამშრომლობის საწყისების შექმნისაკენ.

განსაკუთრებული ზრუნვის საგნად უნდა იქცეს მასობრივი სპორტისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, ეროვნული სპორტის განვითარება, საქართველოს სპორტსმენთა მიღწევების შემდგომი ზრდა, საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებსა და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში გაერთიანება.

ცივილიზებულ მსოფლიოში სპორტსა და პოლიტიკას ურთიერთს არ უკავშირებენ, მაგრამ თავისთავად ძალზე საგულისხმოა, რომ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების კვალობაზე პირველად სწორედ ქართული სპორტის წარმომადგენლებმა იგემეს დამოუკიდებლობის, თავისუფლების სურნელი. ამ ფადაწყვეტილებების მიღება მრავალ დიდ სიძნელესთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მათი გადალახვა შემდგომში ქართული სპორტის მსოფლიო მიღწევების საწინდარია.

### ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

**ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲛᲪᲕᲔᲚᲘ** ბუნების შენარჩუნება სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემაა. ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად საჭიროა კარდინალურად შეიცვალოს ბუნებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება. ეს კი მოითხოვს ახალი ეკოლოგიური კანონმდებლობის შემუშავებას. მან უნდა გამორიცხოს ან მაქსიმალურად შეამციროს ისეთი ობიექტების მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომლებიც აზიანებენ ან საფრთხეს უქმნიან გარემოს (გიგანტური ჰესები და წყალსაცავები, ატომური ელექტროსადგურები, გარემოსათვის მავნე საწარმოები და სხვა).

აუცილებელია მოხდეს საქართველოს ტერიტორიის ეკოლოგიური დარაიონება, შემუშავდეს ბუნებათსარგებლობისა და ბუნების დაცვის სახელმწიფო პროგრამები. საჭიროა შეიქმნას ეკოლოგიური და სეისმოლოგიური საინფორმაციო სამსახური მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმირების უზრუნველსაყოფად.

სოფლის მეურნეობაში უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ნიადაგდამცავი ტექნოლოგიების გამოყენებას, პროდუქტების მოყვანას არაორგანული სასუქებისა და პესტიციდების გამოყენების გარეშე, დაინერგოს სოფლის მეურნეობაში ბიოდინამიური მეთოდით მიღებული სასუქები. ასეთი პროდუქციის მწარმოებელთათვის უნდა დაწესდეს შეღავათიანი გადასახადები, კრედიტები. უნდა აიკრძალოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სხვა მიზნებისათვის გამოყენება.

საჭიროა შეიქმნას რეკრეაციული უზრუნველყოფის სისტემა — ტურიზმის, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის (საკურორტო გამაჯანსაღებელ) სფეროებში.

ეკოლოგიის სფეროში სამართალშემოქმედებითი საქმიანობა მიმართული უნდა იყოს არა მარტო ბუნების დაცვისაკენ, არამედ ისეთი ტრადიციული ყოფითი გარემოს აღდგენა-შენარჩუნებისაკენ, რომელმაც განაპირობა ქართული ეთნოფსიქიკის ჩამოყალიბება.

• • •

განვლილი ექვსი თვის მანძილზე ვერ მოხერხდა დრომოჭმული ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემისა და ცენტრალიზებული მართვის მანკიერებათა სრულად აღმოფხვრა, რაც მოითხოვს რადიკალურ ცვლილებებს მმართველობითი ორგანოების ფუნქციებსა და სტრუქტურებში, მათ მნიშვნელოვან რაოდენობრივ შემცირებას.

ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა — შვიდ ათეულზე მეტი რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური უწყებიდან გაუქმდა ოთხ ათეულზე მეტი.

მმართველობითი ორგანოების სისტემა უნდა გავხადოთ მობილური და ოპტიმალური. მათი საქმიანობა უნდა დაეფუძნოს ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას, რათა ისინი კერძო და კოლექტიური ინიციატივის, თავისუფალი ეკონომიკური მოქმედების ხელშემწყობი ორგანოები გახდნენ. ისინი უნდა იქცნენ დარგებში მაკოორდინირებელ, მეთოდურ, სამეცნიერო-საკონსულტაციო და საერთო ტექნიკურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარების ცენტრებად. სამინისტროებმა უნდა შეიძინონ ფუნქციონალური ხასიათი, რაც შექმნის მმართველობითი აპარატის შემცირების და მონათესავე დარგების სამინისტროების გამსხვილების პირობებს. სახელმწიფო ორგანოებმა უნდა იტვირთონ ის საქმიანობა, რომელსაც საბაზრო მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს.

მოსკოვი თავისი იმპერიული ზრახვების განსახორციელებლად კვლავ ეცდება საქართველოს ეკონომიკის პარალიზებას, მის დაქვემდებარებას ცენტრალიზებული საბჭოთა ეკონომიკისადმი, მაგრამ ისტორიის ჩარხი ჩვენს სასარგებლოდ ბრუნავს და ჩვენს მიერ დამოუკიდებლობის პირობებში განვლილი თითოეული დღე იმპერიის საბოლოო კრახის და რესპუბლიკის ეკონომიკური აღმშენებლობის საფუძველია. საქართველოს ეკონომიკური აღორძინების ძირეული ეკონომიკური რეფორმის, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის უმთავრესი პირობაა საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა, ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა.

კომუნისტური უღლისაგან განთავისუფლებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოსახლეობა დაირაზმა ეროვნული მთავრობების გარშემო და რადიკალურ ეკონომიკურ რეფორმებსაც შედარებით უმტკივნეულოდ ახორციელებს. ჩვენც გვითემქვამს იმედი, რომ საქართველოს მოსახლეობა დადგება მის მიერ არჩეული ხელისუფლების გვერდით, რათა რაც შეიძლება სწრაფად იქცეს რეალობად ჩვენი ხალხის საუკუნოვანი მიზანი — თავისუფალი და ეკონომიკურად აყვავებული საქართველო.

## ᲡᲢᲘᲥᲘᲐ

### ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲠᲔᲑᲘ ᲦᲘᲐᲐ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ

**ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲔᲚᲛᲐ** მშრომელებმა დიდი ერთსულოვნება გამოიჩინეს მიწისძვრით გამოწვეული ტრაგედიით დაზარალებულთა დასახმარებლად. როგორც იტყვიან თვალსა და ხელს შუა შეაგროვეს მედიკამენტები, სამშენებლო მასალები, დროებით საცხოვრებელი კარვები, სასურსათო პროდუქტები.

დიდი ქველმოქმედება გამოიჩინა აგროსამრეწველო კომბინატ „ლანჩხუთის“ (გენერალური დირექტორი მიხეილ მელუა) შრომითმა კოლექტივმა. მიწისძვრის მეორე დღეს აქ შეიქმნა დაზარალებულთა დახმარების შტაბი, იგი სათავეში უდგას დაზარალებულთათვის სისტემატურ დახმარებას. სტიქიის პირველივე დღეებში გაიგზავნა (ონის რაიონში) 2.500 კილოგრამი თევზი, 3 ათასი ცალი კვერცხი, დიდძალი საკონსერვო ნაწარმი, 1.550 მანეთის ფეხსაცმელი, 2.500 მანეთის ტანსაცმელი, აგროსამრეწველო კომბინატის მშრომელებმა გასაჭირში მყოფთა ფონდში ჩარიცხა 5.000 მანეთი.

საკონსერვო ქარხნის (დირექტორი თ. კილაძე) კოლექტივმა დაზარალებული რაიონების ფონდში გადარიცხა 20 ათასი მანეთი, გაუგზავნა აგრეთვე მსხლის ხილფაფის პროდუქცია, დიდი ოდენობით ტყემლის წვენი და სხვა სურსათი. ლესის ჩაის ფაბრიკამ დაზარალებულთა დასახმარებლად ჩარიცხა 5 ათასი მანეთი.

საყურადღებოა, რომ ამჟამად ლანჩხუთელ ელექტრიკოსთა ბრიგადა ონის რაიონში ელექტროქსელების აღდგენაზე მუშაობს. ბრიგადას სათავეში უდგას ქალაქ ლანჩხუთის ელექტროქსელის უფროსი თემურ მეგრელაძე, მასთან ერთად მუხლჩაუხრელად მუშაობენ ბადრი კიტია, გოჩა ფირცხალაშვილი, თენგიზ სტურუა, ზაურ იმნაძე, მომავალში მათ ელექტრიკოსთა ახალი ბრიგადა შეცვლის.

დაზარალებულთა სურსათ-სანოვაგითა და სხვა დახმარებისათვის ენერგიულად იღვწიან რაიონის პრეფექტურის (პრეფექტი მერაბ გოგუაძე) მუშაკები, მათი ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და კონტროლით თითქმის დღენიადაგ მიემართებიან იმერეთისა და რაჭის რეგიონებში აუცილებლად საჭირო ტვირთით სავსე ავტომანქანები. რაიონი მზადაა დაზარალებულთა და სტიქიით დაშავებულთა მისაღებად. ასე, მაგალითად: 60 კაცს მიიღებს სასტუმრო „გურია“, 100 კაცი მოთავსდება გრიგოლეთის შავიზღვისპირა დასასვენებელ სახლში, ხოლო 50 კაცს მიიღებს „საქნავთობის“ სოფელ სუფსის საძიებო სამმართველო.

**ᲑᲔᲒᲚᲐᲠ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ,**
**„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორ.**

### ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲒᲐᲣᲬᲝᲓᲔᲡ

**ᲡᲢᲘᲥᲘᲘᲗ** დაზარალებული საჩხერის რაიონის სოფელ გორისას მცხოვრებლები დიდ მადლობას ვუხდით გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღების მშრომელებსა და პირადად გალის რაიონის პრეფექტს ედიშერ ჯანჯღავას ყურადღებისა და თანადგომისათვის.

დახმარების ხელი გორისას მოსახლეობას გაუწოდეს ჩაის ფაბრიკის, საბავშვო ბაღის, საშუალო სკოლის, სასოფლო საავადმყოფოს კოლექტივებმა, რომლებმაც გორისელებისათვის გამოაგზავნეს ფქვილი, ჩაი, მინერალური წყლები, კარტოფილი, სანთლები, ყველი და კარაქი. დაზარალებულთათვის მათ აგრეთვე გამოაგზავნეს 1000 მანეთი.

### ᲐᲜᲙᲐᲠᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲐ

**ᲔᲥᲕᲡᲘ** ტონა კარაქი, ორი ტონა მაკარონეული, ორი ათასი საბანი, 250 კარავი, ერთჯერადი შპრიცები — ასეთი ტვირთით გადმოკვეთა საზღვარი თურქეთის წითელი ნახევარმთვარის ემბლემით დამშვენებულმა ოთხმა ავტომანქანამ. ყოველივე ეს ანკარამ საქართველოში მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულთ გამოუგზავნა.

— მთელი ტვირთი 100 ათასი დოლარისაა, — თქვა თურქეთის წითელი ნახევარმთვარის წარმომადგენელმა ხალით დოღონაიამ. ჩვენ ჩავალთ უბედურების რაიონში, რის შემდეგაც დავაზუსტებთ, თუ კიდევ რა დახმარების გაწევაა საჭირო.

**ᲗᲐᲛᲐᲖ ᲒᲔᲜᲫᲔᲮᲐᲫᲔ,**
**საქინფორმის კორ.**

### ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ** ერთობლივმა საწარმომ „ლუნფერმა“ მიიღო ჩინეთის კომპანია „ლუნფუს“ თანაგრძნობის დეპეშა. მასში, კერძოდ, ნათქვამია, „დიდი შეშფოთებით გავიგეთ, რომ თქვენს რესპუბლიკაში მოხდა ძლიერი მიწისძვრა. კომპანია „ლუნფუ“, მისი ყველა წევრი გულწრფელად გითანაგრძნობთ და მზად არიან გაგიწიოთ ყოველგვარი დახმარება“.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ.

### ᲐᲠᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲛᲝᲧᲕᲠᲘᲡᲐ...

**ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ** უსახლკაროდ დარჩენილ თანამოძმეთა დასახმარებლად ფეხზე დამდგარ სრულიად საქართველოს ბორჯომის ხეობის საკურორტო რეგიონიც ამოუდგა მხარში.

სანატორიუმებმა, პანსიონატებმა ფართოდ გაუღეს კარი მიწისძვრისაგან დაზარალებულთ და უკვე 700-ზე მეტი ადამიანი მიიღეს. ახლა ტურისტული ბაზა და პანსიონატი „კეჩხობი“ გულმოდგინედ ემზადებიან უსახლკაროდ დარჩენილ თანამოძმეთა დასახმარებლად.

— დღეისათვის საჩხერის რაიონის 439 მცხოვრები, უმეტესად ქალები და ბავშვები მოვათავსეთ, —ამბობს საბაზო სანატორიუმ „ლიკანის“ მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ემანუელ დვალიშვილი. — სანატორიუმის თანამშრომლებმა დაზარალებულთა დახმარების ფონდში 7000 მანეთი შეიტანეს, გაიღეს სისხლი, გაუგზავნეს მედიკამენტები. მზად ვართ სამკურნალო კაბინეტებიც კი დავუთმოთ გაჭირვებაში ჩავარდნილ თანამოძმეებს.

— კეთილი ადამიანების სითბომ, მზრუნველობამ ტკივილი გაგვიყუჩა, სანატორიუმ „ლიკანის“ მთელი კოლექტივი ზრუნავს ჩვენთვის, გვანუგეშებენ, — გვეუბნება საჩხერის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელი ლილი ზაბახიძე.

ქართველთა ტკივილი გაითავისეს ბაკურიანში მცხოვრებმა სომხებმა, რომლებმაც დახმარების ფონდში 3425 მანეთი შეიტანეს. მათ არც სოფელ ციხისჯვარში მცხოვრები ბერძენი მოსახლეობა ჩამორჩა. ბერძნებმა დაზარალებული რაიონის მშრომელებს პროდუქტებით დატვირთული მანქანა გაუგზავნეს და დახმარების ფონდს 7100 მანეთი შეჰმატეს.

ტრაგედიის მეორე დღესვე რიგი დადგა ქალაქის პოლიკლინიკაში. ორასზე მეტმა ადამიანმა გაიღო სისხლი. 40 კილოგრამზე მეტი სისხლი გაუგზავნეს დაზარალებულებს. ქართველებთან ერთად 400 გრამი სისხლი გაიღო სანატორიუმ „მთის ხეობის“ დამსვენებელმა ციმბირელმა სვეტლანა ვასილიევამ.

რაიონის მშრომელები აგროვებენ ფულს, სურსათს, საოჯახო ნივთებს. 16 მაისისათვის დაზარალებულთა დახმარების ფონდში 35965 მანეთი შეიტანეს. საკურორტო ქსელის ყველა ობიექტი ემზადება დროებითი თავშესაფარი დაახვედროს უსახლკაროდ დარჩენილ თანამოძმეებს.

**ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲪᲣᲪᲥᲘᲠᲘᲫᲔ,**
**საქინფორმის კორ.**

### ᲛᲝᲫᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲮᲔᲚᲘ

**ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ** რაიონში მიწისძვრით დანგრეული სახლებისა და გზების აღდგენის მთელი ხარჯები აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ იკისრა. სტიქიური უბედურების ზონიდან დაბრუნდა აფხაზეთის ასსრ სახმშენის თავმჯდომარე როლანდ მიქაუტაძე, რომელიც გაეცნო საქმის ვითარებას დაზარალებულ სოფლებში, რათა მოენიშნა მომავალ სამუშაოთა გეგმა. სხვათა შორის, იქვე გაიგზავნა საჭირო მასალებით დატვირთული ავტოკოლონა.

როგორც მრეწვმშენბანკის ადგილობრივი სამმართველოს უფროსმა გ. ცაავამ გვითხრა, ამ ბანკში, ისევე როგორც ყველა სხვა ბანკში, გახსნილია მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ანგარიში. თვით მრეწვმშენბანკის კოლექტივმა დახმარების ფონდში 50 ათასი მანეთი გადარიცხა. სოხუმის რაიმრეწვკომბინატის კოლექტივმა თავისი მოგებიდან გადარიცხა 25 ათასი მანეთი, „აფხაზავტოგზამ“ — 30 ათასი მანეთი. შესატანები კვლავ შემოდის.

მიწისძვრის შედეგებმა თავი სოხუმის რაიონშიც იჩინა. დაზიანდა სკოლები, აგრეთვე 62 საცხოვრებელი სახლი. მაგრამ, თავიანთი გაჭირვების მიუხედავად, რაიონის მცხოვრებლებმა საქართველოს მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში გაგზავნეს 30 ტონა ფქვილი, 15 ტონა შაქარი, 5 ტონა ბურღულეული, ტანსაცმლით დატვირთული ორი მანქანა. გარდა ამისა, დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადარიცხულია 85 ათასი მანეთი.

მიწისძვრის შედეგად დაზარალებულებს ერთ-ერთი პირველი ამოუდგა მხარში სოხუმის აკადემიკოს ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის მრავალეროვანი კოლექტივი. უბედურების ზონაში მუშაობდა მათ მიერ გაგზავნილი მაშველთა ჯგუფი, მიმდინარეობს ნებაყოფლობითი შესაწირების შეგროვება. ინსტიტუტის სახსრებიდან დახმარების ფონდში უკვე გადაირიცხა 50 ათასი მანეთი. ამუშავებენ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის რკინაბეტონის კონსტრუქციათა გამოშვების გეგმას. თავისი სამინისტროს მეშვეობით ინსტიტუტი აპირებს გამოყოს კარვები, საშენი და საწვავ-საპოხი მასალები.

შავიზღვისპირეთის ჯანმრთელობის კერები უბედურების ზონიდან გამოხიზნული ქალებისა და ბავშვების განკარგულებაშია.

**ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲯᲘᲑᲣᲢᲘ,**
**საქინფორმის კორ.**

## ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ

### ᲨᲔᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ: ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** შემნახველი ბანკის თანამშრომლები მაშინვე გამოეხმაურნენ დასავლეთ საქართველოში მომხდარ ტრაგედიას. მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის რესპუბლიკურ ფონდში მათ გადარიცხეს 500 ათასი მანეთი. გარდა ამისა; როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა მისმა მმართველმა ნუკრი ვახტანგიშვილმა, სტიქიური უბედურების რაიონებში მცხოვრებ და მომუშავე ყოველ თანამშრომელს გაუწიეს სამიდან ხუთი ათას მანეთამდე დახმარება. — შეძლებისდაგვარად, თქვა მან, — ყოველ მათგანს განზრახული გვაქვს დავეხმაროთ საშენი და სხვა მასალების უფასოდ შეძენაში.

ასეთი იყო საქართველოს შემნახველი ბანკის თანამშრომლების პირველი რეაქცია ტრაგედიაზე. სხვათა შორის, ეს ბანკი რესპუბლიკაში ფართოდაა ცნობილი თავისი ფინანსური შესაძლებლობებით, ეფექტიანი საქმიანობითა და სხვათა საჭიროებებისა და პრობლემების მიმართ ყურადღებით. როცა ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაზე, მის საიდუმლოებებზე გვიამბობდა, ბატონმა ნუკრი ვახტანგიშვილმა აღნიშნა, რომ შემნახველი ბანკი ბევრი ჩვენი კლიენტის ნდობით სარგებლობს. მათ ხელსაყრელად მიიჩნიეს თავიანთი მატერიალური ქონება ამ ბანკში შეენახათ.

— მათი შენატანების ოდენობა და შეტანის საიდუმლოება დაცულია არსებული კანონმდებლობით, — თქვა მან. — ამის შესახებ ინფორმაციას ვაძლევთ მხოლოდ სამართალდამცავ ორგანოებს და ისიც იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი გამოძიებაში იმყო[illegible]

— მაგალითად ორგანიზაციებსა და მოსახლეობას აძლევს გრძელვადიან და მოკლევადიან კრედიტებს. ამისათვის საჭიროა იმ რაიონის პრეფექტურის დადებითი გადაწყვეტილება, სადაც ცხოვრობს კრედიტის მთხოვნელი. სახელმწიფო, კოოპერაციულმა და სხვა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ ოფიციალური დოკუმენტები დადგენილი ფორმით. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვაიდეალებთ ჩვენს საქმიანობას, იგი განახლებას საჭიროებს. უწინარეს ყოვლისა იგი სჭირდებათ ბანკის თანამშრომლებს, ვინაიდან მათი უმრავლესობა მოკლებულია ელემენტარულ პირობებს. არ გვყოფნის სათავსები, განსაკუთრებით სოფლის რაიონებში, ტექნიკური საშუალებები მოსახლეობის უფრო ოპერატიული მომსახურებისათვის.

**— შეიძლება თუ არა დღეს ლაპარაკი უცხოეთის ბანკებთან ურთიერთობის შესახებ, ვინაიდან, ვფიქრობ, ამ ურთიერთობის გარეშე ძალიან გაგვიჭირდება...**

— ჯერჯერობით, საზღვარგარეთის ბანკებთან არა გვაქვს რაიმე გარკვეული საქმიანი კავშირი. მართალია, ამ მხრივ მუშაობა უკვე დაწყებულია. ვსწავლობთ ბანკების მუშაობის საერთაშორისო სისტემას და ვეძებთ მომავალ პარტნიორებს ჩვენთვის ხელსაყრელ საფუძველზე.

და ბოლოს, ბევრი პრობლემის მიუხედავად ოპტიმისტურად ვართ განწყობილი. მოგებით მიღებული სახსრებით ვაპირებთ განვაახლოთ ჩვენი მუშაობა. კერძოდ, უახლოეს მომავალში ძირითადი შრომატევადი ოპერაციები კომპიუტერიზებული იქნება და ეს, რა [illegible]

**ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ,**
**საქინფორმის კორ.**

## ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ

### ᲐᲕᲘᲐᲠᲔᲘᲡᲔᲑᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ...

**ᲐᲚᲑᲐᲗ,** თბილისელებს პირველად გაუხარდათ ასე ქალაქის ცაზე თვითმფრინავის ხმა. 21 მაისს დილიდან მათი ძრავების გუგუნი იმას ნიშნავდა, რომ გრძელდება საქართველოს დედაქალაქიდან ავიარეისების შესრულება.

— დიახ, — დაგვიდასტურა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს წარმოების საორგანიზაციო უფროსმა გენო კალანდარიშვილმა. — წუხელ, გვიან ღამით მოსკოვში შეძლეს მიეღწიათ შეთანხმებისათვის ავიადისპეტჩერებისა და მფრინავების საგაფიცვო კომიტეტის ხელმძღვანელებთან, რომლებიც 21 მაისიდან აპირებდნენ სსრ კავშირში საყოველთაო გაფიცვის დაწყებას. საბოლოოდ, იგი გაუქმებულია. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ კვლავ ჩვეულებრივი რეჟიმით მუშაობენ როსტოვის ზონის სამსახურები, რაც საშუალებას გვაძლევს შევასრულოთ ასეთი ინტენსიური ავიარეისები სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ქალაქებში. ერთი სიტყვით, ფრენა გრაფიკის მიხედვით გრძელდება განრიგით გათვალისწინებულ სხვა დანიშნულების ადგილებშიც.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ.

### „ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲗᲘ“ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ

**ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲨᲘ** გატარებული ის ორი დღე არა მარტო დიდხანს ემახსოვრება ყველას, ვინც კი აქ გულის ძახილით ან აქაური პრეფექტის ჟანი საყვარელიძის მოწვევით ჩამოვიდა, არამედ კარგი საქმეებისა და კეთილდღეობის დასაწყისიც იქნება.

18-19 მაისს ზესტაფონში შეიკრიბნენ ქალაქისა და ახლო მდებარე სოფლების მკვიდრნი, რომლებიც ამჟამად რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში ცხოვრობენ და მუშაობენ, უკავიათ სხვადასხვა თანამდებობები და ყოველთვის, როცა კი ერთმანეთს ქუჩაში ან საქმეზე შეხვდებიან, მაშინვე ეკითხებიან: „აბა, როგორ არის საქმე, იქ, ზესტაფონშიო?“.

იქ კი არც თუ ისე კარგად არის ყველაფერი, როგორც ეს ჩვენ გვინდა. უთვალავი პრობლემებია როგორც ქალაქის მეურნეობაში ისე სოფლად. განსაკუთრებით დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ, რომელიც ზემო იმერეთსაც შეეხო.

საინიციატივო ჯგუფმა ჩამოაყალიბა საქველმოქმედო საზოგადოება „მარგვეთი“, რომელიც კოორდინაციას გაუწევს თანამემამულეთა მიერ შემოთავაზებულ დახმარებას. ბორის სალარიძე, ჯემალ ვეფხვაძე, ოთარ კაკაურიძე, ბევრი სხვა აქაური ადგილების მკვიდრი, რომლებიც რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტის, ეკონომიკის, მშენებლობის წამყვანი სპეციალისტები გახდნენ, ყოველგვარ დახმარებას გაუწევენ თავიანთ თანამემამულეებს.

„მარგვეთი“ იმედით ცხოვრობს!

ზესტაფონელთა შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი აკაკი ასათიანი, რომელმაც დამსწრეთ მოუთხრო პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ და შეკრებილთ მოუწოდა ხმა მისცენ რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას.

**ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ:** თანამემამულეთა შეხვედრის დროს ზესტაფონში.

**ᲒᲝᲜᲓᲝ ᲓᲐᲓᲕᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲔᲠᲒᲝ ᲔᲓᲘᲨᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

## თვალსაზრისი

# მთავრობა და საზოგადოება, კანონმდებლობა და ადამიანი

### გაზეთი და სიტყვის თავისუფლება

**ჯერ** იყო და საქართველოს უზენაესი საბჭოს ორგანო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში", ამა წლის 27 აპრილს, რუბრიკით: „ვინ ვინ არის" გამოქვეყნდა „მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, დღეს საქართველოში მოქმედ ყველა პარტიას". მიმართვას ხელს აწერდნენ ქართველი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები, რომელთაც საზოგადოებაზე, რესპუბლიკის უზენაეს საბჭოზე, ხელისუფლებაზე, მოქმედ სხვადასხვა პარტია-ორგანიზაციებზე გარკვეული ზემოქმედების უნარი შესწევთ. ხელისმომწერთა შორის ძირითადად იყვნენ საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის წევრები, რომელთა ავტორიტეტი ჩვენს სინამდვილეში გაცნობიერებულია.

ქართველი ინტელიგენციის ეს მოგვიანებული შეძახილი ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ფენებში ხმამაღლა დაირხა, რადგან მიმართვა ხალხის, ხელისუფლების, გაზეთების, პარტია-ორგანიზაციებს შორის გამწვავებულ ურთიერთდამოკიდებულებებს ეხებოდა.

ამას მოყვა საქართველოს სახალხო ფრონტის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „საქართველოში" 1 მაისს გამოქვეყნებული ამავე საზოგადოების თავმჯდომარის და მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების ალტერნატიული კანდიდატის ბატონ ნოდარ ნათაძის „დღევანდელი საქართველოს მართვის პრინციპები" და იქვე, იმავე ნომერში გამოქვეყნებული მისივე წერილი: „მრგვალი მაგიდის" წევრებს — საქართველოს უზენაესი საბჭოს უმრავლესობას". ავტორი კრიტიკული პათოსით მიმოიხილავს ქართველი საზოგადოების დღევანდელ მდგომარეობას, უზენაესი საბჭოს, პრეზიდენტის და მისი აპარატის მიერ უკანასკნელ პერიოდში მიღებულ გადაწყვეტილებებს, დადგენილებებს და თანამედროვეობის, მომავლის პრიზმაში წარმოგვიდგენს მათ.

გაზეთ „საქართველოს" იმავე, — 1 მაისის ნომერში დაისტამბა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის, ბატონ თეიმურაზ მირიანაშვილის თეორიული ხასიათის, ზოგიერთ საკითხში არცთუ უსაფუძვლო, სადისკუსიო წერილი, მრავალმნიშვნელოვანი სათაურით: „საით მიჰყავთ საქართველო ულტრარადიკალებს — ყოფილ არაფორმალებს?" როგორც სარედაქციო ანოტაციაშია აღნიშნული, გაზეთი „საქართველო" იწყებს დისკუსიას, მიძღვნილს ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის შეფასების, გარკვევის, ჩამოყალიბების მიზნით. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გაზეთის მიერ წამოწყებული ჯანსაღი, დაინტერესებული დისკუსია ჩვენს საერთო საქმეს წაადგება. როგორც ჩანს, პრესა მთლად „ჩაკეტილი" არ ყოფილა.

და ბოლოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 4 მაისის ნომერში დაიბეჭდა საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის გამგეობის წერილი: „საქართველოს რესპუბლიკის რედაქციას", სარედაქციო მინაწერით, სადაც, ძირითადად, გაზეთსა და საზოგადოებას შორის, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის შექმნილ მწვავე ურთიერთდაპირისპირებებზე პირუთვნელი კამათია გამართული.

ასე შეიკრა პოლიტიკური „ლახტის" წრე, რომლისგანაც გამოსავლის ძიება — და აუცილებელი მოძიება — ყველა მხარის, თითოეული ჩვენთაგანის საბედისწერო ვალია.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" სარედაქციო მინაწერში ვკითხულობთ: „და ბოლოს „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია გულწრფელად ინატრებდა უფრო მეტ გაგებას, უფრო მეტ თანადგომას ჩვენს შორის. ეს ხომ, პირველ ყოვლისა, ჩვენს საერთო მიზანს წაადგება".

### ...და მაინც ინტელიგენცია

**ამ** უკანასკნელ პერიოდში ქართველ ინტელიგენციაზე კვლავ განახლდა დაინტერესებული საუბარი, ყურადღება გამახვილდა, რატომ?! მოთხოვნილება განაპირობებს, ინტელიგენცია — თავისი მთლიანობის მიუხედავად, მაინც გარკვეულ პარტიებად, ჯგუფებად, ნუ მოვერიდებით ამ სიტყვას — ფრაქციებადაა დაყოფილი — ყველა თავისი, საკუთარი, ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობით, პიროვნული აღტკინებით, შემეცნებით, ეროვნული მიზანსწრაფვით. საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი — თანამედროვე ვითარების გარკვეულწილად განმსაზღვრელ ძალას წარმოადგენს.

რადიკალური ინტელიგენცია ისტორიულად ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა და დღესაც ეწინააღმდეგება ხელისუფლებას, მის ინსტიტუტებს, მტკივნეულად აღიქვამდა და დღესაც აღიქვამს საკუთარ ისტორიულ ხვედრს, დაუფასებლობას, ხალხის, საზოგადოების დახმარების, მის ავანგარდში ყოფნის ნაკლებ აუცილებლობას. ამის საფუძველზე იჩენდა და იჩენს თავს გარკვეული გაღიზიანება, ხელისუფლების მიმართ წინააღმდეგობა, დაუქვემდებარობა, დაუმორჩილებლობა, ზოგჯერ აშკარა წინააღმდეგობა, პაექრობა.

ინტელიგენცია ლაკმუსის ქაღალდის მსგავსად გრძნობს ხელისუფლების მიერ საზოგადოების მართვის რეჟიმში დაშვებულ წუნს, შეცდომებს და თავისებურად რეაგირებს მათზე. ხელისუფლებასა და ინტელიგენციის თუნდაც ნაწილს შორის ნებისმიერი მნიშვნელობის კონფლიქტი, გათიშვა, ყოველთვის საზოგადოების სულიერი სიღარიბის, ინტელექტუალური პოტენციალის დაქვეითების გამომწვევი აქტია.

მავანი ოპონენტი ზოგჯერ უსაფუძვლო „კატეგორიებად" ყოფს ინტელიგენციას. ნაწილს „კორუმპირებულ ინტელიგენციად" ნათლავს. ზოგს ნამდვილ და არანამდვილ ინტელიგენტად მიიჩნევს. გაუგებარი დაყოფა-განსაზღვრაა. ცივილიზებულ კაცობრიობას ჯერაც არ გამოუგონია ისეთი „დოზიმეტრი", რომელიც „ნამდვილ" და „არანამდვილ" ინტელიგენტურობას განსაზღვრავდეს. პიროვნება, ადამიანი, სუბიექტი, რომელიც ამ ცნების საერთო განსაზღვრას არ ექვემდებარება, — არც ინტელიგენტია და არც ინტელიგენციის წარმომადგენლად ჩაითვლება. ინტელიგენცია და ინტელიგენტობა პროფესია არ გახლავთ, რომ იგი „ნამდვილ" და „არანამდვილ" კატეგორიებად დავყოთ. ინტელიგენტურობა — არც დიპლომია და არც წოდებები და ჩინ-მედლები. ინტელიგენტურობა იდეების სამსახურია. ინტელიგენტურობა, გონებრივი აქტიურობისაკენ სწრაფვა, მოწოდებაა, საქმით, ბრძნული სიტყვით, მოქმედებით საზოგადოებრივი სარგებლიანობის მოტანა და მტკიცებაა, მამულის, ხალხის უანგარო სამსახური და საჭიროებისას სამსხვერპლოზე საკუთარი სიცოცხლის ზვარაკად გაღებაა.

პრაქტიკა ადასტურებს, ჩვენ ხშირად ერთმანეთის ნაკლებად გვესმის, გაგვეგება. იქნებ იმიტომ, რომ ერთს ვფიქრობთ და მეორეს ვლაპარაკობთ, ერთს ვამბობთ და სხვაგვარად ვიქცევით. აქ ენისა და აზროვნების, სიტყვისა და საქციელის, ფიქრისა და მისი გამოხატვის სიღრმისეულ კავშირებზეა საუბარი. როგორც ირკვევა, ნაწილობრივ ჩვენ ყველა ვცოდავთ ერისა და სიმართლის წინაშე, ურთიერთის წინაშე.

შესაძლოა ბევრი თუ არა ზოგიერთი რამ ჩვენს ეროვნულ ხასიათზე, პიროვნების ფსიქო-ეთიკურ მონაცემებზე, პროგრამაზეა დამოკიდებული?! პიროვნება, ადამიანი, ერი ბუნების რთული, თვითმყოფადი ბიოლოგიური სახეა და გენეტიკურ კოდს ემორჩილება.

ინტელიგენცია, კერძოდ მწერალი, კრიტიკოსი, ჟურნალისტი — ქართული საზოგადოების მკურნალად, ექიმად, სანიტრად გვევლინება, რომელიც ეროვნული ნიადაგის სარეველა ბალახისაგან განწმენდას ცდილობს. სანიტრები ექიმებზე არანაკლებ საჭირო პროფესიაა, რადგან ავადმყოფის განკურნების პროცესს საბოლოო ანგარიშით დღედაღამ სანიტრები ემსახურებიან.

ჩვენს სინამდვილეში ხშირად ჩნდება აუცილებლობით გამოწვეული მოთხოვნილება, როდესაც საგნებს და მოვლენებს, ფაქტებს თავისი სახელი უნდა დაერქვას, გაირკვეს „ვინ ვინ არის?" ასეთ თუ მსგავს ვითარებაში, აწონილ-დაწონილი, დალვინებული სჯანი ხშირად ძნელი მისაღწევია.

ამ შემთხვევაში ქართველი ინტელიგენციის დაინტერესებული მამულიშვილური პოზიცია არა მხოლოდ ეთიკური ნორმების დაცვის მანიშნებელია, უფრო ქართველის, საქართველოს აწმყოს და მყობადის კეთილდღეობითაა განმსჭვალული.

მიუხედავად რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ვითარებისა, რომელიც სუბიექტური და ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული, იმან, რაც ჩვენში უკვე მოხდა, გაკეთდა და ამჟამად ხდება, მიმდინარეობს, ქვეყანას, საზოგადოებას საფუძველშივე შეუცვალა სახე. ჩვენ სხვანი შევიქენით.

რესპუბლიკაში დაწყებული და მიმდინარე ავტორიტარული სტრუქტურების დემონტაჟის ხანაში და ვითარებაში, შემოქმედებითი ინტელიგენცია, მწერლები, ჟურნალისტები, კულტურის, ხელოვნების მოღვაწენი, მეცნიერები, საზოგადოების ავანგარდში იღვწიან, ხალხმა უნდა ირწმუნოს, რომ მათ ინტელიგენციის სახით სანდო, მყარი საყრდენი გააჩნიათ. იმას, თუ დღეს შემოქმედებითი ინტელიგენცია ბარიკადის რომელ მხარესაა, — საზოგადოების აწმყოსა და მომავლის განსაზღვრაში ერთობ დიდი. საპასუხისმგებლო, იქნებ გადამწყვეტი მნიშვნელობაც ენიჭება.

### საქართველოს ფუძის ანგელოზი დარაჯობს

**საქართველოს,** ქართველს ფუძის ანგელოზი ედგა დარაჯად და დღესაც უდგას, რამეთუ ინსტიქტსაც და ანგელოზსაც თითოეული ჩვენთაგანის წაშველებაც უნდა.

საქართველოს რესპუბლიკა დღეს საერთო-სახალხო, დემოკრატიული, ალტერნატიულ საწყისზე ნავარაუდევი საპრეზიდენტო არჩევნების მზადებაშია.

ალბათ ისიც უნდა ითქვას, რომ დილეტანტების აქტიურობა — ნებისმიერ სფეროში, — მათ შორის პოლიტიკაში, უნდა დამთავრდეს. მათი აქტიურობა თავისთავად არ დასრულდება, ეს „საქმე", პროცესი პროფესიონალიზმმა, პროფესიონალებმა უნდა იკისრონ და მოაგვარონ.

### ხელისუფლება და ოპოზიცია

**მავანი** ოპოზიციონერი ამა თუ იმ პრობლემის რიტორიკული წარმოდგენისას, როგორც წესი, მთავარ ყურადღებას არა იმდენად დაყენებულ პრობლემას აქცევს, რამდენადაც მის უკან მდგომ ოპონენტს, ოპოზიციონერს, მის ავტორიტეტს, ღირსებებს უტევს, ეპაექრება. ასეთი ფსიქოლოგიური დამუშავების გზით — საკუთარი პოზიციის, პერსონის დამკვიდრებას ცდილობს. მსგავსი „რიტუალის" — ხერხის გამოყენება — ზნეობრივ, ეთიკურ, სამართლებრივ, პოლიტიკური პაექრობის ნორმებს ნაკლებ ექვემდებარება.

რენეგატები მხოლოდ კაუტსკი, ტროცკი,..ვიშინსკი როდი იყვნენ. დღესაც გვყავან, ვისთვისაც რწმენა კი არა „ანგარიშია" მთავარი. „მენშევიკ-ბოლშევიკობა" — ისევე, როგორც ნებისმიერი პარტიის წევრობა — სულის ხარისხია.

საყურადღებო, საჭირო, საჩქარო მისაღები რეფორმების, გადაწყვეტილებების ცხოვრებაში დამკვიდრებას ხელისუფლებისათვის ბრძოლის, პარლამენტის სკამზე ჯდომის საშუალებად ვიყენებთ. ხშირად ვითომდა ეროვნული სწრაფვით, მოთხოვნილებებით შენიღბულები მანიაკალური ენთუზიაზმით, მონდომებით აკრძალულ ილეთებს მივმართავთ, სარმას ვუდებთ იმათ, ვისაც ამ ქაოსში რაიმე კონკრეტულის გაკეთება სურს, შეუძლია.

### ...ისევ ინტელიგენციაზე

**ამ** ახლო წარსულში, ერთიორი წლის წინათ, იყო მოკლე პერიოდი, როდესაც ხელისუფლებასა და ინტელიგენციას შორის გარკვეული განხეთქილება, ურთიერთდაპირისპირება ეს-ეს არის და ისტორიას ჩაბარდებოდა. ეროვნული რადიკალური ინტელიგენცია საერთო ეროვნულ მოძრაობასთან ერთად, საზოგადოების სიღრმისეული რეფორმების ინიციატორი, წამომწყები და დამამკვიდრებელი იყო, და როდესაც ეს რეფორმები აჩქარებას იღებდნენ, ინტელიგენცია ავანგარდში იმყოფებოდა. და აი, ეს რეფორმები, გადაწყვეტილებები, როგორც კი პრაქტიკაში თუ თეორიულ პლანში ცხოვრებაში დამკვიდრდნენ, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ თავის პიკს მიაღწია, — საქართველოს რესპუბლიკამ საგრძნობ დემოკრატიულ სახეცვლილებებს მიაღწია — ჩატარდა მრავალპარტიული, საერთო-სახალხო არჩევნები, აირჩა პრეზიდენტი, მიღებულ იქნა და ცხოვრებაში გატარდა ბევრი სიცოცხლისმეცველი კანონი, სხვა მრავალი მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, — მოკლედ, შესრულდა გარკვეული ისტორიული სამუშაო — წინააღმდეგობებმა კვლავ ახალი ძალით იფეთქა.

რაშია საქმე?!

მომენტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოებრივი, ეროვნული მოძრაობის მიღწევები, რეფორმები, რომლებიც საზოგადოების მოთხოვნებს აგრერიგ აკმაყოფილებდა და დღესაც აკმაყოფილებს, ქართველი ინტელიგენციის ინტელექტუალური ელიტის ჩამოყალიბებული, დამკვიდრებული ელიტარული ყოფის, პროფესიული საქმიანობის ზოგიერთ მხარეებსაც შეეხო, საზოგადოების, ინტელიგენციის ნაწილის შემეცნება, ყოფა ხშირად კონსერვატიული ხასიათისაა, რამეთუ იგი ეროვნულ ისტორიულ-კულტურულ, ისტორიულ-ცივილიზებულ სიმყარეს ეფუძნება.

მოსახდენი მოხდა, წინ კიდევ ბევრი რამაა სავარაუდო, მოსახდენი.

რადიკალური ინტელიგენციის ნაწილმა, ჯგუფმა კი ვერაფერი დამატებითი, ხელშესახები, დასანახი ვერ მიიღო, შეისისხლხორცა, პირიქით — ზოგიერთი რამ კიდეც დაკარგა. ყოველ შემთხვევაში — დაკარგა მთავარი და მისთვის განმსაზღვრელი, საპრესტიჟო-ავანგარდის, მოწინავის როლი.

რა მოყვა ამას?!

გარკვეულწილ ჩაქრა ინტელიგენციის ენთუზიაზმი, უკმაყოფილებამ, გაღიზიანებამ იმატა, მის შეგნებაში უტოპიის მარცვალი შთაინერგა, რამაც უკვე პირველი ნაყოფი გამოიღო. ეს ყოველივე იქნებ იმის ბრალიც იყოს, რომ რაციონალური შემეცნების ისტორიული ფაზა ჯერაც გასავლელი გვაქვს, სუბიექტური ყოფის, კონსერვატიზმის ქვაბში ვიხარშებით.

რას გვიქადის ხვალინდელი დღე?!

ისტორია, თანამედროვეობა ადასტურებენ, დემოკრატიის განვითარებადი პროცესი, ფორმები არსებობის ნახევრად დაგლახავებულ სინამდვილეში უტოპიაა.

მავანი ოპოზიციონერი, მოსახლეობის ნაწილი, მათ შორის ინტელიგენციის ჯგუფი. საზოგადოებრივი წყობის, მმართველობის ისეთ რეჟიმს ქადაგებს, რომლის პირობითი სახელი და ცნება შესაძლოა „ლიბერალიზმი" იყოს. ლიბერალიზმი — ეს არის მოსახლეობის საშუალო ფენის — კერძო მეწარმის ფილოსოფია, მოკლედ ლიბერალიზმი არის შეძლებულობის, დოვლათიანობის, — ინდივიდუალური, კონკურენტუნარიანი ადამიანების ფილოსოფია. ისღა დაგვრჩენია საკუთარ თავს შევეკითხოთ, საზოგადოების ქვედა — ღარიბი წრეების წარმომადგენელთათვის მისაღები იქნება თუ არა ლიბერალიზმის ფილოსოფია?! პასუხი, მგონია, ნათელი უნდა იყოს. ამ დონეს ჯერაც მიღწევა უნდა — კერძო საკუთრების დამკვიდრება, შემდეგ კი ლიბერალიზმზე საუბარი.

ჩვენი ინტელიგენცია ქართული საზოგადოების შემეცნების განმსაზღვრელია, მისი მსახური და ამით პატივდებული.

რადიკალურად განწყობილ ოპოზიციონერებს მართებთ, ჩვენი საზოგადოების დღევანდელი „სიმწიფის", უფრო კი უმწიფობის ჟამს, საბრძოლო იარაღად გონიერება, ნიჭი, ქვეყნის გადარჩენის ნაცადი საშუალებები მოიხმონ, საკუთარი თავი დროებით მაინც დაივიწყონ და მომავალ თაობებს მათზე კარგის თქმის საშუალება დაუტოვონ.

ჩვენებური, ქართული პოლიტიკური კულტურა, გნებავთ ეროვნული კულტურა, გვინდა თუ არ გვინდა, ხელისუფლების პერსონალიზაციისაკენ უფრო მიილტვის, რაც ეროვნული ხასიათიდან გამომდინარეობს.

ზოგიერთი პოლიტიკოსი — დროში ცხოვრობს, მავანი — უსასრულობაში.

ხალხს, საზოგადოებას — პრეზიდენტის უკუგდება თუ პრეზიდენტის არჩევნები არ ესწავლება: წახდენილ სახელმწიფოს, პოლიტიკას, ეკონომიკას, სისხლის სუნზე დაგეშილ ძალადობას თუ ადამიანზე ზრუნვას, მამულის სიყვარულს, მის სამსახურს — საკუთარ თავზე, ოჯახზე, თანამოძმეზე, თანამოსაქმეზე შეიგრძნობს.

კაცი როდესაც საქართველოს ძველ ციხეებში, მონასტრებში, ვარძიაში შედის, ფრესკებს, გადაცვეთილ ჩუქურთმებს, გაშლილ თაღებს შესცქერის, შეიგრძნობა ერის სული და ძლიერი გაქანება, რომელიც უნდა ჰქონდეს იმ კაცს, პირველად რომ ჯვარში ავიდა და იქ სცადა მონასტრის აგება.

საქართველომ შექმნა „ჯვარი ვაზისა". ჯვარი — არც ხისაგან, არც ქვისაგან, არც რკინისაგან. რატომ მაინცა და მაინც ვაზის ნასხლევისაგან?! ალბათ იმისათვის, რომ ვაზი სახეა „მიწის" ნოყიერებისა და ნაყოფიერებისა. ეს კიდევ არაფერი. „ჯვრის ვაზი" შეკრულია ქალის თმებისაგან — ლეგენდარული გადმოცემით — თვითონ წმინდა ნინოსი. აქ „მარადი ქალწულობა" თუ „მარადი ქალურობა", უკანასკნელი სიმძაფრით გადმოიცემა. თავად კათოლიკურ ევროპასაც კი ასეთი მაგალითები არ გააჩნია.

**ავთანდილ გველესიანი**

---

## ინტერვიუ

# „დიდი პოლიტიკური პასუხისმგებლობაც"

**გარდამავალ პერიოდში უაღრესად დიდი და რთული ამოცანების წინაშე დგას რესპუბლიკის ვაჭრობა. თანამედროვე ეტაპზე როდესაც ირღვევა ძველი ეკონომიკურ-პოლიტიკური სტრუქტურები, ხოლო ახლები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, მოსახლეობის ყოველდღიური მოხმარების საქონლით მომარაგების ამოცანასთან ერთად, ვაჭრობის წინაშე დგას ამ საქმეში მტკიცე სახელმწიფო წესრიგის უზრუნველყოფის პრობლემაც. ამ მხრივ, ვაჭრობის სფეროში შექმნილ ოპერატიულ ვითარებაზე, დარღვევა-დანაშაულებებთან ბრძოლის ძირითად მიმართულებებზე და საერთოდ ვაჭრობის განვითარების პერსპექტივებზე ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის მოადგილეს, ბატონ ზურაბ კოპალიანს.**

**ბატონო ზურაბ, უკვე ერთი თვეა რაც ახალ ამპლუაში ბრძანდებით და უშუალო შეხებაში იმყოფებით ვაჭრობის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ უბანთან — წესრიგის უზრუნველყოფის საკითხებთან. ორიოდე სიტყვით, როგორ დაახასიათებდით იმ სიტუაციას, რომელიც დაგხვდათ?**

ვფიქრობ, ერთი თვეც საკმარისია იმისათვის, რომ რეალურად შევაფასოთ ამ სფეროში მიმდინარე პროცესები. მითუმეტეს, რომ ადრეც მიწევდა მუშაობა ამ საკითხებზე.

ვითარება ერთობ რთულია. 70 წლის მანძილზე ჩამოყალიბებულმა სახალხო მეურნეობის მართვის მახინჯმა ადმინისტრაციულ-დიქტატორულმა წესმა საბედისწერო კვალი დააჩნია ვაჭრობასაც. ჩაკლა თავისუფალი შემოქმედებითი საქმიანობა და კომერციული აზროვნების უნარი, რაც ამ დარგის განვითარებაში ყველაზე მთავარია. კორუფციისა და მექრთამეობის გაფურჩქვნის საყოველთაო პროცესში, ვაჭრობა მაინც ყველაზე მეტად აღმოჩნდა დაზიანებული. ვინაიდან, სწორედ აქ მოიყარა თავი ყველა დარგში არსებული ნეგატიური ტენდენციების ლოგიკურმა შედეგებმა.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ყოველწლიურად ვაჭრობაში სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოების მიერ 15-18 ათასამდე დარღვევა-დამახინჯების ფაქტი ვლინდებოდა. უკანასკნელ წლებში, ამ ციფრებმა საგრძნობლად იკლო, რაც დამეთანხმებით სულაც არ იყო რაიმე პოზიტიური გარდატეხის შედეგი ვაჭრობაში. პირიქით, ბოლო წლების საერთო მიშვებულობამ და უკონტროლობამ კიდევ უფრო გაართულა ოპერატიული ვითარება ვაჭრობაში. რესპუბლიკის ბევრ რეგიონში და სავაჭრო საწარმოში დარღვევა-დანაშაულებებმა თითქმის დაუფარავად, აშკარა სახეც კი მიიღო და ცხოვრების ნორმად იქცა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მუშაობის განვლილმა მცირე პერიოდმა აშკარად დაგვანახა, რომ არ არსებობს სავაჭრო პროცესის არცერთი უბანი, სადაც ადგილი არ ჰქონდეს კანონის დარღვევას. ასე რომ, ძალზედ მძიმე მემკვიდრეობა გვერგო.

შეიძლება ითქვას, რომ თვით სახალხო მეურნეობის მართვის ძველ მეთოდებში და ეკონომიკის გაძღოლის ფორმებში იყო ჩადებული ისეთი მექანიზმი, რომელიც ვაჭრობაში სხვადასხვა დარღვევების წარმოშობის ობიექტურ საფუძვლებს ქმნიდა.

ამიტომ ამ ეტაპზე ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს ვაჭრობის წესების დარღვევების ფაქტების მიგნება და გამოვლენა, ისინი როგორც იტყვიან ზედაპირზეა. პრობლემა იმაშია თუ როგორ მივაგნოთ იმ საშუალებებს, როგორ ავამოქმედოთ ის ახალი ეკონომიკური ბერკეტები, რომლებიც ჩანასახშივე აღმოფხვრიდნენ დანაშაულის წარმოშობას.

**ამბობენ, რომ ვაჭრობა ჩვენი ცხოვრების დონის შეფასების ერთგვარი ბარომეტრია, რომელზედაც უმალ აისახება სულ მცირედი ცვლილებებიც ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში. დღევანდელ შეცვლილ ვითარებაში ხომ არ მოხდა რაიმე თვისებრივი ცვლილებები დარღვევა-დანაშაულობათა სტრუქტურაში, სად გადაინაცვლა სიმძიმის ცენტრმა?**

იყო დრო, როდესაც სავაჭრო ორგანიზაციების საქმიანობა კომერციული მუშაობის დონით კი არა, ჩატარებული შემოწმებებისა და გამოვლენილი დარღვევების სტატისტიკით ფასდებოდა. სხვადასხვა რანგის მაკონტროლებელი ორგანოები, რომელთა რაოდენობაც თუ არ ვცდები 50-ს აღწევდა, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ზედაპირულად ჩატარებული შემოწმებების რაოდენობით. მაშინ, როცა როგორც იტყვიან „ქვეყანა მიჰქონდა" აღურიცხავი საქონლით ვაჭრობას, უსაქონლო ოპერაციებს, გაფლანგვა-დატაცებების შემთხვევებს და ა. შ.

დღევანდელ პირობებში, საერთო ეკონომიკური სიტუაციის ცვლილებამ ვაჭრობის წესების დარღვევა-დამახინჯებათა სტრუქტურაზეც იქონია გავლენა. მაგალითად, სამრეწველო ნედლეულის მწვავე დეფიციტმა მართალია, მთლიანად ვერ მოსპო, მაგრამ რამდენადმე შეამცირა საქონლის გამოშვება და რეალიზაცია. სამაგიეროდ, ჩვენი სამომხმარებლო ბაზრის უკიდურესმა გაჩანაგებამ და ფართო მოხმარების ყველა სახეობის საქონლის მწვავე დეფიციტმა, დღეს უკვე წინა პლანზე წამოსწია საქონლის მასიური გადამალვისა და სპეკულაციის ფაქტები, რომელიც ჩვენს მიერ ჩატარებული შემოწმებების დროს თითქმის ყოველ მესამე შემთხვევაში ვლინდება. ჩვენც ახლა სწორედ ამ კუთხით ვაძლიერებთ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარებას.

ბევრი სამუშაო გაგვიჩინა მთელი კავშირის მასშტაბით ცენტრალიზებულად განხორციელებულმა ეგრეთ წოდებულმა „ფასების დარეგულირების" ღონისძიებებმა. მე არაფერს ვიტყვი მისი ჩატარების ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ნაკლოვანებებზე, ამაზე ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ შევნიშნავ, რომ ფასწარმოქმნის ამ აბსურდულმა მექანიზმმა სულ მთლიანად დააბნია მომხმარებელი. ამან ვაჭრობის ბევრ არაკეთილსინდისიერ მუშაკს ხელის მოთბობის კარგი საშუალება მისცა და დანაშაულისაკენ უბიძგა. რეფორმის პირველ დღეებში, ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველო პირდაპირ წალეკა მოქალაქეთა საჩივრებმა. ის კი არა, პირველად ჩვენც გაგვიჭირდა ფასწარმოქმნის ზოგიერთ საკითხში გარკვევა.

ამჟამად, განსაკუთრებით საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების გამოქვეყნების შემდეგ, აღნიშნული პროცესები თანდათან სტაბილიზირდება და სიტუაციაც მართვადი ხდება. გარდა ამისა, ჩვენმა სამსახურმაც გარკვეული ორგანიზაციული მუშაობა ჩაატარა სავაჭრო ორგანიზაციებთან ფასდამახინჯებათა პროფილაქტიკის საქმეში.

**რომელი ძირითადი მიმართულებით აპირებთ საუწყებო კონტროლის სამსახურების მუშაობის წარმართვას მომავალში, როგორია თქვენი, როგორც დარგის კურატორის გეგმები?**

ანალიზმა დაგვანახა, რომ ჩვენს საქმიანობაში აქცენტის აღება კონკრეტულად რომელიმე ერთ უბანზე — არასწორი იქნებოდა, ვინაიდან, როგორც ზევით აღვნიშნე, დარგის ყველა უბანი ერთნაირად არის დაზიანებული. ამიტომ, დარგში დისციპლინის საკითხებს კომპლექსური მიდგომა სჭირდება. თუმცა, შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე სტრატეგიული მიმართულებაც.

მოგეხსენებათ, ყველა საქმეში განუზომლად დიდია კადრების როლი და ამიტომაც ჩვენს ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავს სწორედ თანამიმდევრული საკადრო პოლიტიკის განხორციელება შეადგენს. უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს საუწყებო კონტროლის ყველა მუშაკს როდი აქვს მორალური უფლება იყოს სახელმწიფო წარმომადგენელი და აკონტროლოს სავაჭრო ობიექტების მუშაობა. ჩვენ შევუდექით კადრების გადახალისებას, ვიწყებთ ზრუნვას მათი მომზადების პროფესიონალური დონის ასამაღლებლადაც.

დარგთან პირველივე კონტაქტებმა დაგვანახა, რომ ვაჭრობაში საუწყებო კონტროლის სამსახურების საქმიანობა ერთობ ქაოსურ, სტიქიურ სახეს ატარებდა და საჭიროა მათი მუშაობის კოორდინაცია. დღეს ვაჭრობის სამინისტროში შექმნილია ყველა მაკონტროლებელი სამსახური და მათ საქმიანობას, როგორც მინისტრის მოადგილე მე ვხელმძღვანელობ. საუწყებო კონტროლის ყველა ძალების მობილიზაციის და კოორდინაციის გზით ჩვენს მიერ ჩატარებული შემოწმებები უფრო სიღრმისეულ და პროფესიონალურ ხასიათს მიიღებენ. გარდა ამისა, ამაღლდება ჩატარებული შემოწმებების პროფილაქტიკური მნიშვნელობა. ყოველ სავაჭრო ობიექტში ჩვენი შესვლა მიზნად უნდა ისახავდეს არამარტო ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას და კონკრეტულ დამნაშავეთა დასჯას, არამედ იმ არხების გადაკეტვასაც, რომლებიც ამ დარღვევებს წარმოშობს და კვებავს. დამერწმუნეთ ეს უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე დარღვევების გამოვლენა.

ერთ დროს ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს საქმიანობა საზოგადოებისათვის თითქმის გასაიდუმლოებული იყო და გარდა მაღალი პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობისა, არავის არ ჰქონდა უფლება ჩარეულიყო მის მუშაობაში. დღეს საზოგადოებასა და ჩვენს შორის აღმართული ეს ზღუდე მოვშალეთ და გვინდა ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის წარმატება თუ წარუმატებლობა ხალხის სამსჯავროზე გამოვიტანოთ. ჩვენი მუშაობის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით საზოგადოებრივ კონტროლიორთა სპეციალური ბრიგადაც კი ჩამოვაყალიბეთ. განზრახული გვაქვს აქტიურად ვითანამშრომლოთ მოსახლეობასთან. მინდა დავარწმუნო ჩვენი მომხმარებელი, რომ მათი არცერთი საჩივარი და საქმიანი წინადადება ჩვენი მხრიდან არ დარჩება სათანადო რეაგირების გარეშე. უფრო მეტიც, განზრახული გვაქვს ვაჭრობის ინსპექციის მთავარ სამმართველოში მომხმარებელთა ინტერესების დაცვის სპეციალური ქვედანაყოფიც კი ჩამოვაყალიბოთ, რომელიც უშუალოდ ითანამშრომლებს მოსახლეობასთან.

**ბატონო ზურაბ, დღეს, როდესაც ჩვენი რესპუბლიკა მტკიცედ დაადგა ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გზას და დაგმო მართვის მანკიერი სოციალისტური პრინციპები, კრიზისიდან თავის დაღწევის და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ერთადერთ გზად ბევრს საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა მიაჩნია. თქვენ როგორც დარგის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, როგორ გესახებათ ვაჭრობის პერსპექტივები საბაზრო ურთიერთობების პირობებში?**

მიმდინარე პროცესები შეუქცევადია. ჩვენ ველარ დავუბრუნდებით იმას, რამაც „მაღალი კომუნისტური იდეალებისათვის" ბრძოლის მიზნით სრულ განადგურებამდე მიიყვანა საზოგადოება. კომუნისტურმა იდეოლოგიამ ერთხელ და სამუდამოდ დაასაბუთა, რომ იგი არ არის სიცოცხლისუნარიანი და თავის თავი დაასამარა.

დღევანდელ პირობებში საზოგადოების კრიზისიდან გამოყვანისათვის უნდა შევქმნათ მართვის ისეთი ახალი მექანიზმი და შესაბამისი სტრუქტურები, რომლებიც ადამიანთა თავისუფალ და ინიციატივიან შრომაზე დაყრდნობით ხელს შეუწყობენ სახალხო მეურნეობის სტაბილიზაციას, ეკონომიკურ ურთიერთობათა მოწესრიგებას და სოციალური პრობლემების მოგვარებას.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ვაი ოპონენტი, რესპუბლიკის დღევანდელ ხელმძღვანელობას ბრალს სდებს იმაში, თითქოს ჩვენში დემოკრატიული გარდაქმნები ნელა მიმდინარეობენ და ჭიანურდება ძველი სტრუქტურების დემონტაჟი. მაშინ, როცა თვითონ, თავის დროზე „კომუნისტური ნამგლითა და უროთი" ძირში სჭრიდნენ დემოკრატიის ფესვებს და სჭედდნენ იმ მახინჯ სოციალისტურ სამეურნეო მექანიზმს, რომელმაც სოციალურ და ეკონომიკურ კატასტროფამდე მიგვიყვანა.

ამიტომ, დღევანდელ პირობებში ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ საქართველოს პრეზიდენტის სტრატეგიულ კურსს ეკონომიკის აღმშენებლობის საქმეში და მიგვაჩნია, რომ ეს გზა საბაზრო ურთიერთობებზე გადის.

ბუნებრივია, ამ გზას გვერდს ვერც ვაჭრობა აუვლის. დღეს თუ არა ხვალ, ვაჭრობაც აღმოჩნდება ახალი ურთიერთობების კარიბჭესთან. ამიტომ, დარგი სერიოზულად უნდა მოემზადოს ახალ პირობებში მუშაობისათვის.

საქმე სწორედ იმაშია, რომ ვაჭრობა მხოლოდ მაშინ ასრულებს თავის ნამდვილ მისიას, როდესაც იგი აქტიურ, მაორიენტირებელ და შეიძლება ითქვას მაორგანიზებელ ზემოქმედებას ახდენს როგორც საქონლის მწარმოებელზე, ასევე მომხმარებელზე.

მსოფლიოს ბატონობის იმპერიული ამბიციებით შეპყრობილი სახელმწიფო, რომელიც სამხედრო შეიარაღების შეუზღუდავი ზრდისაკენ მიმართავს ქვეყნის საწარმოო პოტენციალს, რასაკვირველია, ვერასოდეს ვერ უყრის თავს ხალხის მოთხოვნილების მინიმალური უზრუნველყოფისათვის საჭირო სასაქონლო რესურსებს, რაც აპირობებს კიდეც ამ საქონლის ქრონიკულ დეფიციტს. ამ პირობებში ყოვლად უსაგნო ხდება, უბრალოდ „ჰაერში ეკიდება" ვაჭრობის როგორც სახალხო მეურნეობის დარგის აქტიური ფუნქცია. რისთვის ან ვისთვის შეისწავლოს მან მაგალითად, ამა თუ იმ საქონელზე ხალხის მოთხოვნილება? ვინ აიღებს სათანადო დაკვეთას მის წარმოქმნაზე? ხოლო, ამის გარეშე როგორღა მოახდინოს ვაჭრობამ მაორიენტირებელი, მაორგანიზებელი ზეგავლენა საქონელმწარმოებელზე? აქ მექანიკურად წყდება საზოგადოებისათვის ესოდენ საჭირო უკუკავშირი მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის. ასევე პასიურად და უსაგნოდ რჩება ვაჭრობის დარგის მეორე უმნიშვნელოვანესი ფუნქციაც — მისი მაორგანიზებელი, მაორიენტირებელი ზეგავლენა მომხმარებელზე, რადგან ყოველგვარ სამომხმარებლო საქონელზე მწვავე დეფიციტის პირობებში პრაქტიკულად მოხსნილია სავაჭრო რეკლამის საჭიროება.

ამ ისტორიული ჩიხიდან გამოსავალი მხოლოდ ერთადერთია — საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. მხოლოდ ამ გზით, საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე დაფუძნებული საქონელწარმოების განვითარების გზით შეიძლება დავძლიოთ დღეს გაბატონებული სახელმწიფო მონოპოლიზმი, გზა გავუხსნათ ჯანსაღ კონკურენციას საქონელმწარმოებელთა შორის, მივაღწიოთ საქონლის სიუხვეს სამომხმარებლო ბაზარზე. სწორედ ამ პირობებში გამოჩნდება სრული ძალით ვაჭრობის დარგის აქტიური როლი ქვეყნის მთელი სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზმის რიტმული ფუნქციონირების უზრუნველყოფის საქმეში, მაშინ მიეცემა ნამდვილი სარბიელი კომერციულ ნიჭს, პროფესიონალიზმსა და შემოქმედებას.

რესპუბლიკის პარლამენტის პოლიტიკური სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა და, ბუნებრივია, რომ მომავალი საბაზრო ეკონომიკაც კარგად მოფიქრებულ საკანონმდებლო სისტემაზე იქნება დაფუძნებული. ეს მუშაობა დღეს დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. პარლამენტმა უკვე დაამტკიცა რამდენიმე ფუძემდებლური კანონი, განხილვის პროცესშია და უახლოეს პერიოდში იქნება მიღებული რიგი ახალი კანონ-პროექტებისა — მეწარმეობის, პრივატიზაციის, ინვესტიციების, ბანკების, მიწის შესახებ და ა. შ., რომლებიც მტკიცე ქვაკუთხედად უნდა დაედონ საბაზრო ეკონომიკას. დაწყებულია მუშაობა ვაჭრობის შესახებ კანონპროექტზეც, რომელიც ერთ-ერთ წამყვან ადგილს დაიჭერს ახალი ეკონომიკის საკანონმდებლო სისტემაში და მტკიცე საფუძველს ჩაუყრის ამ დარგის მომავალ განვითარებას ჩვენი მოსახლეობის, მთელი ჩვენი რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად.

ახალი ფუნქციების შესაბამისად უნდა აეწყოს თვით ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურაც, რომელიც ჯერ კიდევ „საბჭოთა ვაჭრობის" პრინციპებზეა მისადაგებული და შორსაა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებისაგან. ვაჭრობის სამინისტროს მთელი სტრუქტურულ-ორგანიზაციული სისტემა სამომავლოდ იმდაგვარად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ მან ზედმიწევნით უზრუნველყოს დარგის მიერ იმ აქტიური როლის შესრულება, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

პირველ რიგში საბაზრო ურთიერთობების დანერგვა ვაჭრობაში დაკავშირებული იქნება საკუთრების განსახელმწიფოებრიობასთან, საკუთრების მრავალფეროვანი ფორმების შემოღებასთან, რასაც შემდგომ ეტაპზე უნდა მოჰყვეს მთლიანად ვაჭრობის ორგანიზაციული სტრუქტურების შეცვლა. რა დასამალია და დღევანდელი სახელმწიფო ვაჭრობის სტრუქტურა იმდენად მოუქნელი და ტლანქია, რომ ახალ პირობებში იგი არა თუ ვერ შეუწყობს ხელს განვითარებას, არამედ დაამუხრუჭებს კიდევაც მის წინსვლას.

ამასთანავე, უნდა შევინარჩუნოთ ვაჭრობის მართალია გამარტივებული, მაგრამ ამავე დროს ორგანიზებულად ძლიერი სტრუქტურა, რათა შესაძლებელი იყოს ვაჭრობაში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, მომხმარებელთა ინტერესების დაცვა.

ჩემის აზრით, სახელმწიფო საკუთრების გასახელმწიფოებრიობა უნდა მოხდეს ისეთნაირად, რომ მან არ შელახოს არც სახელმწიფოს და არც ახალი მესაკუთრის ინტერესები და იყოს ურთიერთხელსაყრელი.

უნდა გავაღრმავოთ საქმიანი კომერციული კონტაქტები სხვა რესპუბლიკებთან. დღეს ბევრი რესპუბლიკა უარს აცხადებს ცენტრის დიქტატისადმი მორჩილებაზე, ეძებს საქმიან სავაჭრო პარტნიორებს. მათ უნდა ძებნა და გამოვლენა. იმ დროს, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობას უჭირს და ზოგიერთი დარგები თითქმის პარალიზებულია, ვფიქრობ ვაჭრობის პასუხისმგებლობა რესპუბლიკის გარეთ სახალხო მოხმარების საქონლის რესურსების გამოვლენის, შემოტანისა და მოსახლეობისათვის მიწოდების საქმეში ერთი ორად იზრდება. ეს კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული ვაჭრობის ყველა დონის ხელმძღვანელს. დღეს, ჩვენს დარგს არამარტო ეკონომიკური, დიდი პოლიტიკური პასუხისმგებლობაც აკისრია. რა დასამალია და ცენტრი ეცდება ეკონომიკური ზემოქმედების გზით დააჩოქოს „ურჩი რესპუბლიკები", შეუზღუდოს საქონლის შემოსვლა, გატეხოს მათი წინააღმდეგობა. საბოლოო ჯამში ეს დიდ უბედურებად ატყდება ისევ მოსახლეობას, რომელსაც სჭირდება სოციალური და ეკონომიკური დაცვა. ამ პირობებში ჩვენი დარგი უნდა აღმოჩნდეს ხალხის გვერდში, იყოს მის სამსახურში.

არის მთელი რიგი სხვა პრობლემებიც, რომელთა შესახებ საუბარი ახლა შორს წაგვიყვანდა. დასკვნა ერთია — გასაკეთებელი ძალზე ბევრია, მაგრამ ჩვენს საზრუნავს ჩვენვე უნდა მივხედოთ. სწორედ ამიტომ გვჭირდება სრული მობილიზება და ენერგიული მოქმედება.

---

## საკუთარ სახლში

# ყოველდღიური გულმოწყალება

**საერთაშორისო** ფირმა „სოსკინდერდორფმა", რომლის შტაბბინა ვენაშია, მიზნად დაისახა მაქსიმალური ოჯახური სიმყუდროვე და ღირსეული გარემო შეუქმნას, მზრუნველობა არ მოაკლოს ობოლ ბავშვებს. ამ ფირმის შეკვეთით ასოციაცია „ხეთის" თბილისის მრავალპროფილიანი კოოპერატივის „იზრის" არქიტექტორებმა ფარნა ზაქარიამ, თეიმურაზ გაბუნიამ, ირაკლი აბაშიძემ და ლევან ჩხეიძემ შეიმუშავეს საბავშვო სოფლის პროექტი და აჩუქეს საქართველოს საბავშვო ფონდს, შეარჩიეს მისი მშენებლობის ადგილი ნუცუბიძის პლატოზე, ლისის ტბის მახლობლად თბილისში.

სოფლისათვის გამოიყო ოთხ ჰექტარზე მეტი ტერიტორია, რომელზეც განლაგდება თხუთმეტი ერთბინიანი სახლი საბავშვო სათამაშო და სპორტული მოედნებითურთ. ბავშვები სოფელში გერის უფლებებით არ იქნებიან. მათთვის ყოველ სახლში იქნება ხუთი-ექვსი „საკუთარი" ოთახი, რომლებიც გათვალისწინებულია 5-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვთა ჯგუფებისათვის. ცალკე ოთახი გამოიყო აღმზრდელისათვის. თითოეულ სახლში იქნება აგრეთვე კინოდარბაზი, სათამაშოების დარბაზი, სასადილო. სამზარეულო, სააბაზანო და სამრეცხაო, ყოველი სახლის მახლობლად გათვალისწინებულია ნაკვეთი ყვავილებისა და ბოსტნეულის მოსაყვანად, პატარა ხეივანი, უბანი ჰაერზე სათამაშოდ. ლისის ტბაზე იქნება საწყლოსნო სადგური. აშენდება აგრეთვე ხისა და აგურის სხვადასხვანაირი „ციხე-დარბაზები".

ბავშვთა შრომითი აღზრდის დამახასიათებელი ნიშანი სოფელში იქნება მათი მონაწილეობა მშობელთა, ამ შემთხვევაში — აღმზრდელთა საქმიანობაში. ისინი შეისწავლიან „მშობელთა" პროფესიებს — მებაღის; თერძის, ცულინარის პროფესიას, შინამრეწველურ ხელოსნობას.

საქინფორმი

---

# ოსი ეროვნების ინვალიდთა საყურადღებოდ!

**სრულიად** საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის პრეს-ცენტრი იუწყება, რომ მიმდინარე წლის 24 მაისს 15 საათზე ქ. გორში ფეიქართა კულტურის სასახლეში მოწვეულია საქართველოში მცხოვრებ ოსი ეროვნებისა და სამაჩაბლოდან ლტოლვილი ინვალიდთა საგანგებო შეკრება სამაჩაბლოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებით.

შეკრებას დაესწრებიან ღვთისშვილთა კავშირის ხელმძღვანელები, გორის პრეფექტურისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

საქინფორმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საზღვარგარეთ

# ზოგი რამ ამერიკელთა პრეზიდენტის თანამდებობაზე

**შეერთებული** შტატების კონსტიტუციით, ქვეყნის პრეზიდენტი შეიძლება გახდეს არა ნატურალიზებული, არამედ დაბადებით ამერიკელი მოქალაქე. იგი უნდა იყოს რწმენით ქრისტიანი და ერთხელ დაოჯახებული, რომელსაც შეუსრულდა 35 წელი და შტატების ტერიტორიაზე ცხოვრობს სულ ცოტა 14 წლის განმავლობაში. პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი არ შეიძლება ერთი და იგივე შტატის მოქალაქეები იყვნენ. პრეზიდენტის კანდიდატურას პარტიული ყრილობა წარადგენს.

პრეზიდენტს ირჩევენ ოთხი წლით. პირველი პრეზიდენტი იყო ჯორჯ ვაშინგტონი, უკანასკნელი, რიგით 41-ე პრეზიდენტი — ჯორჯ ბუშია. ამერიკელები თავიანთ პრეზიდენტებს სიმბოლურად ორ ჯგუფად ჰყოფენ: „ნამდვილ“ და „ჩვეულებრივ“ პრეზიდენტებად. ჩვეულებრივია ერთი ვადით არჩეული პრეზიდენტი, ხოლო ნამდვილია ორი ვადით არჩეული. რამდენიმე პრეზიდენტი ორი ვადით იყო არჩეული. ფრანკლინ რუზველტმა ეს ტრადიცია დაარღვია, იგი ზედიზედ ოთხჯერ აირჩიეს. 1951 წელს, კონსტიტუციაში შეიტანეს 22-ე შესწორება, რომლის ძალითაც დადგინდა, რომ ერთი და იგივე პირის პრეზიდენტად არჩევა შეიძლება მხოლოდ ორჯერ. სწორედ ამიტომ ქვეყნის მე-40 პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა (მისთვის ერთი გამონაკლისი დაუშვეს: იგი მეორედ იყო დაოჯახებული), თუმცა ყველა პირობა ჰქონდა წარმატებისა, უარი თქვა პრეზიდენტობის პოსტზე მესამედ დაესახელებინა თავისი კანდიდატურა.

პრეზიდენტი შეიძლება თანამდებობიდან გადააყენონ. ეს ხდება მაშინ, თუ იგი რაიმე დანაშაულს ჩაიდენს. ამ დროს ამუშავდება ე. წ. იმპიჩმენტის სისტემა. ეს არის განსაკუთრებული სასამართლო პროცედურა, რომლის დროსაც კონგრესის წარმომადგენლობათა პალატა სისხლის სამართლის საქმეს აღძრავს, ხოლო სენატი მას განიხილავს და განაჩენსაც გამოიტანს. განაჩენის მისაღებად საკმარისია სენატორთა ხმების ორი მესამედი. იმპიჩმენტის წესით ჯერჯერობით არც ერთი პრეზიდენტი არ გაუსამართლებიათ; თუმცა მასთან ძალიან ახლოს იყო პრეზიდენტი ნიქსონი „უოთერგეიტის“ გახმაურებული სკანდალის გამო. ნიქსონმა თავს გადადგომით უშველა.

პრეზიდენტი ერთდროულად სახელმწიფოს მეთაური და მთავრობის მეთაურია. იგი მართავს სახელმწიფო აპარატს, მეთაურობს კაბინეტებს, ნიშნავს სხვადასხვა ფედერალური უწყებების მეთაურებს, ნიშნავს ელჩებსა და წარმომადგენლებს, უფლება აქვს სიკვდილმისჯილის შეწყალებისა და კონგრესის კანონპროექტებზე ვეტოს დადებისა.

ამერიკის პრეზიდენტის რეზიდენცია-კანცელარია ქვეყნის დედაქალაქ ვაშინგტონში, თეთრ სახლშია. ეს შენობა 1800 წელს აშენდა. 1814 წელს ინგლისელებმა იგი დაწვეს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ კვლავ აღადგინეს. ინგლისელების მიერ მოწყობილი ხანძრის შემდეგ იგი სქელი თეთრი საღებავით დაფარეს და ამიტომ დაერქვა თეთრი სახლი.

შეერთებული შტატების პრეზიდენტს შესაფერისი ანაზღაურებაც აქვს. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე ხნის წინათ ჟურნალმა „ნიუს უიქმა“ გამოაქვეყნა მონაცემები, საიდანაც ირკვევა, რომ კონგრესის გადაწყვეტილებით პრეზიდენტის წლიური ხელფასი 200 ათასი დოლარია. ამას გარდა, წვრილმანი ხარჯებისათვის გამოყოფილი აქვს 50 ათასი დოლარი. სხვადასხვა ქვეყანა სამივლინებო ხარჯების ასანაზღაურებლად პრეზიდენტის განკარგულებაშია 100 ათასი დოლარი. რეზიდენციებში მოწყობილი დიპლომატიური ან სამოქალაქო დარბაზობისათვის განსაზღვრულია 20 ათასი დოლარი.

მაშასადამე, წლიურად შეერთებული შტატების პრეზიდენტის, კონკრეტულ შემთხვევაში კი ჯორჯ ბუშის განკარგულებაშია, ხელფასის ჩათვლით 370 ათასი დოლარი, მაგრამ ეს ციფრი ზღვარი სრულიადაც არ არის. ჩვეულებრივ მას კონგრესი ვითარებისდა მიხედვით ცვლის ხოლმე. ისე კი იგი 400-430 ათას დოლარს შეადგენს.

გადამდგარ პრეზიდენტს დიდი შეღავათები აქვს. კონგრესის გადაწყვეტილებით მას უნარჩუნდება სამუდამოდ რომელიმე რეზიდენცია, ემსახურება ორი მცველი და მდივანი, კორესპონდენციების მიღება-განაწილებისათვის, უფასო სატელეფონო კავშირი და წლიური ჯამაგირი — 80 ათასი დოლარი. გადამდგარ პრეზიდენტებს ჩვეულებრივ დიდი გავლენა აქვთ და მათი სიტყვა დიდად ფასობს.

პრეზიდენტს აქვს ფედერალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი და კონგრესის მიერ დამტკიცებული ე. წ. „საპრეზიდენტო ფონდი“. ეს ფონდი გამოიყენება უცხო ქვეყნებისათვის დასახმარებლად და გარანტის როლს ასრულებს საზღვარგარეთ იარაღის გაყიდვის დროს. 1991 საფინანსო წელს საპრეზიდენტო ფონდმა 12,2 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც ფედერალური ბიუჯეტის 1 პროცენტია. უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტის ფონდიდან ფინანსდება საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის სამხედრო დახმარების პროგრამების 73 პროცენტი. დანარჩენს იხდიან სახელმწიფო დეპარტამენტი და სხვა ორგანიზაციები. ამას გარდა, პრეზიდენტის ფონდიდან იგზავნება თანხა საერთაშორისო სავალუტო პროგრამებისათვის.

პრეზიდენტის მრავალრიცხოვან უფლებებსა და მოვალეობებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მის სამხედრო უფლებებს. იგი საკანონმდებლო წესით არის განმტკიცებული. კონსტიტუციის შესაბამის პუნქტში წერია, რომ „პრეზიდენტი არმიისა და ფლოტის უმაღლესი მთავარსარდალია“.

პრეზიდენტის კონსტიტუციური სამხედრო უფლებები ისტორიული განვითარების კვალობაზე ზუსტდებოდა და ამჟამად მას განუსაზღვრელი უფლებები აქვს. კონსტიტუციურად ომის გამოცხადება შეუძლია მხოლოდ კონგრესს, ხოლო პრეზიდენტი, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, წარმართავს მას, მაგრამ სინამდვილეში ასე არ ხდება. თავისი ისტორიის მანძილზე შეერთებული შტატები 200-ზე მეტჯერ ჩაება კონფლიქტში და მხოლოდ 6-ჯერ გამოაცხადა კონგრესმა ფორმალურად ომის დაწყება.

თეთრი სახლის მეთაური თავდაცვის მინისტრის პოსტზე აუცილებლად ნიშნავს სამოქალაქო პირს, რომელსაც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არმიასთან საქმე არ ჰქონია, ხოლო შტაბების მეთაურების კომიტეტის თავმჯდომარედ ინიშნება საკადრო ოფიცერი.

პრეზიდენტი უმაღლეს სამხედრო წოდებებს სენატთან შეთანხმებით ანიჭებს. მას შეუძლია ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში საგანგებო წესების გამოცხადებაც.

კონსტიტუციით ამერიკის პრეზიდენტის დიდი უფლება-მოვალეობის გარდა, გათვალისწინებულია მისი შეცვლაც მშვიდობისა და ომის დროს. ამავე დროს ომის შემთხვევაში დამუშავებულია პრეზიდენტის ევაკუაციისა და მისი მემკვიდრეების თანამიმდევრობის წესიც. კონსტიტუციის თანახმად პრეზიდენტის სიკვდილის, გადაყენების ან უუნარობის შემთხვევაში მისი მემკვიდრეები ხდებიან რიგითობის მიხედვით შემდეგი თანამდებობის პირები: ვიცე-პრეზიდენტი, წარმომადგენელთა პალატის სპიკერი, სენატის დროებითი თავმჯდომარე, სახელმწიფო მდივანი, ფინანსთა, თავდაცვის, იუსტიციის, შინაგან საქმეთა, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, შრომის, ჯანმრთელობის დაცვის, სოცუზრუნველყოფის, მშენებლობისა და ქალაქის განვითარების, ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და განათლების მინისტრები.

როგორც ვხედავთ პრეზიდენტის უშუალო მემკვიდრეა ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც კონსტიტუციის მიხედვით სენატის თავმჯდომარეა, თუმცა მისი წევრი არ არის.

პრეზიდენტის მემკვიდრის საკითხმა პრეზიდენტ ბუშის ხანმოკლე ავადმყოფობის გამო კვლავ წინა პლანზე წამოიწია. ტელეკომპანია ეი-ბი-სიმ და გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მოაწყვეს, საიდანაც გაირკვა, რომ ახლანდელ ვიცე-პრეზიდენტს დენ კუეილს ამერიკელები თავის პოსტზე კომპეტენტურად კი შიიჩნევენ, მაგრამ 67 პროცენტის აზრით პრეზიდენტის პოსტზე იგი ვერ ივარგებს. კუეილი, 44 წლის ყოფილი სენატორი ინდიანას შტატიდან, საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. დაისვა საკითხი, რომ პრეზიდენტმა კანდიდატთა საარჩევნო კამპანიის დროს მაქსიმალურად ზუსტად და ისე უნდა შეარჩიოს ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურა, რომ პრეზიდენტის პოსტზეც ივარგოს.

თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამერიკელები პრეზიდენტის მემკვიდრეობას, თანამიმდევრობის დაცვას, შემდეგი მაგალითიდანაც ჩანს. 1981 წელს, როდესაც დაჭრეს პრეზიდენტი რონალდ რეიგანი, მთავრობაში ხანმოკლე პანიკა ატყდა: ასეთ ვითარებაში მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა ალექსანდრე ჰეიგმა მოულოდნელად განაცხადა, რომ ძალაუფლებას იღებს ხელში, რაც მას, კონსტიტუციის თანახმად, რიგითობით არ ეკუთვნოდა. მაშინ ვიცე-პრეზიდენტი ჯორჯ ბუში იყო. ალექსანდრე ჰეიგს, ეს განცხადება, კარიერის დაკარგვად დაუჯდა.

შეერთებული შტატების პრეზიდენტს დამსახურებული აღიარება აქვს მსოფლიოში. მისი გავლენა განუზომელია. მსოფლიოს ხალხები მასში მშვიდობის ბურჯს ხედავენ, ეს კიდევ ერთხელ წარმოჩნდა სპარსეთის ყურის ომის დროს.

**ზურაბ სიხარულიძე,**
**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პოლიტიკური მიმომხილველი.**

# საჩუქრები ჯორჯ ბუშს

**1990 წელს** მიღებული 84 საჩუქრიდან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში აპირებს დაიტოვოს თევზჭერის აღჭურვილობა, ხოლო ვიცე პრეზიდენტი დენ კუეილი, რომელმაც 34 სუვენირი მიიღო, ირჩევს გოლფის ყვანჩს. ეს ნათქვამია გასულ ოთხშაბათს თეთრი სახლის პრესგანყოფილების მიერ გავრცელებულ დოკუმენტებში. კანონის მკაცრი მოთხოვნების შესაბამისად, პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი ვალდებული არიან განაცხადონ წლის მანძილზე 100 დოლარზე მეტი ღირებულების ყველა საჩუქრის მიღება. თუ საჩუქარი მიღებულია თანამემამულისაგან, პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს უფლება აქვთ იგი დაიტოვონ. თუ საჩუქარი მიღებულია სხვა ქვეყნის მოქალაქისაგან მისი დატოვება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ღირებულება 200 დოლარს არ აღემატება. ყველა სხვა ძვირფასი საჩუქარი ხაზინას გადაეცემა.

თეთრი სახლის მიერ გავრცელებული დოკუმენტების თანახმად ჯორჯ ბუშმა და მისმა მეუღლემ ბარბარამ 1990 წლის მანძილზე მიიღეს 22.138 დოლარის საჩუქრები. მაგალითად, 11 კაცმა პრეზიდენტს აჩუქა თევზჭერის აღჭურვილობა, ამასთან ერთ-ერთი საჩუქარი — ანკესები და მათი კოჭების ნაკრები შეფასებულია 780 დოლარად. ბრიტანეთის ერთ-ერთმა ჟურნალისტმა, რომელიც ინტერვიუს ართმევდა პრეზიდენტს, უძღვნა მას 360 დოლარად ღირებული ვერცხლის საწერი კალამი. ბარბარა ბუში დათანხმდა საჩუქრად მიეღო მისი სპანიელის, მილის სურათი (შეფასებული 200 დოლარად), აგრეთვე 150 დოლარად ღირებული მილის ქანდაკება.

ვიცე-პრეზიდენტმა დენ კუეილმა წლის მანძილზე მიიღო 17 ათასი დოლარის საჩუქარი, აქედან 15 მათგანი ასე თუ ისე უკავშირდება მის საყვარელ სპორტის სახეობას — გოლფს. ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული საჩუქარია პროფესიონალი მოთამაშის მიერ ნაჩუქარი 840 დოლარად ღირებული გოლფის ყვანჩების ნაკრები.

# რამდენიმე სტრიქონით

**ხორვატიაში** ჩატარებული რეფერენდუმით გამოირკვა, რომ მოსახლეობის 90 პროცენტი იუგოსლავიიდან გამოყოფის მომხრეა. ხორვატიის პრეზიდენტის ტუჯმანის განცხადებით ხორვატია განვითარების საკუთარი გზით წავა.

**„პოსტფაქტუმის“** სააგენტოს ცნობით საბჭოთა კავშირის გზათა სამინისტრომ გრაფიკიდან ამოიღო 15 მატარებელი, რომლებიც მოძრაობდნენ ბალტიისპირეთის, კავკასიისა და შუა აზიის მიმართულებით. ამის მიზეზად ასახელებენ ამ მატარებლებზე მგზავრების ნაკლებობას.

**ჩეხეთ-სლოვაკეთის** პრეზიდენტის ვაცლავ ჰაველის აზრით საბჭოთა ტანკი, რომელიც ქვეყნის პარლამენტის თხუთმეტმა დეპუტატმა ახლახან წითლად გადაღება, პრაღის ქუჩებიდან ტექნიკურ მუზეუმში უნდა გადაიტანონ.

**გრძელდება** პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ ვალენსას ვიზიტი ისრაელში. კნესეტში გამოსვლისას მან განაცხადა, ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ გაუქმდეს გაეროს 1975 წლის რეზოლუცია, რომლის ძალითაც სიონიზმი რასიზმის ერთ-ერთ ფორმად არის აღიარებული.

**პოლონეთში** გრძელდება მენაგვეებისა და მძღოლების გაფიცვა. ისინი შრომის პირობების გაუმჯობესებას მოითხოვენ.

**ცენტრალური** ტელევიზიის შეფმა, კრავჩენკომ განაცხადა ვილნიუსის ტელეცენტრის ოკუპაცია „ომონმა“ შეთანხმების საფუძველზე მოახდინა, ის ამაში ფულს იღებსო.

**„ნიუ-იორკ ტაიმსის“** ცნობით კონგრესის გადაწყვეტილებით იუგოსლავიას 6 მაისიდან შეუწყდა ამერიკელთა დახმარება. თეთრი სახლის წარმომადგენლის მარგარეტ ტატუაილერის თქმით ამის მიზეზია სერბიის დიქტატორული მეთოდები, რაც მოქალაქეთა უფლება-მოვალეობის შელახვას იწვევს.

**ბელორუსიის** საგაფიცვო კომიტეტის ხელმძღვანელის მუხინის თქმით რესპუბლიკაში გამოცხადებულია წინასაგაფიცვო მზადყოფნა. თუ უზენაესი საბჭო არ დააკმაყოფილებს მუშათა მოთხოვნას, იგი 22 მაისს დაიწყება. გაფიცულები მოითხოვენ ბელორუსიის სუვერენიტეტის გარანტიებს, ორგანიზაციების დეპარტიზაციას, ტელევიზიით ყოველდღიურად 15 წუთით გამოსვლას, ხელფასის მომატებას.

**ვაშინგტონში** ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი. შეხვედრის დროს განიხილავენ შეერთებულ შტატებთან გაერთიანებული გერმანიის სავაჭრო ურთიერთობის გაუმჯობესების გზებს.

**ქურთთა** ლიდერმა მასუდ ბარზანიმ განაცხადა, რომ მან პრინციპულ შეთანხმებას მიაღწია ერაყის მთავრობასთან ქურთისტანისათვის ავტონომიის მინიჭების თაობაზე. დადებული შეთანხმება 20 პუნქტისაგან შედგება და მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებასაც გულისხმობს.

**სუდანმა** თხოვნით მიმართა მსოფლიო გაერთიანებას, რომ აღმოუჩინონ სასწრაფო დახმარება და ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ პროვინციაში სურსათი გაუგზავნონ, სადაც ამჟამად მილიონობით ადამიანი შიმშილობს.

**ევროპის** ეკონომიკურ გაერთიანებაში შვედეთის შესვლას მხარი დაუჭირა მოსახლეობის 40 პროცენტმა, დაახლოებით ამდენივემ არ გამოხატა თავისი პოზიცია, ხოლო 14 პროცენტმა უარყო ასეთი ნაბიჯი. შვედეთის ხელისუფლებას სურვილი აქვს, რომ ქვეყანა აქტიურად ჩაება დასავლეთ ევროპის ინტეგრაციის პროცესში.

**სომხეთის** უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ლევონ ტერ-პეტროსიანი საფრანგეთს გაემგზავრა, სადაც შეხვდება ქვეყნის პრეზიდენტს ფრანსუა მიტერანს. ვარაუდობენ რომ შეხვედრის დროს განიხილავენ და დაგმობენ საბჭოთა არმიის მოქმედებას, რომელიც ახორციელებს სომეხი ხალხის დეპორტაციას ყარაბაღიდან.

### ხიდი

# აღიარება ჩიკამაცუს სამშობლოში

**იაპონიაში** გასტროლებიდან დაბრუნდა მარჯანიშვილის თეატრის დასი, რომელიც 8 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით ამაგასაკში, იოკოჰამაში და ტოკიოს „პარკო“ თეატრის სცენაზე აჩვენებდა მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებს“, მონძაემონ ჩიკამაცუს „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“, ლალი როსებას „პროვინციელ ამბავს“. ჩვენი თეატრის წარმატებით გამოსვლის ამბავი უცხოეთში ახლა აღარავის უკვირს, მაგრამ ქართული თეატრი პირველად ეწვია ამომავალი მზის ქვეყანას. „კაბუკისა“ და „ნოს“ თეატრების სამშობლოში აღიარება არ გახლავთ ჩვეულებრივი მოვლენა, რიგითი წარმატება. ეს გასვლა პრინციპული მნიშვნელობისა იყო და თამამად შეიძლება ითქვას, რომ თეატრმა თავისი მისია შეასრულა. იაპონიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკას დაეხმაროს 300000 დოლარით მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად.

ჩვენ ვიცით, რომ იაპონელები დიდხანს ელოდნენ ქართული თეატრის სტუმრობას. რომ არა ხელოვნური ბარიერები, ალბათ, იაპონია კარგა ხნის მოვლილი იქნებოდა, მაგრამ მხოლოდ წელს გახდა შესაძლებელი მარჯანიშვილის თეატრის იაპონიაში გამგზავრება. ფაქტია, რომ ქართულ-იაპონური თეატრალური ურთიერთობა ამ გასტროლით იწყება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იაპონიაში ადრე არაფერი იცოდნენ საქართველოსა და ქართული თეატრის შესახებ. ზუსტად სამოცი წლის წინათ, იქ აღტაცებით წერდნენ სანდრო ახმეტელის თეატრზე. 1931 წლის 13 აპრილს, გაზეთ „ტეიკოკუ დაიკაგუ შიმბუნში“ დაიბეჭდა ცნობილი იაპონელი რეჟისორის სეკი სანოს (1905-1968) წერილი — „როგორი უნდა იყოს მომავალი რეჟისურის ფორმა“ (მან მოსკოვში გასტროლების დროს ნახა ახმეტელის თეატრი) იგი წერდა: „ოკმეტასავით გაიბრწყინა ერთმა რეჟისორმა, რომლისგანაც ჩვენ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ. სამწუხაროა, რომ ის იაპონიაში არ გაჩნდა. მას ჰქვია სანდრო ახმეტელი. იგი დაიბადა მაღალმთიან საქართველოში... აქ არა მაქვს შესაძლებლობა დაწვრილებით აღვწერო „ლამარას“ დამდგმელი რეჟისორის ახმეტელის მეთოდი. აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ახმეტელის მთავარი ამოცანაა რაც შეიძლება უშუალოდ და შთამაგონებლად ასახოს სცენაზე ქართველი ხალხის ცხოვრება... ახმეტელის რეჟისორულმა ფორმებმა იაპონურ თეატრზე შთამაგონებლად უნდა იმოქმედოს... მე ვთვლი, რომ ჩვენთვის სხვა გზა არ არსებობს. ჩვენ მხოლოდ ახმეტელის მეთოდის საშუალებით დავძლევთ მანერიზმს და რეალურ გზას დავადგებით“.

პირველ რიგში, ქალბატონ მედეა კუჭუხიძეს დავუკავშირდი, როგორც ამ გასტროლების მთავარ გმირს. მას რომ არ დაედგა იაპონური კლასიკური პიესა, ალბათ, ჩვენს შესახებ ინტერესიც არ გაჩნდებოდა.

— ჩიკამაცუს პიესა 1981 წელს დავდგი. პირველი ინფორმაცია გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ მისცა. მეორე დღესვე დარეკეს მოსკოვიდან. პირველი იაპონელი ვინც ეს სპექტაკლი ნახა იყო ქალბატონი ჰიროკო კაკო. იგი იაპონიის ინტერნაციონალური სახლის პასუხისმგებელი მდივანი გახლავთ. ეს სახლი ტოკიოში არ არის არც სახელმწიფო, არც კომერციული დაწესებულება — იგი თავშესაფარია იმ მეცნიერთათვის, ვინც იაპონიაში ჩადის. მე ვარ ალბათ პირველი არამეცნიერი და პირველი ქართველი, ვისაც ინტერნაციონალურმა სახლმა უმასპინძლა. პირველად იაპონიაში 1983 წელს ვესტუმრე. თავიდანვე რაც ვითხოვე — მონძაემონ ჩიკამაცუს საფლავის მონახულება იყო. წამიყვანეს ამაგასაკში — დრამატურგის მშობლიურ ქალაქში. ახლანდელი ჩვენი გასტროლებიც ამაგასაკში დაიწყო (ოსაკასთან ახლოს), სპექტაკლის წინ მონძაემონ ჩიკამაცუს საფლავზე მივედით.

მე არაერთხელ ვყოფილვარ ჩვენს თეატრს საზღვარგარეთ, მაგრამ ამდენი მაყურებელი არასოდეს გვყოლია. უზარმაზარი იყო ინტერესი ჩვენს მიმართ. ეს ფანტასტიკური რეკლამის გამო ხდებოდა — პრესა, ტელევიზია ეხმაურებოდა ჩვენს ჩასვლას. მთელი ქალაქი მარჯანიშვილის თეატრის ჩასვლის მაუწყებელი აფიშებით იყო მოფენილი—„მონძაემონ ჩიკამაცუს სამყარო ფაქიზადაა დახატული ქართული სულის მიერ“, „სიყვარული, ღირსება, ერთგულება, თავგანწირვა — ჩიკამაცუს პიესის ამ სულისკვეთებას თითქოს რაღაც აქვს საერთო შორეული საქართველოს სულთან“, „როცა ეს თეატრი ვნახე საქართველოში, მე შემძრა ორიგინალის წვდომის სიღრმემ“ (განძირო ნაკამურა), „ეს არის დასავლური სტილის სპექტაკლი, მაგრამ იგი ბრწყინვალედ გამოხატავს ჩიკამაცუს ნაწარმოების სულს“ (უტაემონ ნაკამურა) — ასეთი იყო წარწერები აფიშაზე. უტაემონ და განძირო ნაკამურები კი ყველაზე დიდი ავტორიტეტები არიან იაპონური თეატრალური სამყაროსი. უტაემონ ნაკამურა აღიარებულია იაპონიაში „მნიშვნელოვან სულიერ კულტურულ ფასეულობათა მფლობელად“, არის იაპონიის ხელოვნების აკადემიის წევრი, მსახიობთა ასოციაციის პრეზიდენტი.

სამივე ქართული სპექტაკლი ტელევიზიამ გადაიღო და კოსმოსური არხით გადასცემდა. ჩვენს ერთ-ერთ სპექტაკლს დაესწრო ტახტის მემკვიდრე. იგი სპექტაკლის შემდეგ შემოვიდა კულისებში და მთელ დასს მადლობა გადაუხადა ჩიკამაცუს პიესის წარმოდგენისათვის.

იაპონელი მაყურებელი ძალიან თავშეკავებულია. სპექტაკლის დაწყების წინ დარბაზში სინათლე ქრება და სამარისებური მდუმარება ისადგურებს. სამ-ოთხ წუთს გრძელდება სიჩუმე. გგონია, რომ ყველამ დატოვა დარბაზი და ამ დროს იხსნება ფარდა. ფარდის გახსნა სასწაულის მოლოდინს გავს. სპექტაკლის შემდეგ არავინ არ გარბის, არავის არსად არ ეჩქარება. ძალიან დიდხანს დგანან და უკრავენ ტაშს, ფანტასტიურ თაიგულებს უძღვნიან აქტიორებს.

უკვე მესამედ ვიყავი ამ საოცარ ქვეყანაში, მაგრამ ყოველთვის ახალ-ახალ აღმოჩენებს ვხვდები. იოკოჰამაში რამდენიმე სპექტაკლი კოლეჯის სცენაზე ვითამაშეთ. ეს იყო ყველაზე ძვირად ღირებული, მდიდართა კოლეჯი. ვაკვირდებოდი აქაურ განათლების სისტემას, მოსწავლეებისა და პედაგოგების ურთიერთობას და ვრწმუნდებოდი, რომ საოცარი მოსწავლე-ახალგაზრდობა ჰყავთ. დისციპლინის, შრომის, ცოდნის დაუფლების ფანატიკოსები. აქ ყველას ფორმა აცვია, თავიდან ბოლომდე ყველაფერი ერთნაირი. თუ დავუკვირდებით, ფორმას მაორგანიზებელი ძალა აქვს, განსაკუთრებით სასწავლო დაწესებულებაში, სადაც ერთადერთი განმასხვავებელი შენი ტვინია და არა ის თუ რა გაცვია. ეს არის საოცრად გამრჯე ხალხი, ალბათ მსოფლიოს ვერცერთი ქვეყნის კალენდარზე ვერ შეხვდებით ამდენ უქმე და სადღესასწაულო დღეებს მაგრამ არავინ ისვენებს. იქ ქალები ნაკლებად მუშაობენ. იქ ქალი უპირველესად დედაა და შინ საქმიანობს, ქმარს კი აქვს შესაძლებლობა რომ ოჯახი არჩინოს. გამოსათხოვარ წვეულებაზე იაპონელმა მეგობრებმა არაერთხელ აღნიშნეს — ბედნიერები ხართ იმხელა რამ გააკეთეთ თქვენი სამშობლოსათვისო. იაპონიამ ბევრი რამ შეიტყო საქართველოს შესახებ, ასე რომ დახმარების მასშტაბიც შესაბამისი იქნებაო. იქვე ერთმა მაყურებელმა ქალმა მსახიობ მარლენ ეგუტიას კონვერტი გადასცა, რომელშიც 100 დოლარი იყო მიწისძვრისაგან დაზარალებულთა ფონდისათვის შესაწირად. არაჩვეულებრივი ყურადღებით და პატივისცემით იყო ყველა ჩვენგანი გამსჭვალული. განსაკუთრებით შეწუხდნენ, როცა ჩვენში მიწისძვრის შესახებ შეიტყვეს. ახალ-ახალი ინფორმაცია საქართველოდან კულისებში მოჰქონდათ, თანაგვიგრძნობდნენ, გვამხნევებდნენ.



**თემურ ჩხეიძე:** ჩვენი ჩასვლა იაპონიაში ორგანიზატორ-პროდიუსერების მეშვეობით მოხდა. მათი მხრიდან ეს იყო ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთი „ასახი“, ჩვენი მხრიდან კი თეატრის მოღვაწეთა კავშირის შემოქმედებით-კომერციული ფირმა „ბერიკა“ (დირექტორი ნატაშა ჩხიკვაძე). გასტროლებამდე 5 დღით ადრე, ჩამოვედით მე და ქალბატონი მედეა კუჭუხიძე. სად არ ვყოფილვართ და ამდენი ინტერვიუ, ამდენი პრესკონფერენცია არსად არ მახსოვს — ყველაფერი აინტერესებდათ საქართველოს გარშემო— პარლამენტის არჩევნები, ოსეთის ამბები, პრეზიდენტის პიროვნება.

იმ დღეებში, ტოკიოში შედგა თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხის“ პრემიერა. მიიწვიეს ოთარ მეღვინეთუხუცესი და რამაზ ჩხიკვაძე. იქ იცნობენ და აფასებენ ქართულ კინოს. ფილმის პრეზენტაციაში ქართველი მსახიობების მონაწილეობამ განსაკუთრებული განწყობილება შექმნა.

მე გამაოცა იოკოჰამის კოლეჯის 1200-კაციანმა დარბაზმა თავისი ტექნიკური შესაძლებლობებით და დიზაინით. იქაურ ახალგაზრდობას სერიოზული დამოკიდებულება აქვს ხელოვნებასთან, იგი მათთვის გართობაზე მეტს ნიშნავს.

ეს გასტროლები, ქალბატონ მედეა კუჭუხიძის დიდ გამარჯვებად მიმაჩნია. რამდენი ხანია გვეპატიჟებიან და როგორც იქნა შედგა ეს შეხვედრა. იქ დაგვხვდა გადამღები ჯგუფი (ფილმის სცენარი წინასწარ ჰქონიათ მომზადებული) ისინი იღებდნენ ფილმს თეატრის გასტროლებზე, მედეა კუჭუხიძის ფენომენზე. შეგვპირდნენ რომ ამ ფილმს გამოგვიგზავნიან, ისე რომ მერე ქართველ საზოგადოებრიობას ექნება შესაძლებლობა საკუთარი თვალით ნახოს როგორ მიიღეს ქართული თეატრი ამომავალი მზის ქვეყანაში. ეს ფილმი ინტერნაციონალური სახლის ინიციატივით იქმნება — ჩვენი ძველი, ერთგული მეგობარი ჰიროკო კაკოა ამ საქმის მოთავე.

ლექციების წაკითხვამ მომიწია ერთ-ერთ ჰუმანიტარულ კოლეჯში საქართველოს ისტორიის, დღევანდელობის და კულტურის შესახებ. მახსოვს, ერთ საღამოს, სპექტაკლის შემდეგ ჩემსკენ გამოეშურა სამი ტოკიოელი მანდილოსანი. ტოკიოში წარმოდგენებს თეატრ „პარკოში“ ვმართავდით. უნდოდათ ჩვენი თეატრით თავიანთი აღტაცება გამოხატონ, თარჯიმანის დახმარებით ვიგებ რომ ისინი ამბობენ — ყველაფერი გასაგებია. მე ჩავეძიე, რა არის-მეთქი გასაგები? ასე მიპასუხეს — რომ ქართველები ნიჭიერი ხალხი ხართო. ყველაზე ხშირად მეკითხებოდნენ ქართულ თეატრალურ სკოლაზე, რა საწყისებს ემყარება ჩვენი თეატრის დღევანდელობა, მათ განსაკუთრებით ის მოსწონთ ქართული თეატრისა, რომ ეროვნული ხასიათი, სტილი, ესთეტიკა, გამდიდრებულია სხვა თეატრალურ მიმდინარეობათა გამოცდილებით.

ჩვენს სპექტაკლებს ბევრი პროფესიონალი კრიტიკოსი დაესწრო. გვითხრეს, რომ მათი შეფასებები ოდნავ მოგვიანებით ჟურნალებში გამოქვეყნდება და გამოგიგზავნითო.

მთელი ჩვენი იქ ყოფნის დროს განსაკუთრებით მხარს გვიჭერდნენ ანსამბლ „იამასიროგუმის“ წევრები. ისინი ყველა სპექტაკლს ესწრებოდნენ. გამოცილების დღეს, დილის 7 საათზე მოვიდნენ სასტუმრო „მეტროპოლიტენში“, თან ქართული შინდისფერი დროშები მოიტანეს და ისე გამოგვაცილეს აეროპორტამდე.


蘇えたつ演劇の巨人ソビエトの知性。
ペレストロイカで実現　待望の初来日。
黒と白のパフォーマンス
グルジアの魂　ニッポンの心
心中天網島
大国の傷口を鮮烈に照射する衝撃のドラマ
崩壊
ありふれた日常の中の断面世界を描いた傑作
ある地方の物語
4月19日(金)～30日(火)
PARCO劇場
コテ・マルジャニシビリ記念トビリシ国立アカデミードラマ劇場
国立グルジア劇場

ეს იყო მარჯანიშვილის თეატრის პირველი კომერციული გასტროლები. არავინ იცოდა, რომ იგი მოგებას მოიტანდა — ამდენი მაყურებელი თუ დაესწრებოდა ქართულ სპექტაკლებს. ასეთი ხანგრძლივი გასტროლები ჩვენს თეატრს არასოდეს ჰქონია. 7-7-ჯერ ვითამაშეთ თითოეული სპექტაკლი. ჩვენგან ძალიან ბევრი რამ შეიტყვეს იაპონელებმა საქართველოზე.

**ოთარ მეღვინეთუხუცესი:** წლების მანძილზე ჩვენი თეატრი ჩრდილში იყო მოქცეული. ამას ის მათქმევინებს, რომ თუკი ათი წლის წინათ დადგმული სპექტაკლები დღესაც არ დაბერებულა და დიდი წარმატებით გადის უცხოეთში, თავის დროზე უფრო ყურადღებიანი პატრონი რომ გვყოლოდა, ეს წარმატება ხომ გაცილებით ადრეც გაგვიხარებდა. დღეს ასეთ პატრონად თეატრს გამოუჩნდა შემოქმედებითი-კომერციული ფირმა „ბერიკა“ კერძოდ, ამ ფირმის ხელმძღვანელის ქალბატონი ნატაშა ჩხიკვაძის სახით. მას საქმიანი კონტაქტების არაჩვეულებრივი უნარი აღმოაჩნდა და რაოდენ გასახარია, რომ ეს იგრძნობა არა კონკრეტულად ერთი თეატრის, არამედ, ზოგადად ქართული კულტურის მიმართ.

ადრე გვწყინდა კიდეც, რომ ფირმა „ბერიკა“ ერთ თეატრს, მხოლოდ რუსთაველისას წყალობდა, მაგრამ ეს მისი დაარსების პირველ ხანებში ხდებოდა, და აი, გაოცებულები ვართ ქალბატონ ნატაშას მოწადინებითა და მზრუნველობით, რომელსაც იგი დასის თითოეული წევრის მიმართ იჩენდა, აღარაფერი რომ არ ვთქვათ იმაზე, რომ იაპონიაში სამი სპექტაკლის ჩვენება უშუალოდ მისი მონდომების წყალობაა. ამიტომ, იმის თქმა, რომ გასტროლი „ბერიკამ“ მხოლოდ დააფინანსა — ძალზე ცოტაა. ამავე დროს იმაშიც დავრწმუნდით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ის, რომ ასეთ ფირმებს ნაღდი პროფესიონალები უძღვებიან და არა დილეტანტები.

თუ რა დონისა იყო ჩვენი თეატრის წარმატება თვით იაპონელთა ნაამბობს მოგახსენებთ. მათი თქმით იაპონიაში ჩვენამდე ყოფილან სხვა დრამატული თეატრები, კერძოდ, ტოვსტონოგოვის სიცოცხლეში გორკის სახელობის დიდი დრამატული და მცირე დრამატული თეატრები, იაპონელებს ნაკლები ინტერესი გამოუჩენიათ მათ მიმართ, ჩვენს სპექტაკლებზე კი თურმე ნაჭრის ბალიშებს ურიგებდნენ მაყურებლებს კიბის საფეხურებზე ჩამოსაჯდომად.

**გაიოზ კანდელაკი,** თეატრის დირექტორი: ბატონ ოთარის ნათქვამს მინდა დავუმატო პროფესიონალების თაობაზე — ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კონტრაქტის დადების სისწორეს, როცა ეს არაპროფესიულ დონეზე ხდება, ერთ-ერთი მხარე ხშირად აგებს. ფირმა „ბერიკასთან“ ურთიერთობა ადრეც გვქონდა, ესპანეთის გასტროლები სწორედ მან მოაწყო მაღალ დონეზე, ახლაც ასე იყო. ჯერ იყო და საგასტროლო სპექტაკლების გასინჯვაზე სამ ჯგუფად ჩამოვიდნენ იაპონელები. მათი მასპინძლობის ხარჯები სწორედ ამ ფირმამ გაიღო. ახლა კი, მოსკოვის აეროპორტში დეკორაციების გატანაში ვალუტა მოგვთხოვეს, ამჯერადაც ფირმამ გვიხსნა.

ფირმის მოგებიდან ქალბატონმა ნატაშამ იაპონიაში 400 ათასი იენის წამლები შეიძინა ბავშვებისათვის, წამლების მეორე პარტიაც მალე ჩამოვა. გარდა ამისა, მოგახსენებთ ჩვენს თეატრში ხმის ჩამწერი სტუდიაა და „ბერიკამ“ სტუდიისათვის ფრიად საჭირო მაღალხარისხოვანი მუსიკალური დანადგარები შეგვიძინა. ერთი სიტყვით, ამ ფირმასთან ურთიერთობამ პრაქტიკულად გაამართლა და სამომავლოდ მათთან ურთიერთობის დიდი სურვილი გვაქვს.

მახსოვს, თავის წერილში უხუცესმა ქართველმა თეატრმცოდნემ ბატონმა დიმიტრი ჯანელიძემ მარჯანიშვილის თეატრში განხორციელებულ იაპონურ პიესას უცხოურის საუცხოო დადგმის ამბავი უწოდა. მისი აზრით ეს სპექტაკლი არ იყო ჩვეულებრივი დადგმა, უწინასწარმეტყველა მას ხანგრძლივი სცენური სიცოცხლე და დიდი აღიარება, თუკი მას ჩიკამაცუს სამშობლოში ნახავდნენ, მაშინ ამაზე ოცნება თუ შეიძლებოდა მხოლოდ, ახლა ეს უკვე სინამდვილეა, ახდა ბატონი დიმიტრის წინასწარმეტყველება — თეატრი გამარჯვებული დაბრუნდა ჩიკამაცუს სამშობლოდან.

**გიორგი ლალიაშვილი.**

• • •

**სურათებზე:** მარჯანიშვილის თეატრის რეკლამა იაპონიაში.

### სხვადასხვა

# ახალი ნიმუშის საბანკო ბილეთები

**როგორც** იცით, სსრ კავშირის სახბანკის მიერ გამოქვეყნებული შეტყობინების თანახმად, 1991 წლის 1 ივნისიდან მიმოქცევაში გამოდის 1991 წლის ნიმუშის 5-მანეთიანი საბანკო ბილეთები, აქვე გამოქვეყნებულია ცნობა მიმდინარე წლის მე-3 და მე-4 კვარტალში 1, 3, 10 და 25-მანეთიანი ღირსების 1991 წლის ნიმუშის საბანკო ბილეთების მიმოქცევაში გამოშვებისათვის მზადების შესახებ. ეს ნიშნავს, რომ მომავალში ბრუნვაში არსებულ ფულად ნიშნებს მხოლოდ საბანკო ბილეთის სტატუსი ექნება.

ამასთან დაკავშირებით რაიმე გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით აუცილებლად მიმაჩნია მკითხველებს მივცე შემდეგი განმარტება:

1991 წლის ნიმუშის ზემოაღნიშნული საბანკო ბილეთების გამოშვება ძალას არ უკარგავს 1961 წლის ნიმუშის სახაზინო და საბანკო ბილეთების მოქმედებას და ისინი მიმოქცევაში რჩება პარალელურად გაცვეთამდე თანაბარი მყიდველობითუნარიანობით ამდენად, მათი მიღება სავალდებულოა ყველა სახის გადასახდელებისათვის როგორც ორგანიზაცია-დაწესებულებების, ასევე მოსახლეობის მხრიდან.

ამასთან დაკავშირებით სავაჭრო ორგანიზაციებმა, მოსახლეობის ფასიანი მომსახურების საწარმოებმა, ბანკებმა, კავშირგაბმულობის საწარმოებმა და სხვა ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ 1961 წლის ნიმუშის 1, 3, 5, 10 და 25-მანეთიანი ღირსების ფულის ბილეთების შეუფერხებელი მიღება და არ დაუშვან უარის თქმის არც ერთი შემთხვევა.

რესპუბლიკის ვაჭრობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის სამინისტროებმა, ცეკავშირის გამგეობამ, მოსახლეობის ფასიანი მომსახურების სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა დააწესონ კონტროლი, რათა დაქვემდებარებული საწარმოების და ორგანიზაციების სალაროებში მუდმივად იყოს როგორც ძველი, ასევე ახალი ნიმუშის ფული სათანადო კუპიურები იმ რაოდენობით, რომელიც აუცილებელია შეუფერხებელი ნაღდი ფულის ბრუნვისათვის.

ბანკის დაწესებულებები ვალდებული არიან უზრუნველყონ მიმოქცევაში ახალი ნიმუშის საბანკო ბილეთების გამოშვება მათი შემოტანის კვალობაზე, ამასთან განაგრძონ სარეზერვო ფონდებიდან საბრუნავ სალაროში 1961 წლის ნიმუშის სახაზინო და საბანკო ბილეთების ჩადარიცხვა ზემოაღნიშნული კუპიურების მიხედვით, რომელიც ვარგისია მიმოქცევისათვის.

მკითხველის ყურადღება გვინდა მივაქციოთ აგრეთვე შემდეგ გარემოებას: გავრცელებულია ხმები მომავალში 1991 წლის ნიმუშის 50 და 100 მანეთიანი კუპიურების საბანკო ბილეთების თითქოსდა გაყინვის შესახებ და მათ მიღებაზე ზოგან უარს ამბობენ. ამასთან დაკავშირებით, სახბანკის გამგეობის მითითების შესაბამისად, განვუმარტავთ მოსახლეობას, რომ ასეთი მოქმედებისათვის არავითარი ეკონომიკური საფუძველი არ არსებობს.

**კიმ ხვანაძე,**
სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.
**საქინფორმი**

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

### საჩუქარი

# ჯიუტი გოგონას ახირება

„**რამდენიმე** დღეა, რაც ქართველი ჩოგბურთელი ლელა მესხი ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ თბილისს დაბრუნდა და წარმატებათა საკმაოდ გრძელი „შლეიფიც“ ჩამოიყოლა. ჯერ კიდევ ამერიკის ღია ჩემპიონატზე გამგზავრებამდე დაჰპირდა მესხი ნორჩ ჩოგბურთელებს გერმანიიდან სპეციალურად მათთვის ჩამოტანილი ჩოგნებით დასაჩუქრებას. თუ არა ქართველ ჩოგბურთელს, მაშ, ვის ესმის ყველაზე უკეთ, თუ რა რთული მდგომარეობაა დღეს ქართულ სპორტში. ეს საქველმოქმედო ნაბიჯიც სწორედ ამ მოტივით გადაიდგა.

დიდხანს ცდა და ლოდინი არ დასჭირვებიათ ნორჩებს. ლელამ დანაპირები პირნათლად შეასრულა, მსოფლიო რეიტინგში თავის სახელს ბოლო ტურნირებზე წარმატებით გამოსვლის შედეგად საკმაო ქულები შემატა და გაახარა ქართველი გულშემატკივარი. გუშინ კი თავის ყოფილ კოლეგებს [illegible] ჩოგნები გადასცა საჩუქრად. იქნებ, სწორედ მსოფლიო რანგის ვარსკვლავის მიერ ნაჩუქარმა „საბრძოლო იარაღმა“ გაუკვალოს ამ პატარებს დიდი სპორტის გზა. ლელაც ხომ მათ ასაკში ზუსტად მათსავით ოცნებობდა და შინაურ[illegible] თავისი ფიქრები ჯიუტი გოგონას ახირებად მიაჩნდა.

თუმცა, ფაქტი ფაქტია — ბავშვობის ვარდისფერი ოცნება შეიძლება რეალობად აქციო თუ გიყვარს შენი საქმე.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კორპუსში, ხიმშიაშვილის ქ. № 29.
ინდექსი 88484

საქართველოს რესპუბლიკა